პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (უოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებანი: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმეორებითი განცხადება ფასის იძლევა 10% სახელმწიფო დასათმობს. თუ განცხადება იბეჭდება ბოლო გვერდზე ტექსტის შეუცვლელად-შეუცვლელია შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძლიერდება 20%-ით მეტი. სადღესასწაულო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- ჰამბურგელმა მენშევიკებმა უარყვეს კომუნისტების წინადადება.
- გაიხსნა ოსმალეთის სახალხო ყრილობა.
- კუკის განცხადება.
- ბერლინში გაიხსნა „საბჭოთა 10 წ. თავის გამოფენა“.
- გერმანელმა მემალაროებმა გაფიცვა გამოაცხადეს.
- ინდოეთის ნაციონალისტების ბელადი ინგლის - ინდოეთის ურთიერთობის შესახებ.
- ჩეხო - სლოვაკიის კომპარტიის გამარჯვება სათემო არჩევნებში.
- მოსკოვში ჩავიდა ავსტრიის მუშათა დელეგაცია.

სამშაბათი, 18 ოქტომბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 236 (1981)

საკავშირო ცაკის საიუბილეო სესია

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცაკის მანიფესტი

საბჭოთა კავშირის ყველა მუშებს, მშრომელებს, გლეხებს და წითელარმიელებს, ყველა ქვეყნის პროლეტარებს და მსოფლიოს დაჩაგრულ ხალხებს

ახალი ისტორიის დასაწყისი

ამხანაგებო!

ოქტომბრის გადატრიალების ათი წლის თავი არის პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობის უდიდესი მიღწევა.

ათი წლის წინად კაპიტალისტური მსოფლიო იმპერიალისტური ომის ცეცხლში იწოდა. ბურჟუაზიის ყაჩაღურმა ინტერესებმა და გაუმაძღრობამ გაუგონარ სისხლისღვრამდე მიიყვანა კაცობრიობა. მსოფლიო ომი, რომელმაც ზედი-ზედ ჩაითრია თავის სისხლიან მორევში სხვადასხვა ქვეყნები, მძვინვარებდა, როგორც გამანადგურებელი სტიქიონი. მსოფლიო ისტორიის ყველაზე უფრო ბარბაროსული, სისხლიანი, საძაგელი და სამარცხვინო ფურცლები სრულიად იჩრდილება იმპერიალისტური სისხლისღვრის ბარბაროსობის წინაშე, იმ სისხლისღვრის, რომელიც დაიწყეს ინგლისის იმპერიალისტების მეკობრეთა ხროვამ, ვილჰელმის მილიტარიზმმა, საფრანგეთის მევახშეებმა, მეფის თვითმპყრობელურ-ჟანდარმულმა რუსეთმა და იაპონიის ახალგაზრდა, მაგრამ მსუნაგმა იმპერიალიზმმა. მოკერხებულად ასწონ-დასწონა და თავიდან ბოლომდე ყალბი ფრაზებით შეალამაზა მსოფლიო ომში ჩარევა ამერიკის ბურჟუაზიამ, რომელიც აწვდიდა მოკავშირეებს უსაშინელეს იარაღებს ადამიანთა საჟლეტად და გვამებით ამძღრებულ ევროპის ველებში ნაძარცვ ოქროთი ავსებდა ბანკირთა საწყობებს.

ამრიგად კაპიტალის ბატონობამ პირველად დააყენა მთელი კაცობრიობა უფსკრულის, უსახელოდ დაღუპვის, განადგურების და კულტურულ არარაობის წინაშე.

ამ სისხლიან ბურუსში, მხრჩოლავ გაზების თვალუწვდენელ მორევში, ზარბაზნების საზარელ გრიალის დროს, როცა შეუჩერებლივ მუშაობდა გამანადგურებელი მანქანა, რომელსაც ხოტბას ასხამდა მთელი ბურჟუაზიული პრესა და აძლიერებდა სოციალ-დემოკრატიის მოღალატური პოზიცია, ომის უსაშინელეს ქაოსში გზის მაჩვენებელ მაშხალასავით იფეთქა რუსეთის რევოლიუციამ. მტრებთან უთანასწორო გამწვავებულ ბრძოლაში, ბოლშევიკების ფოლადისებურ ხელმძღვანელობის ქვეშ, უკვდავი ლენინის გენიალურ წინამძღოლობით მოახდინა პროლეტარიატმა თავისი ძალების დარაზმვა.

1917 წლის ოქტომბერში, ათი წლის წინად, თავს დაატეხა რა ბურჟუაზიას, პროლეტარულ, გლეხურ და ჯარისკაცთა აჯანყების რისხვა, სათავეში ჩაუდგა რა ყველა მშრომელთ, რუსეთის პროლეტარიატმა გაარღვია იმპერიალიზმის ფრონტი.

დაჩაგრულ კლასთა ეს უდიდესი გამარჯვება, პროლეტარულ რევოლიუციის პირველი საიმედო გამარჯვება აუცილებლად გახდება მთავარი მომენტი, რომლითაც მომავალი თაობანი აღნიშნავენ კაცობრიობის უახლოესი ისტორიის დასაწყისს. ვინაიდან იმპერიალისტურ მტაცებლებს შორის, მსხვილ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც სისხლს სწოვენ პროლეტარიატს და გლეხობას და სულს უხუთავენ კოლონიალურ ერებს, წარმოიშვა მუშათა სახელმწიფო და ყველაზე უფრო დაჩაგრულ კლასის დიქტატურა, პროლეტარულ რევოლიუციის დიქტატურა, კომუნიზმის დროშა, ბრძოლის ზარი, რომელიც მოუწოდებს ყველა ქვეყნების პროლეტარიატს განთავისუფლებისაკენ,—პროლეტარიატის დიადი სახელმწიფო, რომელსაც ხალხი მიჰყავს სოციალიზმისაკენ.

ოქტომბერმა განთავისუფლა მშრომელი მასები და ჩაგრული ხალხები

ასეულ წლების განმავლობაში ცდილობდა რუსეთის გლეხობა მემამულეთა უღლისაგან თავის განთავისუფლებას. მან არა ერთხელ მოუწყვია აჯანყება თავად-აზნაურობის წინააღმდეგ, არა ერთხელ მიუტანია იერიში ბატონებზე, რომ წაერთმია მისთვის გლეხობის ოფლით და სისხლით განოყიერებული მიწა. მაგრამ მემამულეთა სახელმწიფო ყოველთვის აგზავნიდა მის წინააღმდეგ თავის „ღვთის მოსავ“ ჯარებს, ყუმბარებით ჩაფლეთდა, მათ გლეჯდა ხალხის სხეულს, სისხლით რწყავდა გლეხების ყანებს, ცეცხლით და მახვილით ანადგურებდა აჯანყებულ სოფლებს. მეფის რუსეთმა თავი მოჰკვეთა სტეფან რაზინს, ხუნდებში ჩამწყვდია ემელიან პუგაჩოვი და სიკვდილით დასაჯა ის. მეფის რუსეთმა გლეხობის მებრძოლ გმირებს სიკვდილით დასჯაც არ აკმარა. მათი სიკვდილის შემდეგ, მეფის რუსეთმა მონათლა ისინი „ქურდებისა“ და „ყაჩაღების“ სახელით. 1905 წლის რევოლიუციის შემდეგ მეფის რუსეთი უკვე ტყავს აძრობდა გლეხებს იმისთვის, რომ ისინი ცულებითა და ორთითებით, ხელში ისევ მოითხოვდნენ მემამულეთა მიწებს. „მიწა“—გაიძახოდა გლეხობა. „ტყვია“—უპასუხებდა ამაზე მეფის თვითმპყრობელობა.

იმპერიალისტური ომის დროს გლეხმა მიიღო თოფი. ქალაქმა მისცა გლეხს წინამძღოლი—ორგანიზატორი, მეგობარი ორგანიზატორი და მეგობარი—მოკავშირე პროლეტარიატის და მისი პარტიის სახით. პროლეტარიატი, ქალაქის მუშა, სათავეში ჩაუდგა გლეხურ მოძრაობას, და მუშებისა და გლეხების კავშირმა პროლეტარიატის ხელმძღვანელობით აღგავა დედამიწის პირიდან მემამულეთა კლასი და ისე ძირფესვიანად მოსპო მათი ბატონობა, რომ მისი ნატამალიც კი აღარ დარჩენილა. დაინგრა თვითმპყრობელურ მემამულური აპარატი: გენერლები, ბოქაულები, გუბერნატორები, მეფეები, აზნაურები, ჩაფრები და „გოროდოვოები“. მიწა გადავიდა გლეხების ხელში. საბჭოები დამკვიდრდნენ მემამულე მეფეების ყოფილ იმპერიაში.

ასეული წლობით სცდილობდნენ მეფის რუსეთის ჩაგრული ერები განთავისუფლებას მეფის მძიმე უღლისაგან. ასზე მეტი სხვადასხვა ერი ცხოვრობდა მეფის რუსეთის ტერიტორიაზე. თვითმპყრობელ სისხლისმსმელ ორთავიან არწივს ძაგრად ჰყავდა ისინი ჩაჭერილი თავის რკინის კლანჭებში. ეგრედწოდებული „სახელოვანი ლაშქრობა“, „დაპყრობა“ და სხ. იყო ველური ძარცვა-გლეჯა, რომლითაც არბევდნენ უზარმაზარ ოლქებს. მოსახლეობის გაღატაკება, აბუჩად აგდება, მისთვის ყოველგვარი უფლებების წართმევა, ეროვნული ჩაგვრა,—აი რა ახასიათებდა მემამულეთა ბატონობას რუსეთში. იმპერია ყველა მის მიერ დაპყრობილ ხალხებს უწოდებდა „ინოროდცებს“. ყოველგვარ მისწრაფებას განთავისუფლებისაკენ, ყოველ პროტესტს, ყოველ აზრს თანასწორუფლებიანობის შესახებ თვითმპყრობელური რეჟიმი უპასუხებდა გაუგონარი სისხლიანი რეპრესიებით. ყველას ახსოვს დამსჯელი ექსპედიციები, დახვრეტები 1905 წელში, თარეში პოლონეთსა, ფინეთსა, საქართველოსა და თურქესტანში, ებრაელების დარბევა, მტაცებლობა რუსეთის ყველა კოლონიებში. საშინელ იარა-ჭრილობებითაა დაფარული ყოველი ერის სხეული. ეს იარა-ჭრილობები არის ხსოვნა წყეული თვითმპყრობელობის შესახებ.

პროლეტარულმა აჯანყებამ თავისუფლება მიანიჭა ყველა ერებს. საბჭოთა მთავრობამ მეფის დროის რუსეთი, ერების ეს ციხე აქცია ამ ერთა ძმურ კავშირათ, ნებაყოფლობითი და ფოლადივით მტკიცე კავშირათ. ერთა თანასწორობა, თავისუფლება ნაციონალურ განთავისუფლებისათვის, კულტურული აღორძინება, ყოველგვარი ნაციონალური ჩაგვრის აღმოფხვრა, ერთა ძმობა—აი ლოზუნგები, რომლებითაც თავისუფლებისაკენ მიჰყავდა პროლეტარიატს მეფის დროის დაჩაგრული ერები.

აჯანყების ბელადი, გამარჯვების ორგანიზატორი და მშენებლობის ხელმძღვანელი იყო მუშათა კლასი, პროლეტარიატი.

მსხვილ მრეწველობის განვითარებასთან ერთად აღმოცენებული მუშათა კლასი თავიდანვე იქნა მოქცეული პოლიციური თვითმპყრობელობის რეპრესიების რკალში. მუშათა კლასს, რომლის ულმობელ ექსპლოატაციას აწარმოებდა ეროვნული ბურჟუაზია, რომელსაც ყულეფდა სახელმწიფო, რომელიც ამასთანავე მოკლებული იყო ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებებს, ადრე მოუხდა შეტაკება თავის მტრებთან და ისიც ურიცხვ ბრძოლებში ქმნიდა თავის კლასიურ შეგნებას, ამტკიცებდა თავის ნებისყოფას, თანდათანობით აშენებდა თავის ორგანიზაციებს და მებრძოლ, რევოლიუციონერ, ბოლშევიკურ პარტიას, რომელიც ნიმუშია პროლეტარული მხნეობის, თავდადების, დისციპლინის და რევოლიუციონერობისა. 1905 წელს პროლეტარიატმა მთელ მსოფლიოს დაანახვა მასიური ბრძოლის სასწაულები—საყოველთაო გაფიცვა და პროლეტარული აჯანყება. პროლეტარიატი 1917 წელსაც იყო აჯანყების დამწყები და მისი ხელმძღვანელი. პროლეტარიატმა მას შემდეგ, რაც დაამხო თვითმპყრობელობა, შექმნა მუშათა დეპუტატების საბჭოები, სათავეში ჩაუდგა გლეხობას, ოქტომბერში დაამხო ბურჟუაზია და პირველად ისტორიაში თავისი უფლება გამოაცხადა სასახლეებზე, სახლებზე, ფაბრიკებზე, ქარხნებზე, მაღაროებზე, ბანკებზე, ბირჟაზე, კონტორებზე, საწყობებზე, რკინის გზებზე და ელევატორებზე. პროლეტარიატმა წაართვა ბურჟუაზიას წარმოების საშუალებანი. პროლეტარიატმა მოახდინა „ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია“.

ბურჟუაზიის დიქტატურა შეიცვალა პროლეტარიატის დიქტატურით, ბურჟუაზიის ძირითადი საკუთრება გადავიდა მუშურ სახელმწიფოს ხელში.

ბრძოლა იმპერიალიზმისა და კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ

ძველი რუსეთი იყო მსოფლიოს ჟანდარმი და კონტრ-რევოლიუციის დასაყრდენი. მე-19-ე საუკუნის დასაწყისში ძველი რუსეთი სათავეში ჩაუდგა მემამულეთა სახელმწიფოების „საღვთო კავშირს“, რომელიც მიმართული იყო ბურჟუაზიულ-რევოლიუციონური საფრანგეთის წინააღმდეგ, და ალექსანდრე პირველის ჯარებმა დაიკავეს პარიზი. 1848 წ. ნიკოლოზ პირველის ჯარებმა ცეცხლით და მახვილით ჩააქრეს უნგრეთის რევოლიუცია. 1863 წ. იმპერატორის ჯარები აქრობდენ რევოლიუციას პოლონეთში. მეოცე საუკუნის დასაწყისში რუსეთის ჯარები აქრობენ ჩინეთის გლეხობის სტიქიურ აჯანყებებს. არ იყო ისეთი გამანთავისუფლებელი მოძრაობა, რომლისთვისაც რუსეთის თვითმპყრობელობა არ ყოფილიყო სასტიკი, ულმობელი მოწინააღმდეგე და მტერი. პრუსიის მონარქია რომანოვების ბრზოზე უფრო ლიბერალური იყო. ინგლისის მუშათა მოძრაობის ჯალათებიც აზროვნობის თავისუფლების სანიმუშო მაგალითი იყო მეფეების აზიურ დესპოტიზმთან შედარებით. პროლეტარიატის ოქტომბრის რევოლიუციამ რუსეთი, ეს საერთაშორისო ჟანდარმი და მსოფლიო ჯალათი, აქცია ჩაგრულთა ფარად, საერთაშორისო რევოლიუციის ძირითად სიმაგრეთ, მშვიდობიანობის და ექსპლოატატორებზე გამარჯვების მოციქულად.

თუ კი რევოლიუციონურმა ტალღებმა რუსეთში ძირიანად აღმოფხვრეს ფეოდალური და კაპიტალისტური ურთიერთობა, ამით რევოლიუციამ გამოიწვია ყველა ქვეყნების, ყველა ერების და ყველა ჯიშის მემარცხენეების და კაპიტალისტების უსაშინელესი სიძულვილი.

ძველი ქვეყნის ყველა ძალები გაერთიანდენ საბჭოთა კავშირის პროლეტარების და გლეხების წინააღმდეგ: მემამულეთა წრიდან გამოსული პირწავარდნილი კონტრ - რევოლიუციონერები „დემოკრატიული სოციალისტები“, ესერებისა და მენშევიკების ბანკიდან გენერლები, სპეკულიანტები, ეპისკოპოსები, ბირჟევიკები, უცხოელი იმპერიალისტები, „მშობლიური“ პატრიოტები—ყველა ესენი ჩადგენ აქტიურ კონტრ-რევოლიუციის რიგებში საბჭოების წინააღმდეგ. მათ მიმართეს ბრძოლის ყველა საშუალებებს, ყველაფერი სცადეს: ბლოკადა, ინტერვენცია, შეთქმულებები, აჯანყებები, საბოტაჟი და ტერორი. ყველა ლოზუნგები სინჯეს: მონარქია, დამფუძნებელი კრება, რესპუბლიკა, „საბჭოები უკომუნისტებოთ“. და ყველა ეს ცდები, მიმართული ძველი წყობილების აღდგენისაკენ, ჩაშხუვრეული და განადგურებული იქნა პროლეტართა და გლეხთა მასების მიერ.

შინაური კონტრ-რევოლიუცია მჭიდროთ დაუკავშირდა გარეშე კონტრ-რევოლიუციას. კოლჩაკებთან, დენიკინებთან, იუდენიჩებთან, კრასნოვებთან, ვრანგელებთან, ბულაკ-ბალახოვიჩებთან, ყველა ამ ყოფილ ბარონებთან, გრაფებთან, გენერლებთან ერთად, საბჭოთა ქვეყნის ტერიტორიაზე იბრძოდენ უცხოელების, ევროპის, აზიის და ამერიკის კაპიტალისტური სახელმწიფოების, დემოკრატიული რესპუბლიკების და მონარქიების მიერ გამოგზავნილი ჯარებიც. შეერთებული შტატების, ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, იაპონიის, ჩეხო-სლოვაკიის, პოლონეთის და რუმინეთის ჯარები ყოველ მხრიდან ძარცვავდენ საბჭოთა ქვეყანას, ეხმარებოდენ მემამულეთა არმიებს და ვითომდა დემოკრატიულ გენერლებს, რომლებიც სინამდვილეში მუშების და გლეხების ჯალათები იყვნენ. ყველა ამ არმიებმა დაიხიეს უკან მუშების და გლეხების წითელი არმიის წინაშე.

კონტრ-რევოლიუცია იქნა ძლეული და უკუგდებული.

საბჭოთა ქვეყანა, მოწყვეტილი ყველა სასიცოცხლო მთავარ წყაროებს: დონის ნახშირს, ბაქოს ნავთს, უკრაინის და ციმბირის პურს, მოქცეული თეთრგვარდიელთა არმიების რკალში, განსაზღვრული სულ რამოდენიმე გუბერნიის ფარგლებით, ტიტველი, მშიერი და ძალზე შევიწროვებული, მაინც იგერიებდა კონტრ-რევოლიუციის იერიშებს. არავითარი დაბრკოლება,—არც სიცივე, არც სიმშილი, არც ტიფი და არც სალრჩობელა არ აშინებდა მუშებს, არ აჩერებდა ღარიბ გლეხებს.

საბჭოთა ხელისუფლება გადავიდა კონტრ-შეტევაზე ბურჟუაზიის და კულაკების წინააღმდეგ, შეძლებულთა კლასის წინააღმდეგ. ის საგანგებო კომისიის მედგარი ხელით სპობდა შეთქმულებებს და აჯანყებებს, წითელი არმიით იგერიებდა მტრებს ფრონტებზე და ამავე დროს ებრძოდა პარაზიტებს, სპეკულიანტებს, კულაკებს, მევახშეებს და მდიდრებს. მან შექმნა ღარიბთა კომიტეტები. მან შემოიღო სურსათით დაბეგვრა. ის იძულებული იყო მოეხდინა ყველა მარაგის და ზედმეტი სურსათის რეკვიზიცია, რათა დაეკმაყოფილებია არმია და დამშეული მუშები. გაუგონარი და წარმოუდგენელი იყო ტანჯვა. სასტიკი იყო თვითეულ მოქალაქისადმი წარდგენილი მოთხოვნილებები. დაუზოგავი იყო სასჯელი სულმოკლე დეზერტირების და მოღალატეების მიმართ. მაგრამ სწორედ ამ რკინის პროლეტარულმა დისციპლინამ მისცა გამარჯვება მსოფლიო პროლეტარიატს რუსეთის ყოფილ იმპერიის ტერიტორიაზე.

ამ ხნის განმავლობაში აშკარა გახდა ბოლშევიკური რევოლიუციის უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა. ძირს დაენარცხა ვილჰელმის და ავსტრიის იმპერატორის გვირგვინები. აღმოცენდა საბჭოთა რესპუბლიკები ფინეთში, ბავარიაში და ჰუნგრეთში. ამოძრავდენ ნახევრად კოლონიალური და ჩაგრული ქვეყნები, მოხდა მთელი რიგი რევოლიუციებისა აღმოსავლეთში. ნაწილი ამ რევოლიუციებისა სოციალ-დემოკრატების გამცემლობის გამო შუა გზაზე შეჩერდა. ნაწილი გასრესილ იქნა გამხეცებულ სპეკულიანტების და ბურჟუების მიერ, რომლებშიც თრთიან თავიანთ საკუთრებისათვის, მაგრამ ამ რევოლიუციებმა თავის მხრივ შეასუსტეს კაპიტალისტების იერიშები ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ და შექმნეს საფუძველი შემდგომ წინსვლელობისათვის.

ამ პერიოდმა, სამოქალაქო ომის და სამხედრო კომუნიზმის პერიოდმა გვიჩვენა და დაამტკიცა, რომ პროლეტარიატს შეუძლია არა მარტო აჯანყების მოწყობა. ამ პერიოდმა გვიჩვენა და დაამტკიცა, რომ პროლეტარიატს გლეხობასთან ერთად შეუძლია დაამარცხოს მრავალრიცხოვანი მტრები, რომ მას შესწევს უნარი გაამაგროს და განამტკიცოს თავისი ხელისუფლება, ააგოს მტკიცე სახელმწიფო და რკინის ხელით მოსპოს ექსპლოატატორთა წინააღმდეგობა.

მაგრამ ამ პერიოდმა დაამტკიცა აგრეთვე, რომ გამარჯვება შესაძლოა მხოლოდ პროლეტარიატის და მისი პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ.

სოციალისტური მშენებლობა და მისი შედეგები

როდესაც დამთავრდა ომი კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ, ერთადერთი სამართლიანი ომი ჩაგრულთა-მჩაგვრელების წინააღმდეგ, მონების—მიწათმფლობელთა წინააღმდეგ, მუშების და გლეხებისა, მემამულეთა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, — პროლეტარიატისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე წამოიჭრა ახალი ამოცანები. წინად საჭირო იყო ძველის დანგრევა. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ კი ახლის შექმნა. წინად საჭირო იყო ბრძოლა იარაღით ხელში.—ეხლა საჭირო შეიქნა მეურნეობის აღორძინება. საჭირო შეიქნა მეურნეობის აღდგენა-განვითარება ისე, რომ თანდათან გაემარჯვა სოციალიზმს, რომ შეუძლებელი გამხდარიყო მემამულეების და კაპიტალისტების ბატონობის აღდგენა. მიწის, ქარხნების, ფაბრიკების და სხვა საწარმოო საშუალებათა ნაციონალიზაციის საფუძველზე, საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საფუძველზე, უნდა მომხდარიყო მილიონიან მასების საამშენებლო მუშაობის ორგანიზაცია სამეურნეო ფრონტზე. ღარიბ და საშუალო გლეხობის სამხედრო კავშირიდან საჭირო იყო პროლეტარების, ღარიბ და საშუალო გლეხობის სამეურნეო კავშირზე გადასვლა, საჭირო იყო მტკიცე კავშირი საშუალო გლეხთან ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით.

ამ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლას, თავისუფალი ვაჭრობის შემოღებას (პირველ რიგში გლეხობასთან კავშირის განსამტკიცებლათ), ეკონომიური ცხოვრების „მბრძანებელ მწვერვალთა“ განმტკიცების და გაფართოების საფუძველზე, პირველ პერიოდში თან სდევდა უდიდესი და ურთულესი სიძნელენი. ფაბრიკები და ქარხნები თითქმის არ მუშაობდენ, ვინაიდან არ იყო ნედლი მასალა, ხოლო საუკეთესო მუშები სიმშილის გამო სოფლებში იყვნენ დაქსაქსული, მუშებმა და გლეხებმა არ იცოდენ მეურნეობის გაძღოლა, საჭირო იყო „ვაჭრობის სწავლა“. სახელმწიფო ორგანოებში გაჩნდენ პარაზიტები და მოხერხებული „საქმის კაცები“. ისინი ატყუებდენ გამოუცდელ ხელმძღვანელებს და იპარავდენ სახელმწიფო ქონებას. კერძო კაპიტალისტები გაცილებით უფრო მოხერხებულათ აწარმოებდენ საქმეებს, ვინმე სახელმწიფო დაწესებულებები, საჭირო იყო ენერგიული შეთანხმებული მუშაობა, რათა დაძლეული ყოფილიყო ეს საფრთხე. ახალი პერიოდის ეს ამოცანები მუშათა კლასმა გლეხობასთან ერთად წარმატებით გადასჭრა.

ეკონომიური პოლიტიკის უძნელესი საკითხების ძლევამოსილი გადაჭრა შესაძლო შეიქნა იმიტომ, რომ ოქტომბრის რევოლიუციამ შექმნა საფუძველი ქვეყნის მეურნეობის გეგმიან ხელმძღვანელობისათვის. მუშათა კლასმა, გააერთიანა ძლიერ სამეურნეო ერთეულად მსხვილი მრეწველობა, ტრანსპორტი, კრედიტი, სახელმწიფო ფინანსები, შემოიღო საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, დაიხსნა ქვეყანა მეფის და კერენსკის საგარეო ვალების სიმძიმისაგან, და მშრომელ გლეხობასთან ერთად ის შეუდგა მეურნეობის აღორძინებას ახალ ნიადაგზე. ქვეყნის მრეწველობა—მთელი სახალხო მეურნეობა სოციალისტურ გარდაქმნის ძირითადი ბერკეტი—მიბრუნებულ იქნა პირით სოფლისაკენ.

არა ფუფუნების საგნების დასამზადებლათ, არა კაპიტალისტების, მემამულეების და მათი ლაქიების და დამქაშების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ ქალაქის და სოფლის მშრომელ მასების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ამუშავდა პროლეტარულ სახელმწიფოს ფაბრიკა და ქარხნები. ამ ქარხნების და ფაბრიკების პროლეტარული ნაციონალიზაცია, საწარმოო საშუალებათა და მუშა-ხელის გეგმიანი განაწილება, მტკიცე კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის, სოციალისტურ ინდუსტრიასა და სასოფლო მეურნეობას შორის, პროლეტარიატსა და მშრომელ გლეხობას შორის იყო მთავარი მიზეზი იმის, რომ ყველაზე უფრო გაღატაკებულმა, მშიერმა და განაწამებმა ქვეყანამ სწრაფად დააღწია თავი სამეურნეო ნგრევას. საბჭოთა სახელმწიფოებრივმა ფორმამ—პროლეტარულმა დემოკრატიამ უზრუნველყო მილიონიანი მასების მონაწილეობა სოციალიზმის აღმშენებლობის საქმეში. სამთამადნო მუშების, მელითონეების, ფეიქრების და პროლეტარულ არმიის სხვა რაზმების გმირული მუშაობა, მართვა-გამგეობის ყველა ორგანოების პროლეტარული— საბჭოთა გარდაქმნა, სოციალიზმის აღმშენებლობაში მასების თანდათანობით ჩაბმა ქარხნებში, ფაბრიკებში, პროფკავშირებში, სამეურნეო ორგანოებში, ნებაყოფლობითი კულტურულ საზოგადოებებში და საბჭოებში— ყველაფერი ეს შესაძლო შეიქნა მხოლოდ მუშათა კლასის დიქტატურის საფუძველზე. გლეხობის ინტენსიური მუშაობა თავისი მეურნეობის ასაღორძინებლად შესაძლო შეიქნა იმიტომ, რომ მემამულისა და მისი ხელისუფლების მაგიერ იშვა რევოლიუციონურ საბჭოების ხელისუფლება. პროლეტარიატის სოციალისტურმა პოლიტიკამ უზრუნველყო გამარჯვება სამეურნეო ფრონტზე, ისევე, როგორც უზრუნველყო წითელი არმიის გამარჯვება კონტრ-რევოლიუციის გაერთიანებულ ძალებზე.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის საშუალებით მეურნეობამ თავი დააღწია ნგრევას და ის გასცილდა ომამდე არსებულ დონეს. გაიზარდა და განმტკიცდა სახალხო მეურნეობის სოციალისტური ბაზისი—ჩვენი ინდუსტრია.

გაიზარდა და მთელ საქონლის ბრუნვაში პირველი ადგილი დაიჭირა კოოპერაციამ და სახელმწიფო ვაჭრობამ. ვითარდება და მტკიცდება განსაზოგადოებული სასოფლო-სამეურნეო შრომის ახალი ფორმები. წლიდან-წლამდე სულ უფრო და უფრო იდევნება კერძო კაპიტალი, სულ უფრო ძლიერდება პროლეტარული მბრძანებელი მწვერვალები. ნახევრად გაჩერებულ ქარხნების სავალალო მდგომარეობიდან საბჭოთა ქვეყანა გადავიდა უდიდეს სამრეწველო გიგანტების მშენებლობაზე. ქვეყნის ელექტროფიკაცია სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. ვოლხოვსტროი, დნეპროსტროი, სვირი და მთელი რიგი სხვა მძლავრი ელექტრო-სადგურები უკვე შედიან ცხოვრებაში, როგორც რევოლიუციის უდიდესი მონაპოვარნი. სემირეჩიის გზა, ვოლგა - დონის არხი და სხვა გიგანტური ნაგებობანი ახალ პლიუსებს მისცემენ მთელს სახალხო მეურნეობას და კიდევ უფრო გააძლიერებენ სამეურნეო-პოლიტიკურ ბრძოლას სოციალიზმისათვის. სოფელში პირველად გაჩნდა ტრაქტორი, უქმდება ძველი სამცვალებადიანი სისტემა, ბევრგან უკვე გაჩნდა „ილიჩის ელექტროლამპა“. იზრდება კოოპერაცია ღარიბ-საშუალო გლეხობის დარაზმვით კოოპერაციაში, კოლმეურნეობაში და არტელებში, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობის უკეთესად დაყენებით იზრდება წინააღმდეგობა შესუქებულ კულაკობის მიმართ.

უდავოა, რომ წლიდან-წლამდე უმჯობესდება მშრომელთა მდგომარეობაც. იზრდება მუშების სამუშაო ხელფასი, იზრდება მშრომელ გლეხობის შემოსავალი, მცირდება უმუშევართა და უქონელთა მეურნეობათა რიცხვი. იზრდება მასების კულტურული დონე. სწრაფი ტემპით მიდის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. მთელი ქვეყანა იფარება მუშებისა და გლეხების ორგანიზაციების ქსელით. მშრომელი ქალები, მუშა და გლეხი-ქალები ებმებიან ქვეყნის საერთო პოლიტიკურ ცხოვრებაში. უკვე ახალ საფუძველზე ახალთაობის აღზრდა კომკავშირსა და პიონერ-ორგანიზაციებში. პროფკავშირები, პროლეტარების ფართე ორგანიზაცია სოციალისტურად ზრდის მუშათა ახალ-ახალ ფენებს.

საბჭოები სულ უფრო და უფრო ხდებიან მშენებლობის უდიდეს სკოლად. მუშკორთა და გლეხკორთა ორგანიზაციები გათვითცნობიერებულ ცხოვრებისათვის აღვიძებენ მუშებისა და გლეხების ახალ-ახალ ფენებს. წითელი არმია და ფლოტი არა თუ ზრდიან თავის ბრძოლის უნარიანობას, არამედ იქმნებიან კიდეც პირველხარისხოვან კულტურულ ძალად: ლოთობის, კარტის თამაშის და ვენერიულ ავადმყოფობის მაგიერ, რომლებიც მიჰქონდათ სოფელში მეფის არმიის ჯარისკაცთ, წითელ არმიას მიაქვს წიგნი, ელექტროლამფა, მიწის კულტურული მოვლა. გამალებული მშენებლობის ხანაში ქვეყნის ყველა ძალები ჩაებენ დიად საქმეებში. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ხელისუფლება მოუწოდებს ყველა მშრომელთ და პირველ რიგში პროლეტარულ ავანგარდს გაითვალისწინოს ყველა ჩვენი სუსტი მხარეები და ფხიზლად დაუხვდენ ჩვენს დიად გზაზე აღმოცენებულ ყველა საფრთხეებს.

ჩვენი უახლოესი ამოცანები

საბოლოოდ უნდა მოვსპოთ ჩვენი სიღატაკე,—ამ მიმართულებით ჩვენ მხოლოდ პირველი ნაბიჯი გვაქვს გადადგმული. ახლად უნდა შევქმნათ მძლავრი ტეხნიკა ჩვენს მრეწველობაში, მაგრამ ჩვენ ამას მხოლოდ ეხლა შეუდექით. ჩვენ უნდა გარდავქმნათ სოფელი ელექტროფიკაციის, კოოპერაციის და კოლექტიურ მეურნეობათა საფუძველზე,—მაგრამ ჩვენ მხოლოდ პირველი მიღწევები გვაქვს ამ ფრონტზე. საჭიროა სამეურნეო გზით განვდევნოთ კერძო ვაჭარი და კულაკი. ჩვენ მტკიცედ უნდა წავიდეთ „სახელმწიფო კომუნისაკენ“, ერთი სიტყვით, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი ქვეყანა გავხადოთ ნამდვილ სოციალისტურ ქვეყანად, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ჩვენს წინაშე უძნელესი ამოცანებია წამოჭრილი.

ბრძოლაში მათი გადაჭრისათვის, მუდმივ კლასობრივ ბრძოლაში ბურჟუაზიასთან, კულაკთან და ბიუროკრატთან, მუშათა მასებისა და ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით, მჭიდრო კავშირით საშუალო გლეხობასთან,—საბჭოთა ხელისუფლება გადასჭრის ამ ამოცანებს, ვინაიდან მასთან ერთად ამ ამოცანებს გადაჭრის თვით მშრომელთა მასა.

პროლეტარული დიქტატურის ქვეყანას ყველაფერი საკმაოდ აქვს სოციალიზმის ასაშენებლად, როგორც ამას ასწავლიდა მას მისი ხელმძღვანელი, პროლეტარული ბელადი, ინტერნაციონალური რევოლიუციონერი და მუშათა მოძრაობის გენიოსი—ლენინი.

ჩვენს ქვეყანას აქვს ულეველი ბუნებრივი სიმდიდრე. მის პროლეტარიატს უჭირავს მძლავრი ეკონომიური მბრძანებელი მწვერვალები. მტკიცეა პროლეტარიატის დიდი რევოლიუციონური კლასის დიქტატურა. გაიზარდა და განმტკიცდა მისი კავშირი მშრომელ გლეხობასთან. მაგრამ ის გარემოცულია კაპიტალისტური მტრებით. მის წინააღმდეგ ილესავენ კბილებს ყველა ქვეყნის იმპერიალისტები. მისი ზრდა სასოწარკვეთილ შიშს ჰგვრის მათ. მისი რევოლიუციონური გავლენა მთელ მსოფლიოს მუშებზე და კოლონიალურ ერებზე აავთრებს მათ. ისინი ხედავენ, რომ პროლეტარიატი არა თუ არ უთმობს ადგილს ახალ ბურჟუაზიას, არამედ სისტემატიურად და მტკიცედ ერთი მეორეზე იპყრობს პოზიციებს. ისინი ხედავენ, თუ რაოდენად საბრალოა, უნიადაგო და სულელური ჩვენი სახელმწიფოს „გადაგვარების“ იმედი. ამით აიხსნება—ცვლილება ბურჟუაზიის პოლიტიკაში, ახალი იერიშები პროლეტარიატის სახელმწიფოს წინააღმდეგ, ომის ახალი საფრთხე, რომელსაც გულმოდგინედ აღვივებენ ნავთის მეფეები, ბანკირები, იმპერიალისტურ არმიების გენერლები, დიპლომატები, თეთრგვარდიელთა ემიგრაცია საზღვარგარეთ და მათი დამქაშნი. აქედან გამომდინარეობს ის უსუსური შეთქმულებები და ქურდული მკვლელობები, რომლებსაც ეხლა კვლავ მიმართავენ უცხოეთის კაპიტალისტური აგენტები.

ამიტომ ჩვენი კავშირის სამხედრო ძლიერების ზრდა არის ყველა მშრომელთა მორიგი ამოცანა. სამხედრო ძლიერება უნდა ემყარებოდეს სამეურნეო და პოლიტიკურ ძლიერებას.

საკავშირო ცაკი მოუწოდებს ყველა მშრომელთ ყოველნაირად შეუწყონ ხელი ამ ძლიერებას.

მეურნეობის სოციალისტური რაციონალიზაცია, მისი ტეხნიკისა და მისი ორგანიზაციის ამაღლება, შრომითი კულტურის ამაღლება და მუშაობის მონური ჩვეულებებისა და ტემპის მოსპობა უნდა გადაიქცეს მთავარ საზრუნავ საგნად. ამ ფრონტზე უნდა დავამარცხოთ მტერი. მუშათა კლასის დიქტატურა საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარებით მხოლოდ მაშინ მოიგერიებს თავდასხმებს იმპერიალიზმის მხრივ..

10 წელია, რაც ჩვენს ქვეყანაში არსებობს პროლეტარიატის დიქტატურა. 10 წელია, რაც ის იცავს ერთა შორის მშვიდობიანობისა და ძმობის საქმეს. 10 წელია, რაც მას უწინასწარმეტყველებენ მისი მტრები დაღუპვას. 10 წელია, რაც ის ანათებს, როგორც ჩაგრულ კაცობრიობის ჩირაღდანი.

საკავშირო ცაკის დადგენილება

ოქტომბრის რევოლიუციის მეორე ათი წლისთავის კარზე საბჭოთა კავშირი სრული შეფარდებით საბჭოთა ხელისუფლების მთელ პოლიტიკასთან, აცხადებს:

„პროლეტარიატის სახელმწიფო მიზნად ისახავს მუშებისა და გლეხთა მასების საცხოვრებელი დონის ამაღლებას. წინააღმდეგ ყველა კაპიტალისტურ ქვეყნების, სადაც მუშათა კლასი და გლეხობა იმყოფებიან გაყვლეფილ, ჩაგრულ და უუფლებო კლასების მდგომარეობაში, წინააღმდეგ კაპიტალიზმისა, რომელიც ართმევს მუშებს ბრძოლით მოპოვებულ უფლებებს, რკინის ქუსლით თელავს პროფკავშირთა უფლებებს, არბევს მუშათა ორგანიზაციებს, უკლებს სამუშაო ხელფასს, ადიდებს ყველგან სამუშაო დღეს, აგდებს გლეხობას ტრესტების, სპეკულიანტების და მევახშეების ხელში, აღატაკებს მილიონ მშრომელთ, წინააღმდეგ ყველა ამისა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი თავის სასიცოცხლო ამოცანად სთვლის პროლეტარიატის ყველა ძალთა ყოველმხრივ განვითარებას და ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების კეთილდღეობის აწევას.

ოქტომბრის რევოლიუციის მეორე ათი წლის მიჯნაზე საკავშირო ცაკი ადგენს:

1) უახლოეს წლებში საწარმოო და საფაბრიკო - საქარხნო მუშები გადაყვანილ იქნან 8 საათის სამუშაო დღიდან 7 საათის სამუშაო დღეზე სამუშაო ხელფასის შეუმცირებლად; ამიტომ საკავშირო ცაკისა და სახკომსაბჭოს პრეზიდიუმს დაევალოს არა უგვიანეს ერთი წლისა შეუდგეს ამ დადგენილების თანდათანობით განხორციელებას მრეწველობის ცალკე დარგების მიმართ, საფაბრიკო-საქარხნო წარმოებების რაციონალიზაციასა, გადაკეთებას და შრომის ნაყოფიერების ზრდასთან დაკავშირებით.

2) საბინაო კრიზისის შესანელებლად მუშათა რაიონებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, შარშანდელთან შედარებით, 50 მილ. მან. მეტი თანხა გადაიდოს მუშათა საბინაო მშენებლობაზე.

3) ღარიბი და საერთოდ ხელმოკლე გლეხობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ერთიან სასოფლო - სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქნას გლეხურ მეურნეობათა კიდევ 10 პროც., უკვე განთავისუფლებულ 25 პროც-ს გარდა.

4) განთავისუფლებულ იქნენ გლეხური მეურნეობანი იმ სესხის გადახდისაგან, რომელიც, მოუსავლობის გამო 1924—25 წელში, მიიღეს მათ სახელმწიფოსაგან. ღარიბ გლეხობას მოეხსნას წარსულ წლების ერთიან სასოფლო - სამეურნეო გადასახადის ნარჩენი და ამ ნარჩენის დარგში შეღავათები მიეცეს საშუალო გლეხობას. ქალაქისა და სოფლის ხელმოკლე მოსახლეობას შეღავათები მიეცეს ნარჩენის ჯარიმების და დაბეგვრის სხვა დარგებში. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმს დაევალოს სათანადო დადგენილების გამოცემა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლისთავის დღისათვის.

5) სახელმწიფოს ხარჯზე მიღებულ იქნას ყველა ღარიბ გლეხურ მეურნეობათა და საშუალო გლეხობის ხელმოკლე მეურნეობათა მიწათმოწყობა, რისთვისაც, 1927 — 28 წლ. ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხის გარდა, ხარჯთაღრიცხვის გარეშე გადაიდოს კიდევ 10 მილიონი მანეთი.

6) საკავშირო ცაკისა და სახკომსაბჭოს პრეზიდიუმს დაევალოს რიგს გარეშე კანონის შემუშავება მცირე შემძლე გლეხებიდან ჩასაკვდაცილებულთა სახელმწიფო ხარჯზე უზრუნველყოფის შესახებ და ამ კანონის წარდგენა საბჭოთა კავშირის საბჭოთა უახლოეს ყრილობაზე.

7) 1927 — 28 წ. სახელმწიფო ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით ხარჯთაღრიცხვის გარეშე, გადაიდოს 15 მილიონი მანეთი სასკოლო მშენებლობისათვის სოფლად და საფაბრიკო - საქარხნო ადგილებში.

8) ერთი ორად გადიდდეს სამხედრო ინვალიდთა დასაზღვევი ფონდი.

9) მოკავშირე რესპუბლიკებში მომქმედ სისხლის - სამართლის კოდექსებში გაუქმდეს სიკვდილით დასჯის, როგორც სოციალური დაცვის უმაღლესი სასჯელის, გამოტანა ყველა საქმეებზე, გარდა სახელმწიფო და სამხედრო ხასიათის დანაშაულისა და შეიარაღებული თავდასხმისათვის აღძრულ საქმეებისა.

10) საკავშირო ცაკის პრეზიდიუმს დაევალოს სასამართლო განაჩენით ან და ადმინისტრატიული წესით დამტკიცებული სოციალური დაცვის უმაღლესი სასჯელის შერბილება ყველა მსჯავრდადებულთა მიმართ, გარდა გაუსწორებელ მფლანგველებისა, მექრთამეებისა და პოლიტიკურ პარტიების აქტიურ წევრებისა, რომლებიც მიზნად ისახავენ საბჭოთა წყობილების დამხობას.

საკავშირო ცაკის თავმჯდომარე
კალინინი
საკავშირო ცაკის მდივანი—
ენუქიძე.
ლენინგრადი, 1927 წლის 15 ოქტომბერი.

მთელი დარბაზი ოვაციებით აწყვეტინებს მანიფესტის პროექტის კითხვას. პროექტის წაკითხვის შემდეგ ყველა ფეხზე დგება და მღერიან „ინტერნაციონალს“.

სესიის კომუნისტური ფრაქციის სახელით ამხ. ჩალიმ წინადადება შეიტანეს, [illegible] უპარტიო წევრთა თათბირის სახელით ამხ. ჩალიმ წინადადება შეიტანეს რომ არ გაიხსნას კამათი ამხ. რიკოვის მოხსენების გარშემო და მთლიანად, ყოველგვარი ცვლილებების გარეშე დამტკიცებულ იქნას მანიფესტის პროექტი. სესიამ ერთხმად დაამტკიცა საკავშირო ცაკის მანიფესტის პროექტი.

სესიის შემდეგი სხდომა გაიმართება 16 ოქტომბერს, დილის 11 საათზე. დღის წესრიგშია — ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენება საბჭოთა კავშირის 10 წლის კულტურულ მშენებლობის შედეგების შესახებ.

(გაგრძელება იხ. მეორე გვერდზე).

დიადი 10 წლის თავი

ზღაპარი კაპიტალისტური წყობილების მარადიულობის შესახებ სამუდამოდ გაქრა: 10 წელია არსებობს და ძლიერდება საბჭოების ხელისუფლება ქვეყანაში, სადაც ვითარდება სოციალიზმი და სადაც საბჭოები ასამარებენ ექსპლოატაციასა და დაქირავებული მონობის სისტემას.

საბჭოთა ხელისუფლების 10 წლის არსებობის ფაქტის უდიდეს მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობას აღიარებენ ამჟამად არა მარტო ჩვენი მეგობრები, არამედ მტრებიც. დედამიწის სულ მიყრუებულ და მივარდნილ კუთხეებში თეთრი, შავი და ყვითელი მასის მშრომელნი ეხლა შეიგნებენ, რომ უკვე 10 წელია, რაც საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები მემამულეების და კაპიტალისტების გარეშე ცხოვრობენ, მუშაობენ და აუმჯობესებენ თავის ცხოვრებას.

ოქტომბრის 10 წლისთავზე — ჩვენი ამოცანაა მთელი მსოფლიოს თვალწინ ჯამი გაუკეთოთ ჩვენს ქვეყანაში გამარჯვებულ პროლეტარულ რევოლიუციას და დავსახოთ გზები მომავლისათვის. ამ მიზანს ემსახურება სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მანიფესტი, მიმართული საბჭოთა კავშირის ყველა მუშების, მშრომელების, გლეხების, წითელარმიელების, ყველა ქვეყნის პროლეტარების და მსოფლიოს ყველა ჩაგრულ ერებისადმი.

თავისი არსებობის მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ შესძლო საბჭოთა ხელისუფლებამ მშვიდობიანობის დამკვიდრება და სოციალიზმის მშენებლობის ამოცანის მთელი სიგრძე - სიგანით გაშლა ჩვენს ქვეყანაში. რამდენი გამოგვიჩნდა მოწუწუნე და ურწმუნო, რომლებსაც არ სჯეროდათ სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობა ჩვენს ჩამორჩენილ ქვეყანაში, ჰყვებოდენ ჩვენი კლასობრივი მტრების ფეხის ხმას და ჩვენ გვიწინასწარმეტყველებდენ დაღუპვას, დაუძლეველ ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისებს და გლეხობასთან კავშირის გაწყვეტას. მათ ყოველთვის ეშლებოდათ ანგარიში და ავიწყდებოდათ დიდი მოქმედებითი ძალა, რომელიც იფარებოდა ჩვენს პროლეტარიატში.

პირველი ათი წლის მიწურულში ჩვენ გვაქვს საბჭოთა ქალაქში სოციალისტური წარმოების ურყევი არსებობის ზრდის და განმტკიცების ფაქტი და აგრეთვე მშრომელ წვრილგლეხურ სოფელთან ამ ქალაქის მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური კავშირის უდავო ფაქტი.

მონაპოვარნი, რომელთაც ჩვენ მივაღწიეთ, საშუალებას გვაძლევს ეხლა, როგორც მეორე ათი წლის მორიგი ამოცანა, დავისახოთ საბჭოთა სოფლის უფრო ენერგიულად ჩაბმა სოციალისტური მშენებლობის სისტემაში. სოციალისტური ინდუსტრიის მხრივ გლეხურ მეურნეობაზე ზეგავლენის უკვე ის მძლავრი ბერკეტები, რომლებიც ჩვენ ამჟამად გვაქვს, უკვე ის ჩვენი ორგანიზაციები, რომლებიც აღიზარდენ და განმტკიცდენ უკანასკნელ წლების უმძიმეს და ურთულეს პირობებში, უკვე ის მჭიდრო კავშირი საშუალო გლეხობასთან, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ უკანასკნელ ორ წელში,— ყველაფერი საშუალებას გვაძლევს ეხლავე დავადგეთ სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ ფორმებისათვის დახმარების გაძლიერებისა და კულაკობის ენერგიულად განდევნის პოლიტიკას.

ჩვენ წამოვაყენეთ ჩვენს წინ დიდი ისტორიული ამოცანა — წინააღმდეგობათა სრული აღმოფხვრა ქალაქსა და სოფელს შორის; ამ ამოცანის გადაწყვეტა მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია. მაგრამ იმისათვის, რომ ეს ამოცანა გადავსწყვიტოთ, ჩვენი სოციალისტური ინდუსტრია და ჩვენი მბრძანებელი მწვერვალები თვითონ კიდევ განუზომლად უნდა ამაღლდენ ტეხნიკის განვითარებით, მისი რაციონალიზაციით და მუშათა მასებში ახალი შრომითი კულტურის გამომუშავებით, ურომლისოდაც ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი ვერ დაეწევა და ვერ გაუსწრებს კაპიტალისტურ ქვეყნებს უფრო იაფ და უკეთესი ღირსების პროდუქტების დამზადების საქმეში.

ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის სოციალისტური ხასიათი ჩანს იქიდან, რომ მასში არა აქვს ადგილი წინააღმდეგობას მის რაციონალიზაციასა, ტეხნიკური დონის ამაღლებასა და მუშათა მასის საცხოვრებელი დონის ამაღლების შორის. ეს წინააღმდეგობები კაპიტალიზმს ახასიათებს.

ამიტომ სავსებით განსახორციელებელია, ემსახურება ჩვენი მრეწველობის გაძლიერების და, მაშასადამე გლეხური მეურნეობის განვითარების საქმეს, ამოცანა, რომელიც წამოაყენა ცაკის საიუბილეო სესიამ, ამოცანა, რომელიც ჰგულისხმობს „მწარმოებელ და საფაბრიკო საქარხნო მუშების მიმართ უახლოეს წლებში 8 საათის სამუშაო დღიდან 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლას სამუშაო ხელფასის შეუმცირებლად“. ამასთან, ამ დადგენილების თანდათან განხორციელებას მრეწველობის ცალკე დარგებში უნდა შეუდგეთ „არა უგვიანეს ერთი წლისა საფაბრიკო - საქარხნო წარმოების გადაკეთებასა და რაციონალიზაციის ტემპსა და შრომის ნაყოფიერების ზრდასთან დაკავშირებით“.

ყველასათვის ცხადია, რომ საბჭოთა კავშირის ცაკის ამ დადგენილებას, გარდა შინაური მნიშვნელობისა, უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობაც აქვს. მაშინ, როდესაც დიდი კაპიტალისტური ქვეყნები განუწყვეტელ შეტევას აწარმოებენ მუშათა კლასის წინააღმდეგ, კერძოდ, ადიდებენ სამუშაო დღეს, მაშინ, როდესაც იქ დაწესებულია 9, 10 და 11 საათის სამუშაო დღე, საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამორჩენილ ქვეყანაში გაატარა 8 საათის სამუშაო დღე და ის ამოცანად ისახავს უახლოეს წლებში განახორციელოს 7 საათის სამუშაო დღე. ცნობა ამის შესახებ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავს საერთაშორისო მუშათა კლასის კადრებს საბჭოთა კავშირის ირგვლივ და გააძლიერებს საბჭოთა კავშირის დაცვას იმ სამხედრო თავდასხმისაგან, რომელსაც ამზადებენ იმპერიალისტები.

ჩვენი პირველი ამოცანა სოფლის მოსახლეობის მიმართ მდგომარეობს იმაში, რომ განვამტკიცოთ კავშირი საშუალო შეძლების გლეხობასთან, შევამსუბუქოთ უპირველეს ყოვლისა სოფლის ღარიბი გლეხობის ცხოვრების პირობები. ცაკის სესიამ ამ მიმართულებითაც მიიღო სათანადო დადგენილებანი: სოფლის მთელი მოსახლეობის არა 25 პროც., როგორც დღემდე, არამედ 35 პროც., რომელიც შეადგენს სოფლის უღარიბეს ფენებს, სავსებით იქნება განთავისუფლებული გადასახადისაგან, აგრეთვე სახელმწიფო ხარჯზე ჩატარდება ყველა ღარიბ გლეხთა და მცირე შეძლების საშუალო გლეხთა მეურნეობის მიწათმოწყობის საქმე.

ამასთან ერთად, მუშავდება კანონი იმის შესახებ, რომ სახელმწიფომ თავის ხარჯზე უზრუნველჰყოს მოხუცებულები მცირე შეძლების გლეხთა ფენებიდან. ამგვარად, ჩვენ სოფლად შეუდგებით იმ სოციალური დაზღვევის გატარებას, რომელიც დღემდე ეხება მხოლოდ მუშებსა და მოსამსახურეებს. სოციალიზმის შემდეგ წარმატებათა მიხედვით სოფლად და ქალაქად, ჩვენ თანდათან მოვსპობთ ყოველგვარ განსხვავებას, მუშასა და მშრომელ გლეხს შორის.

ასეთია გზა, რომლითაც ჩვენ მივდივართ, ვახორციელებთ რა ოქტომბრის რევოლიუციის იდეებს, საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის იდეებს.

პირველი ათი წლის თავი კარზეა მომდგარი. წინ, დიად გამარჯვებათა მეორე ათი წლის თავისაკენ.

და თუ ამ გზაზე იმპერიალიზმი შეეცდება მოგვახვიოს თავზე ომი, იგი შეეჩეხება მშრომელთა მასების არაჩვეულებრივ წინააღმდეგობას და უდიდეს გმირობას, რომელნიც ოქტომბრის დიდი რევოლიუციის მონაპოვართა დაცვის სადარა ლიუციის მონაპოვართა დაცვის სადარა-

„პრავდა“, 17 ოქტომბერი.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საკავშირო ცაკის საიუბილეო სესია

16 ოქტომბრის დილის სხდომა

„ავრორა"-ს უფროსის პატაკი

მოსკოვი, 16 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის საიუბილეო სესიის ლენინგრადში დილის სხდომა გაიხსნა ამხ. კალინინის თავმჯდომარეობით. სესიის წევრებმა, ფეხზე დგომით მოისმინეს კრეისერი „ავრორა"-ს წარმომადგენლების პატაკი და მისალმება. პატაკს იძლეოდა კრეისერის უფროსი პოლენოვი. პატაკის უკანასკნელ სიტყვებს იმის შესახებ, რომ კრეისერის პირადი შემადგენლობა მზათ არის მუშურ-გლეხური მთავრობის პირველ დაძახებისთანავე ზარბაზნების უკანასკნელი გრიალით ამცნოს ქვეყანას მსოფლიო ოქტომბრის მოახლოვება, სესია ეგებება მხურვალე ტაშის ცემით.

ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენება

შემდეგ სესიამ მოისმინა ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენება საბჭოთა კავშირის 10 წლის კულტურული მშენებლობის შედეგების შესახებ. მოხსენება გაგრძელდა 3 საათი.

როდესაც ამხ. ლუნაჩარსკიმ დღის 3 საათზე დაასრულა თავისი მოხსენება, სესიამ მას გაუმართა მხურვალე ოვაციები. ამით დილის სხდომა დასრულდა. საღამოს სხდომაზე სესია მოისმენს დელეგაციების მისალმებას. (ადს).

16 ოქტომბრის საღამოს სხდომა

მისალმებები სესიას

პუტილოვის ქარხნის მუშების საჩუქარი

მოსკოვი, 17 ოქტომბერი. ცაკის სესიის 16 ოქტომბრის საღამოს სხდომას განსაკუთრებული საზეიმო ხასიათი ჰქონდა. მთელი სხდომა მოუნდა მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობათა, მუშათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების მისალმებებს. ურიცკის სასახლის კარების შესავალთან ცაკის სესიის წევრებს უჩვენებდენ ქარხანა „წითელი პუტილოველის" საჩუქარს ტრაქტორს, რომელიც ამ ქარხნის მუშებმა უძღვნეს საიუბ. სესიას. ტრაქტორზე ორი წარწერაა: „პუტილოვის ქარხნის წითელი რაზმი—გლეხის ძველი გაძვალტყავებული ცხენის შემცვლელია" და მეორე წარწერა ტრაქტორის მატორზე: „კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება, პლიუს ელექტროფიკაცია".

ამხ. ზატონსკის სიტყვა

პირველად სესიას უკრაინის ს. ს. რ. სახელით მიესალმა უკრაინის კომპარტიის (ბ) ცაკას მდივანი ამხ. ზატონსკი.

„ათი წელი გავიდა,—სთქვა ამხ. ზატონსკიმ უკრაინულ ენაზე,—რაც სამოქალაქო უფლება მოიპოვა უკრაინულმა სიტყვამ. უკრაინული ენა მიღებულია ჩვენი კავშირის ყველა დაწესებულებებში, დაწყებული უმდაბლესი ინსტანციებიდან და გათავებული უმაღლესი ინსტანციით, როგორც არის კავშირის ცაკის დღევანდელი საიუბილეო სესია. ლენინგრადის პროლეტარიატმა პირველმა მოუპოვა მშობლიურ ენაზე ლაპარაკის უფლება ჩვენს ქვეყანაში მოსახლე ყველა ერებს. ჩვენ მოწმენი ვიყავით იმისა, რომ ჩვენს ტერიტორიაზე შემოიჭრა 12 ენა, რომელნიც ამა თუ იმ დროით სცდილობდენ ჩვენს დახსნას". ლენინგრადის მუშებმა გვიჩვენეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის გზა. ამ მხრივ ჩვენ მათი მოწაფენი ვართ. ეს გზას არ გადაუხვევენ უკრაინის ს. ს. რ. მუშები და გლეხები. ლენინის საქმეს ღრმა ფესვები აქვს გადგმული საბჭოთა უკრაინაში და ნურავინ შეეცდება ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა წართმევას".

ამხ. გოლოლედის სიტყვა

ბელორუსიის ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ გოლოლედმა ბელორუსულ ენაზე წარმოთქმულ სიტყვაში საბჭოთა კავშირის ცაკის სესიას უძღვნა მხურვალე სალამი ბელორუსიის მუშათა და გლეხთა სახელით. „ეხლა,—სთქვა მან,—ბელორუსიის ს. ს. რ. მშრომელი მოსახლეობა სრულუფლებიანი წევრია საბჭოთა კავშირის ხალხთა ოჯახში. ბელორუსიის მუშები და გლეხები, კავშირის დახმარებით, აშენებენ ახალ ცხოვრებას სოციალიზმის ნიადაგზე".

ამხ. ახუნ ბაბაევის სიტყვა

უზბეკისტანის მუშათა და დეხკანთა სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა უზბეკისტანის ს. ს. რ. ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ახუნ ბაბაევმა.

ამხ. ხოჯ-მურადოვის სიტყვა

თურქმენისტანის მშრომელთა სახელით სესიას მიესალმა მუშა ხოჯ-მურატოვი.

ამხ. შალვა ელიავას სიტყვა

ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ელიავამ სთქვა:

„ოქტომბრის რევოლიუცია, რომელმაც დაამარცხა თვითმპყრობელობა ლენინგრადში, დაეხმარა ამიერ-კავკასიის მუშებს და გლეხებს მეფის ნაშთების მოსპობაში. ეხლა ამიერ-კავკასიის მშრომელთ აქვთ ნამდვილი თავისუფლება, ნამდვილი პოლიტიკური დამოუკიდებლობა. მათ მოიპოვეს საკუთარი ბედ-იღბალის გამოლის საშუალება. ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რ. მუშები და გლეხები აცხადებენ საკავშირო მთავრობის წინაშე, რომ ისინი მზად არიან ბოლომდე იბრძოლონ პროლეტარიატის დიდი ბელადის—ლენინის ნაანდერძევი იდეალების გამარჯვებისათვის

ამხ. ტახო-გოდის მისალმება

ტახო-გოდი მიესალმა სესიას ჩრდილო-კავკასიის და დაღესტანის მთიელთა 7 ავტონომიური ერთეულის სახელით.

„ჩრდილო კავკასიის მთიელებს,—განაცხადა მან,—განსაკუთრებული უფლება აქვთ მიესალმონ ცაკის სესიას და ლენინგრადის პროლეტარიატს, ვინაიდან ისინი თვითმპყრობელობის არსებობის უკანასკნელ 50 წ. განმავლობაში სასტიკ ბრძოლას აწარმოებდენ თვითმპყრობელობასთან. მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციაში დაინახეს მთიელებმა მათთვის მშობლიური მოძრაობა და იგრძნეს, რომ ეს რევოლიუცია მიანიჭებს მათ სრულ თავისუფლებას. ჩრდილო კავკასიის მთიელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სამოქალაქო ომში. ეხლა ისინი აცხადებენ, რომ ისინი უსისხლოდ არ დასთმობენ სისხლიან ბრძოლაში მოპოვებულ უფლებებს.

სამეცნიერო მუშაკების მისალმება

აკადემიკოსი **ოლდენბურგი** სესიას მიესალმა სამეცნიერო საკავშირო აკადემიის სახელით.

„სამეცნიერო აკადემია,—სთქვა მან,—უდიდეს მეცნიერულ მუშაობას აწარმოებს. ამ მუშაობის წარმოება შესაძლო ხდება მხოლოდ იმ დიდი ყურადღების გამო, რომელსაც საბჭოთა მთავრობა და კერძოდ სახალხო კომისართა საბჭო იჩენს აკადემიის მიმართ".

ლენინგრადის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის საბჭოს სახელით სესიას მიესალმა პროფესორი **ბოიკოვი**.

უზბეკისტანის მშრომელ ქალთა მისალმება

დიდის ენტუზიაზმით მიესალმა სესიას უზბეკურ ენაზე მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა საკავშირო ყრილობის წარმომადგენელი—უზბეკისტანის ს. ს. რ. ცაკის წევრი ამხ. შადიევი.

ამხ. ჩერვიაკოვის პასუხი

თავმჯდომარე ამხ. ჩერვიაკოვმა უპასუხა ამ მისალმებებს, აღნიშნა:

„რუსეთის მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვების საწინდარია დაუშრეტელი ძალა, რომელიც თვით მუშათა კლასში არის. გრძელია ის გზა, რომლითაც მიდის მუშათა კლასი და მისი ხელმძღვანელი კომუნისტური პარტია. მხოლოდ გლეხობასთან კავშირით შესძლებს მუშათა კლასი გადამწყვეტ გამარჯვებათა მიღწევას. მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურას შეუძლია ეროვნული საკითხის გადაწყვეტა. მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციამ გაანთავისუფლა ჩაგრული ერები და დარაზმა ისინი თავისი დროშის ირგვლივ. გვწამს რა ღრმად მუშათა კლასის ძლიერება, ჩვენ კვლავ უნდა გავსწიოთ წინ სოციალიზმისათვის ბრძოლაში". (ადს)

ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის, ლენინგრადის საბჭოს და ლენინგრადის საგუბერნიო პროფსაბჭოს მისალმებები

ლენინგრადი, 17 ოქტომბერი. საკ. კომპარტიის ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტი, ლენინგრადის საბჭო და ლენინგრადის საგუბერნიო პროფსაბჭო მიესალმენ ცაკის სესიას. მისალმებაში ნათქვამია:

„ცაკის ახლანდელი სესია იკრიბება საშიშარ საერთაშორისო პირობებში. ძლევამოსილ მშენებლობის მოახლოებული მეათე წლის თავი მხეცური ბოროტების და სასიკვდილო შიშის პაროქსიზმებს ჰგვრის ყველა ექსპლოატატორებსა და მჩაგვრელებს. ყველა ისინი ამყარებენ იმედს იმაზე, რომ შეირყევა დისციპლინა საბჭოთა კავშირის მშრომელთა რიგებში და შეიძლება მოხდეს რყევა მოწინავე მებრძოლთა შორის. დღე იცოდეს შეიარაღებულმა ბურჟუაზიამ და მისმა ცილისმწამებელმა ხროვამ, რომ ისინი ვერ შესძლებენ შეაჩერონ სოციალიზმის ძლევამოსილი მსვლელობა. ყოველივე მუქარის ჩვენ დავუპირდაპირებთ მუშათა და გლეხთა ბლოკის ჯავშნიან მუშტს, ჩვენი ზრდის სიძნელეებს კი—შრომის გაორკეცებულ ნაყოფიერებას და მუშაობის გაათკეცებულ ღირსებას. (ადს)

17 ოქტომბრის სხდომა

უცხოელი დელეგატები სხდომაზე

მოსკოვი, 17 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის 17 ოქტომბრის დილის სხდომაზე სწარმოებდა კამათი ამხ. **ლუნაჩარსკის** მოხსენების გარშემო. სხდომის დაწყებისას საკავშირო ცაკის წევრები მხურვალე მიესალმენ ბელგიის, შვეიცარიის და გერმანიის მუშათა დელეგაციების გამოჩენას. დელეგაციები ჩამოვიდენ საიუბილეო სესიაზე 110 კაცის შემადგენლობით. ურიცკის სასახლე ზანზარებს ტაშისაგან და „ურას" ძახილისგან, როდესაც დელეგაციების წარმომადგენლები მისალმების საპასუხოდ იძახიან „გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა მთავრობას და წითელ არმიას". შემდეგ ამხ. **რიაზანოვმა** წარმოსთქვა სიტყვა იმ მიღწევების შესახებ, რომლებიც აქვს საბჭოთა ქვეყანას იმ მასალების შესწავლისა და კონცენტრაციის საქმეში, რომლებიც ეხება კლასიურ ბრძოლის განვითარებისა და მუშათა კლასის ისტორიას.

ამხ. უგაროვის სიტყვა

ტრიბუნაზე მას სცვლის ლენინგრადის საგუბერნიო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **უგაროვი**. მან გადასცა მხურვალე პროლეტარული სალამი პროლეტარულ დიქტატურის უმაღლეს ორგანოს და გააცნო სხდომას ის მიღწევები, რომლებიც აქვს ლენინგრადის მრეწველობას. ლენინგრადის პროფორგანიზაციები ყოველ ღონისძიებას ხმარობენ იმისათვის, რომ პროლეტარიატი აიყვანონ განვითარების განსაკუთრებულ, უმაღლეს საფეხურზე. შექმნილია პოლიტგანმანათლებელ და საერთო განმანათლებელ დაწესებულებათა დიდი ქსელი. ამასთან ერთად, ლენინგრადის პროლეტარიატი ენერგიულ მეცადინეობას აწარმოებს სამხედრო საქმეში და ემზადება ჩვენი ქვეყნის დასაცავად. ამხ. უგაროვი ლენინგრადის პროლეტარიატის სახელით ესალმება დარბაზში მყოფ უცხოელ მუშათა დელეგაციების წარმომადგენლებს და განსაკუთრებით მხურვალე სალამს უძღვნის შვეიცარიის მუშათა დელეგაციას, რომელიც პირველად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. მის სიტყვებს ფარავს მთელი დარბაზის ტაში.

უცხოელ დელეგატების სიტყვები

ამხ. უგაროვის შემდეგ გამოდიან უცხოელ მუშათა დელეგაციების წარმომადგენლები ისინი სალამს უძღვნიან საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს და გლეხობას თავის ქვეყნის პროლეტარიატის სახელით. თვითეულ დელეგატის გამოჩენას ცაკის წევრები ხვდებიან მქუხარე ტაშით.

კამათი ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენების გარშემო

უცხოელ მუშათა დელეგაციების მისალმებათა გათავების შემდეგ სხდომა მოკლე ხნით სწყდება, რის შემდეგ სესია გადადის კამათზე ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **სკრიპნიკმა** (უკრაინის ს. ს. რ. სასურსათო სახ. კომისარი), **კოროსტელევმა** (განათლების მუშათა პროფკავშირის ცაკა), **ბალიცკიმ** (ბელორუსიის ს. ს. რ. სასურსათო სახ. კომისარი) და **სემაშკომ** (საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის სახ. კომისარი). დღის სამ საათზე სესიის სხდომა დახურულად ცხადდება. საღამოს სხდომა არ შემდგარა.

ლენინგრადის პროლეტარიატი ესალმება სესიას

სესიის წევრები სრული შემადგენლობით ეგებებოდენ ურიცკის სასახლესთან შეკრებილ მუშათა დემონსტრაციებს, რომლებიც მიემართებიან სასახლისაკენ ქალაქის ყველა კუთხეებიდან, ყველა ფაბრიკა-ქარხნებიდან. ქუჩაში ფრიალებენ მრავალი ათასი წითელი დროშები და პლაკატები. თვითეული ქარხანა, თვითეული დაწესებულება გამოვიდა თავისი ორკესტრით. გუგუნებენ „ინტერნაციონალის" მძლავრი ხმები. მუშებთან ერთად მსვლელობაში მონაწილეობას იღებენ წითელფლოტის მუშათა ნაწილებიც. აგრეთვე პიონერები, მოწაფეები, სტუდენტები, მეცნიერები, მოსამსახურეები. ცაკის წევრები ხვდებოდენ დემონსტრაციის დიდ საბარგო ავტომობილებზე, რომლებიც გადაიქცა ტრიბუნებად. ავტომობილები ჩამწკრივებული იყვნენ ურიცკის სასახლის გალავნის გასწვრივ.

ამხ. კალინინი, ენუქიძე, სემაშკო, პეტროვსკი, კომაროვი, უგაროვი, კიროვი, კარახანი, ფელიქს კონი, კონდრატიევი ესალმებოდენ დემონსტრანტებს. (ადს).

—:—

გამოძახილი უცხოეთში

უცხოეთის პრესა ცაკის სესიის შესახებ

ბერლინი, 17 ოქტომბერი. გერმანიის პრესა აქვეყნებს დაწვრილებით ანგარიშს საბჭოთა კავშირის ცაკის სესიის შესახებ, და კერძოდ საბჭოთა კავშირის ცაკის მანიფესტს და ამხ. რიკოვის სიტყვას. (ადს).

ვენა, 17 ოქტომბერი. ავსტრიის მთელი პრესა თვალსაჩინო ადგილას აქვეყნებს საბჭოთა კავშირის ცაკის მანიფესტს. (ადს).

ამხ. ბუხარინის მოხსენება

პროფკავშირთა მოსკოვის საგუბერნიო ყრილობაზე

მოსკოვი, 17 ოქტ. ამხ. ბუხარინი თავის მოხსენების დასაწყისში შეეხო ოქტომბრის ათი წლის თავის უდიდეს მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ სავსებით ბუნებრივია ეხლა გადავხედოთ განვლილ გზას და შევამოწმოთ—მივდივართ თუ არა იმ წითელი გზით, რომელიც დასახული იყო რევოლიუციის პირველ დღეებში, როცა ჩვენ ყველანი გახვეული ვიყავით თოფის წამლის სუნში, თუ ეს გზა უკვე „გახუნდა" ან ზოგიერთ ადგილას „ცოტა გათეთრდა" კიდეც, რის დამტკიცებასაც სცდილობენ ჩვენი მტრები და ხანდახან ზოგიერთი ჩვენი „მეგობრებიც"; შევინარჩუნეთ თუ არა პროლეტარიატის დიქტატურა; განმტკიცდა სოციალისტური მეურნეობა, თუ სახალხო მეურნეობის სოციალიზაციას და ნაციონალიზაციას თან მოჰყვა მისი კვლავ გადასვლა არაპროლეტარული ელემენტების ხელში; დაიჭირა თუ არა ისტორიული გამოცდა ბოლშევიკების იმედებმა. რომლებიც დამყარებული იყო რევოლიუციის ინტერნაციონალურ ხასიათზე?

„ჩვენი მოწინააღმდეგენი,—განაგრძობს ამხ. ბუხარინი,—უარყოფით უპასუხებენ ამ კითხვაზე. ზოგიერთ მუშებსა და პარტიულ ამხანაგებში,—თუმცა მეტად უმნიშვნელო ნაწილში,—გაისმის მოუთმენლობის ხმები: „როდისღა დაიწყება მსოფლიო რევოლიუცია".

ჩვენ ვსცნობთ, რომ **იმედები დამყარებული საერთაშორისო რევოლიუციაზე, სავსებით გამართლდა**, ვინაიდან იგი არის ჩვენი სინამდვილის ურყევი ფაქტი: ბურჟუაზიულ თებერვლის რევოლიუციას ჩვენში თან მოჰყვა 1917 წლის ოქტომბრის პროლეტარული რევოლიუცია და მას, მცირე ხნის განმავლობაში თან მოჰყვა რევოლიუცია გერმანიაში, ავსტრიაში და უნგრეთში, აჯანყება ბულგარეთში და მაროკოში, საყოველთაო გაფიცვა ინგლისში, ვენის აჯანყება და უდიდესი რევოლიუციონური მოძრაობა ჩინეთში.

მართალია, მუშათა კლასს ამ ქვეყნებში არ მოუპოვებია სრული გამარჯვება, მაგრამ **გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მუშათა ხელისუფლების დაპყრობა ერთი დღის განმავლობაში შეიძლება მოხდეს. უნდა შევიგნოთ, რომ საერთაშორისო რევოლიუცია მთელი ეპოქაა, რომელიც მოასწავებს მსოფლიოს გარდაქმნისა და კაპიტალისტური წყობილების დანგრევის პროცესს, ჩვენ ყველგან ვხედავთ კაპიტალიზმის კრიზისს, რომელიც განსაკუთრებით ნათლად იჩენს თავს აღმოსავლეთში. მაგრამ დასავლეთ ევროპაშიაც, სადაც ადგილი აქვს კაპიტალიზმის ერთგვარ სტაბილიზაციას, უმუშევრობის ძლიერი ზრდა და რეპრესიები მუშათა კლასის წინააღმდეგ, იწვევენ მუშათა კლასის გამემარცხენების პროცესის ზრდას. თუ დაიწყო ომი საბჭოთა კავშირთან, მაშინ მოძრაობა ჩვენს სასარგებლოდ ისეთი ძლიერი იქნება, რომ საფრთხის ქვეშ დააყენებს მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოს.**

შემდეგ მომხსენებელმა, შეეხო რა საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთობას, აღნიშნა, რომ აქა-იქ გაისმის ხმები კაპიტალისტურ ქვეყანასთან კავშირის გაფართოების შესახებ, ამასთანავე იმის მტკიცებამდეც კი მიდიან, რომ „ინტერნაციონალური პოლიტიკის" სასარგებლოდ გაუქმებულ უნდა იქნას საგარეო ვაჭრობის მონოპოლიაო.

„მაგრამ,—განაგრძობს ამხ. ბუხარინი",—საბჭოთა კავშირმა ეხლანდელ გარემოცვის პირობებში უნდა აღმართოს ბარიერი თავისი მტრების წინააღმდეგ; ამ ბარიერის დანგრევა დამღუპველი იქნებოდა საბჭოთა სახელმწიფოსათვის. **ჩვენი „თანამშრომლობა" კაპიტალისტურ ქვეყანასთან არსებითად არის ბრძოლა, რომელსაც თან უნდა მოჰყვეს ერთ-ერთი ჩვენთაგანის დაღუპვა.** განა ამით არ აიხსნება ურთიერთობის შეწყვეტათა ის პერიოდი, რომელმაც ეხლა შესცვალა საბჭოთა კავშირის ცნობათა ეპოქა? ჩვენ ეხლა არ წავალთ იმ დათმობებზე, რომლებზედაც წავიდოდით ჯერ კიდევ რამოდენიმე წლის წინედ".

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა იმ საყვედურზე საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის წინააღმდეგ, რომელიც ცნობილია როგორც საყვედური „ტერმიდორიანული გადაგვარების" შესახებ.

„ტერმიდორი,—ამბობს ამხ. ბუხარინი,—ეს ის თვეა, როცა უარყოფილ იქნა რობესპიერის დიქტატურა. ნეპის შემდეგ მენშევიკებმა პირველად შემოიღეს ხმარებაში ეს ტერმინი და აღნიშნავდენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება თავისუფალი ვაჭრობის დაშვებით კაპიტულიაციაზე წავიდა წვრილბურჟუაზიული სტიქიის წინაშე.

ამ წინასწარმეტყველებათა შეუსაბამობას ნათლად უარჰყოფს საბჭოთა მრეწველობისა და ვაჭრობის სოციალისტური სექტორის ზრდის უდავო ფაქტები და კერძო კაპიტალის განუწყვეტელი განდევნა.

სახელმწიფო მრეწველობის წლიური პროდუქცია 1924—25 წელში შეადგენდა 81,3 პროც., შემდეგ წელში 83,7 პროც., ამ წელში—85,9 პროც., მომავალ წელში—87,3 პროც. მაშინ როდესაც ყოველწლობით იზრდება სოციალისტური სექტორი ჩვენს მეურნეობაში, კერძო კაპიტალი ვაჭრობაში განუწყვეტლივ მცირდება. მიმდინარე წელში, როცა ხდებოდა სავაჭრო ბრუნვის საერთო ზრდა, კერძო კაპიტალი შემცირდა 10 პროც.-ით.

ამგვარად, კითხვაზე: „ვინ—ვის?" ჩვენ უპასუხებთ: **ჩვენ ეხლა ჩვენს მოწინააღმდეგეს უტევთ ისეთ პირობებში, როცა უდიდესი უპირატესობა გვაქვს მის წინაშე.** არაჩვეულებრივი ნგრევის, სიმშილის, სიცივის, ვალიუტის საშინელი დაცემის წლების შემდეგ, როცა ჩვენ მართლა გველოდა საფრთხე წვრილბურჟუაზიული სტიქიის მხრივ, ჩვენ ეხლა გვაქვს ფაბრიკები, რომელიც უდიდეს პროდუქციას იძლევა, ჩვენ გვაქვს კოოპერაცია, ვაჭრობა, ტრანსპორტი და ფულის ბრუნვა, რომელიც დღითი-დღე იზრდება. მომავალში უდიდესი სიძნელენი სდგას ჩვენს წინაშე ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, ქალის საბოლოო განთავისუფლების და სახალხო მეურნეობის მთელი სისტემის გაფართოების გზაზე.

ჩვენ ჯერჯერობით პირველი ნაბიჯები გადავდგით წინ, მაგრამ მიღწეული შედეგების ჩვენ არ უნდა გვრცხვენოდეს. ჩვენ მივდივართ წინ მსოფლიო რევოლიუციის დროშის ქვეშ, მსოფლიო ამბოხების პარტიის ხელმძღვანელობით და ამ ხელმძღვანელობით ჩვენ გავიმარჯვებთ". (ადს).

მუშა და გლეხ-ქალთა ყრილობა

მოსკოვი, 17 ოქტომბერი. მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა 15 ოქტომბრის ყრილობის საღამოს სხდომაზე მოხსენება გააკეთა რ. ს. ფ. ს. რ. ჯანმრთელობის სახ. კომისარმა ამხ. სემაშკომ.

მომხსენებელმა დაახასიათა რა მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ცხოვრების მძიმე პირობები თვითმპყრობელობის დროს, აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ძირიანფესვიანად შესცვალა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე. მომხსენებელმა ეს ნათლად დაასაბუთა სათანადო ციფრებით.

„მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა თვითმოქმედება,—სთქვა ამხ. სემაშკომ,—რომელთაც შეაკავშირეს პირველი დახმარების 2.000 წრე წითელი ჯვარის და წითელ ნახევარ-მთვარის საზოგადოებებთან, დაეხმარენ 4.000 ბაგის მოწყობას სოფლებში, და სხ., ეს თვითმოქმედება ამტკიცებს, რომ ჯანმრთელობის დაცვის საქმეში თვით მშრომელნი ებმებიან".

შემდეგ ამხ. ლებედევმა გააკეთა თანამოხსენება დედობისა და ბავშობის დაცვის შესახებ.

რამოდენიმე დელეგატ-ქალის გამოსვლის შემდეგ, სიტყვები წარმოსთქვეს ავსტრიის ქალთა დელეგაციის წარმომადგენელმა იოგანა შტურმმა. რემედისის ცაკას თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. სტასოვამ და ამხ. კოლონტაიმ, ყრილობის მონაწილეებს გაუზიარეს მოგონებანი მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა პირველი ყრილობის შესახებ, რომელიც 9 წლის წინეთ შესდგა.

საფრანგეთის მემარცხენე პრესა საბჭ. კავშირთან შეთანხმებას მოითხოვს

პარიზის მუშების მიტინგები საფრანგეთის შავრაზმული პრესის კამპანიის წინააღმდეგ

ახალი „შეთანხმება" უხანისა და ნანკინის მილიტარისტებს შორის

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

გერმანული გაზეთების აზრი

ბერლინი, 16 ოქტომბ. გერმანიის მთავრობის პასუხისმგებელი წრეები და გერმანული პრესის დიდი ნაწილი კმაყოფილებას გამოსთქვამენ, რომ რაკოვსკისთან მომხდარი ინციდენტის ლიკვიდაცია მოხდა საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის გართულების გარეშე.

„ფრანკფურტერ ცეიტუნგი" ინციდენტის ლიკვიდაციას უწოდებს მსოფლიო მნიშვნელობის დიდ ფაქტს.

„კელნიშე ცეიტუნგი" სწერს, რომ ჩიჩერინისა და რაკოვსკის პოლიტიკა სცდილობს ჩამოაშოროს საფრანგეთი იმ ფრონტს, რომელსაც აწყობს ინგლისი და გახადოს იგი ნეიტრალური (ადს).

ფრანგული პრესის გამოძახილი

პარიზი, 16 ოქტომბ. მთელი პრესა, გარდა სოციალისტურისა, კომენტარიებს უკეთებს რაკოვსკის გამოწვევას. უკიდურეს მემარჯვენე გაზეთები არ კმაყოფილდებიან საბჭოთა მთავრობის თანხმობით რაკოვსკის გამოწვევაზე და მოითხოვენ ურთიერთობის საბოლოოდ გაწყვეტას საბჭოთა კავშირთან. ზომიერი მემარჯვენე გაზეთები კმაყოფილებას გამოსთქვამენ მოსკოვის გადაწყვეტილების გამო და რაკოვსკის მოადგილეს აძლევენ რჩევას „დაიცვას დიპლომატიური თავაზიანობა", წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებიან საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტით.

მემარჯვენე რადიკალური გაზეთები ესალმებიან იმ ფაქტს, რომ ურთიერთობის შეწყვეტა **არ მოხდა**. მემარცხენე-რადიკალური გაზეთები რაკოვსკის გაწვევას აფასებენ, როგორც პირველ ნაბიჯს ურთიერთობის ჩაშლის გზაზე.

საფრანგეთის მემარცხენე პრესა აწარმოებს კამპანიას ურთიერთობის ჩაშლის წინააღმდეგ და აყენებს შემდეგ არგუმენტებს: საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტა გერმანიას მისცემდა მონოპოლიას ევროპის აღმოსავლეთში და პოლონეთის ერს ჩააყენებდა ისეთ მდგომარეობაში, რომ მას ან თანდათანობით გადაყლაპავდა საბჭოთა კავშირი, ან გახდიდა მძევლად გერმანიის ხელში რუსეთის წინააღმდეგ; ურთიერთობის შეწყვეტა იქნებოდა წვრილ მესაკუთრეთა ინტერესების ღალატი; ურთიერთობის შეწყვეტა საფრანგეთის მრეწველობას წაართმევდა რუსეთის ბაზარს და შეუძლებლად გახდიდა რუსეთის ნავთის მიწოდებას საფრანგეთისათვის (ადს).

მემარცხენე პრესა აღელვებულია

პარიზი, 16 ოქტომბერი. **მემარცხენე პრესა**, რომელიც შეშფოთებულია ურთიერთობის გაწყვეტის მომხრეთა პოზიციით და საბჭოთა კავშირის ახალ ელჩის დაშვების წინააღმდეგ გამართული კამპანიით, მოითხოვს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის დაცვას.

„ერ ნუველ"-ი სწერს:

„მოლაპარაკების შეწყვეტა ქვეყანასთან იმის გამო, რომ ის იყენებს დისკუსიის ისეთ მეთოდებს, რომლებიც ჩვენ არ მოგვწონს, წარმოადგენს არა სიბრძნის აქტს, არამედ თავისი სისუსტის აღიარებას".

„ვოლონტე" სწერს: „პარიზი გაურბის პასუხის გაცემას მოსკოვისათვის, ვინაიდან მოსკოვის არგუმენტაცია უნაკლოა. რესპუბლიკების პასუხისმგებელი ბელადები უნდა შეეცადონ, რომ მიიღონ მთავრობისაგან ახსნა-განმარტებები ამ საკითხის შესახებ".

„პოპულიერ"-ი სწერს: „მთავრობამ დააყენა თავი ურთიერთობის გაწყვეტის საშიშროების წინაშე ჯერ ფინანსიურ წრეების, ახლა დეტერდინგის და შემდეგ კოტისა და მილიერანის წინაშე კაპიტულიაციის წყალობით".

„იუმანიტე" სწერს: „პირველ დამარცხების შემდეგ, რომელიც იყო სიმხდალისა და სულით დაცემის შედეგი, წვრილმა ბურჟუაზიამ კიდევ უფრო მეკავშირებულად უნდა იბრძოლოს პროლეტარიატთან ერთად მშვიდობიანობისათვის". (ადს).

პარიზის მუშების პროტესტი

პარიზი 16 ოქტომბერი. 15 ოქტომბერს პარიზის მუშათა რაიონებში შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგები, რომლებზედაც მიღებულია საბჭოთა კავშირის სოლიდარობის რეზოლიუციები. მიღებულია აგრეთვე საპროტესტო რეზოლიუციები საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტისაკენ მიმართულ კამპანიისა და ახალ ომისთვის მზადების წინააღმდეგ. ორატორები აღნიშნავდენ, რომ პუანკარემ, რომელიც მიჰყვება რეაქციონერებსა, დაუთმო შანტაჟის კამპანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. პარიზის მშრომელნი მოუწოდებენ პროლეტარიატს, ჯარს და ყველა მშრომელთ იბრძოლონ ახალ ომის საშიშროების წინააღმდეგ და დაიცვან პროლეტარული სახელმწიფო, რომელიც აშენებს სოციალიზმს. (ადს).

დეტერდინგის საქმე

პრაღა, 16 ოქტომბერი. „ბოჰემია" ათავსებს წერილს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ, რომელშიაც საფრანგეთის პრესის მიერ რაკოვსკის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას სთვლის დეტერდინგის მახინაციების შედეგად. გაზეთის სიტყვით, ინგლისის ელჩი პარიზში არა ერთხელ. მაგრამ უშედეგოდ სცდილობდა დაეთანხმებია ბრიანი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტაზე. (ადს).

უხან-ნანკინის მორიგი შეთანხმება

ლუნხაის რკინისგზის ფრონტზე

პეკინი, 16 ოქტომბერი. ტოხოს სააგენტოს ცნობით, ფინ-იუ-სიანის ჯარები ლუნხაის რკინისგზის ფრონტზე გადავიდენ შეტევაზე, მაგრამ მათი შეტევა შეაჩერა მუკდენელთა კონტრშეტევამ. ფინ-იუ-სიანის ჯარებმა დაიხიეს ისე, რომ წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. შანდუნის ჯარებმა დაიჭირეს ქალაქი გუეიდე, ხენანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კუთხეში და სამხრეთით ლუნ-ხაის რკინისგზიდან.

ტან-შენ-ჩის და ვან-ცზინ-ვეის შეთანხმება ნანკინელებთან

შანხაი, 16 ოქტომბერი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ ნანკინის მოლაპარაკების შემდეგ ტან-შენ-ჩიმ და ვან-ცზინ-ვეიმ იცვნეს გომინდანის ნანკინის საგანგებო კომიტეტი. ნანკინელებმა თავის მხრივ განაცხადეს თანხმობა გომინდანის მე-4 პლენუმის დაუყოვნებლივ მოწვევაზე გომინდანის ცეკას ასარჩევად. (ადს).

პოლიციის სამმართველოს დარბევა

შანხაი, 16 ოქტომბერი, შანხაის პოლიციამ დააპატიმრა რამოდენიმე გაფიცული მენავე, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ქალაქის ჩინურ ნაწილში სავაჭრო პალატის მიერ მოწყობილ ვოლონტიორების რაზმთან შეტაკებაში. იმავე დღეს საღამოთი 150 ქალი დააპატიმრეს, რომელთა ცოლების მეთაურობით თავს დაესხა საპოლიციო სამმართველოს შენობას და სავსებით დაარბია იგი (ადს).

შანხაის იურიდიული ინსტიტუტის პრორექტორის მოკვლა

შანხაი, 16 ოქტომბერი. შანხაიში მოჰკლეს იურიდიული ინსტიტუტის პრორექტორი. ჩინური გაზეთების ცნობით, ამ პრორექტორმა, გომინდანის საქალაქო კომიტეტის მოთხოვნილებით, გაცა ბრძანება, რათა ინსტიტუტიდან გამორიცხოთ 12 კომუნისტი. სტუდენტი, სტუდენტებს მისცეს წინადადება დაუყოვნებლივ დატოვებინათ ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელი. პოლიცია დაეძებს მკვლელებს (ადს).

დემობილიზაცია

შანხაი, 16 ოქტომბერი. 15 ოქტომბერს გონ კონგში გაემგზავრა 1.300 ინგლისელი ჯარის კაცი. ისინი ინგლისში გაემგზავრებიან დემობილიზაციისათვის. (ადს).

აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე

ხარბინი, 16 ოქტომბერი. იაპონიის პრესა მანჯურიაში კვლავ ავრცელებს ხმებს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდების განზრახვის შესახებ. დაირენის „მანჯურია დეილი ნიუსის" ცნობით, პეკინში შექმნილია კომისია, რომელიც ამუშავებს საკითხს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის მმართველობის გადასვლის შესახებ ჩინელთა ხელში (ადს).

ინგლისის მშრომელნი ირჩევენ დელეგატებს

საბჭოთა კავშირში გასაგზავნათ

ბერლინი, 17 ოქტომბერი. შაბათს ლონდონსა, შეფილდსა, მანჩესტერსა, ბირმინგამსა, ნიუ-იორკსა, კარდიფსა და გლაზგოში შესდგა კონფერენციები საბჭოთა კავშირში გასაგზავნ დელეგაციების მონაწილეთა არჩევნებისათვის, ყველა კონფერენციებზე მიღებულ იქნა რეზოლიუციები, რომელშიაც დელეგატებს ავალებენ, საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს, და აგრეთვე საბჭოთა მთავრობას, გადასცენ, რომ **ინგლისის მუშები ამაყობენ ოქტომბრის რევოლიუციის მიღწევებით. ულოცავენ საბჭოთა კავშირს სოციალისტური მშენებლობის მიღწევებს, უცხადებენ სოლიდარობას საბჭოთა მშრომელებს, მზად არიან დაიცვან მსოფლიოში პირველი მუშათა რესპუბლიკა**, გამოსთქვამენ ზიზღს ინგლისის მთავრობის მზადების წინააღმდეგ და აცხადებენ, რომ მტკიცედ იბრძოლებენ ყოველგვარი ანტი-საბჭოთა სამხედრო გალაშქრების წინააღმდეგ. (ადს).

მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია

ლონდონი, 17 ოქტომბერი. ლონდონში და პროვინციალურ ცენტრებში შაბათს შესდგა მუშა-ახალგაზრდობის კონფერენციები საბჭოთა კავშირში გასაგზავნ დელეგატების მონაწილეთა ასარჩევად. (ადს).

ჰამბურგელი მენშევიკები უარყოფენ კომუნისტების წინადადებას

მენშევიკების კოალიცია ბურჟუაზიასთან

ბერლინი, 16 ოქტომბ. 14 ოქტომბერს ჰამბურგში შესდგა სოციალ-დემოკრატების სადელეგატო კრება, რომელმაც განიხილა საკითხი მუნიციპალური არჩევნების შედეგების შესახებ და კომუნისტების მიერ წამოყენებული მოთხოვნილება—მინიმუმი, რომელიც ეხებოდა მუნიციპალიტეტის მუშათა უმრავლესობის გამოყენებას.

სოც.-დემ. პარტიის ჰამბურგის კომიტეტის წინადადებით, **კომუნისტების მოთხოვნილება განუხორციელებლათ იქნა ცნობილი.** კრებამ პრინციპიალურად საჭიროდ სცნო სოციალ-დემოკრატებსა და სახალხო პარტიას შორის დღეს არსებული კოალიციის დაცვა. ჰამბურგის წარმოებებში შესდგა მუშათა კრებები, რომლებმაც მოიწონეს კომპარტიის მოთხოვნილება.

კრებებმა გამოიტანეს რეზოლიუციები, რომელშიაც მოითხოვენ სოციალ-დემოკრატებისაგან სათანადო ნაბიჯების გადადგმას (ადს).

ოსმალეთის სახალხო პარტიის ყრილობა

ანგორა, 16 ოქტომბერი. 15 ოქტომბერს ანგორაში გაიხსნა სახალხო რესპუბლიკანური პარტიის მესამე ყრილობა. ყრილობას დაესწრო 441 დელეგატი.

ყრილობა გახსნა პარტიის თავმჯდომარემ **მუსტაფა-ქემალ-ფაშამ**, რომელმაც განაცხადა:

„ეს ყრილობაც, როგორც ჩვენი პარტიის მეორე ყრილობა, რომელიც სივასში იყო მოწვეული, უნდა შეიქნეს ოსმალეთის მოსახლეობის სოციალური განწყობილებისა და მიზნების გამომხატველი. უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნები საუკეთესო მაჩვენებელია იმ ნდობის, რომლითაც სარგებლობს ჩვენი პარტია ოსმალეთის მოსახლეობაში ჩვენ ვამაყობთ ამ ნდობით და ამ ყრილობაზე განვიხილავთ ყველა იმ საკითხებს, რომლებიც ეხება ჩვენი პარტიის უახლოეს წლების მოქმედებას და მივიღებთ ყველა ზომებს იმისათვის, რომ ყრილობის დადგენილებები მთლიანად ეთანხმებოდენ ქვეყნის საჭიროებებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყრილობის მუშაობა სახელმწიფოსათვის სასურველ ნაყოფს გამოიტანს და ახალ სახელოვან სტრიქონებს ჩასწერს რესპუბლიკანურ-დემოკრატიული რეჟიმის ისტორიაში, სანამ შეუდგებოდეთ აზრთა გაცვლა-გამოცვლას და პარტიის წინაშე დასმულ ამოცანათა გარჩევას, ჩემი ვალია ანგარიში ჩავაბარო ხალხს პარტიის წარსული 9 წლის მოქმედების შესახებ, იმ წარსული წლების მოქმედების შესახებ, რომელიც მდიდარი იყო მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენებით".

ყრილობის თავმჯდომარეთ პრემიერ **ისმეტ-ფაშის** და პრეზიდიუმის სხვა წევრების არჩევის შემდეგ მუსტაფა ქემალ-ფაშამ დაიწყო ახალი ოსმალეთის წარმოშობის ისტორიის აღწერა.

შვიდი საათის განმავლობაში მუსტაფა ქემალ ფაშა ახწერდა ახალი ოსმალეთის შექმნის ისტორიას. დაიწყო იმ დროიდან როდესაც ის 1919 წ. 19 მაისს ჩამოვიდა სტამბოლიდან სამსუნში, დაახასიათა ქვეყნის მაშინდელი მდგომარეობა, შემდეგ შეეხო პარტიის პირველ ყრილობას, რომელიც მოწვეული იყო არზრუმში და ბოლოს გადავიდა იმ მდგომარეობის დახასიათებაზე, რომელიც არსებობდა სახელმწიფოში პარტიის მეორე ყრილობის მოწვევის წინ.

16 ოქტომბრის სხდომაზე პრეზიდენტი განაგრძობს თავის სიტყვას (ადს).

გერმანიის წითელ ფრონტელთა კავშირის დაშლა

ბერლინი, 16 ოქტომბერი. ვიტენბერგის სოციალ-დემოკრატმა ბურგომისტრმა დაშალა წითელ ფრონტელების კავშირის ადგილობრივი ორგანიზაცია. ეს მესამე შემთხვევაა, რომ პრუსიაში შლიან წითელ ფრონტელების კავშირის ადგილობრივ ორგანიზაციას. კელნიდან მიღებულ ცნობებით, იქ მოხდა შეტაკება „ფოლადის მუზარადს" და წითელ ფრონტელთა ჯგუფს შორის. წითელ ფრონტელების კავშირის ბევრი წევრები დააპატიმრეს. (ადს)

მისალმება საბჭოთა კავშირის მშრომელთ

ბერლინი, 16 ოქტომბერი. ბერლინში შესდგა წითელ ფრონტელთა კავშირის და ამ კავშირის ახალგაზრდათა ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტის სხდომა, რომელიც გაგრძელდა ორი დღე. სხდომამ მიიღო მიმართვა ფრონტელთა კავშირის წევრებისადმი, რომელიც მოუწოდებს მათ დაიცვან ოქტომბრის რევოლიუცია. მოწოდება სალამს უძღვნის საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის თავის გამო. (ადს))

გაფიცვის დასრულება

ბერლინი, 16 ოქტომბერი. დასრულდა ლუდის ქარხნების მუშების გაფიცვა, რომელიც გაგრძელდა ორი კვირა. მუშების მოთხოვნილებები მხოლოდ ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული. ასეთსავე პირობებში დასრულდა ხის დამმუშავებელთა გაფიცვაც. (ადს)

კაპაბლანკა—ალიოხინი

ბუენოს-აირესი, 16 ოქტომბ. შეჯიბრის მე-15-ე პარტია 30 სვლის შემდეგ უშედეგოთ დამთავრდა (ადს).

გამოფენა ბერლინში

ბერლინი, 16 ოქტომბერი. ბერლინში მოეწყო „საბჭოთა კავშირის 10 წლის თავის" გამოფენა. გამოფენა შეიცავს მრავალ კარგად შერჩეულ გრაფიკულ და მხატვრულ მასალას. გამოფენა დიდი წარმატებით სარგებლობს და იზიდავს მრავალ ხალხს. (ადს).

სანტოს პროცესი

ვენა, 17 ოქტომბერი. დღეს ბუდაპეშტში დაიწყო სანტოს და მისი ამხანაგების პროცესი. სასამართლოს თავმჯდომარეობს სემაკი, რომელიც თავმჯდომარეობდა რაკოშის პროცესზე.

გადაფრენა ოკეანეზე

პარიზი, 16 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ფრანგი მფრინავები **კოსტი** და **ლებრისკი**, რომლებიც 14 ოქტომბერს 6 საათზე და 23 წუთზე გამოფრინდენ სან-ლუიდან (სენეგალში), იმავე დღეს 23 საათზე და 40 წუთზე ჩამოფრინდენ ნატალ-პორტში (ბრაზილია) მფრინავებმა გადასჭრეს ატლანტიის ოკეანე და გაიარეს 3,200 კილომეტრი (ადს).

გემის დაღუპვა

ნიუ-იორკი, 16 ოქტომბერი. გემი „პარიზი", რომელიც ნიუ-იორკიდან საფრანგეთში მიდიოდა გუძონის ყურეში დაეჯახა ნორვეგიის ტრანსპორტს „ბესეგენს", ტრანსპორტი მაშინვე ჩაიძირა. ტრანსპორტის შემადგენლობიდან დაიღუპა 8 კაცი. (ადს).

კუკის განცხადება

ბერლინი, 16 ოქტომბერი. კომუნისტური პრეს-ბიუროს ბიულეტენში გამოქვეყნებულია ვრცელი ინტერვიუ კუკთან, რომელიც ბერლინში ჩამოვიდა შრომის საერთაშორისო ბიუროს სესიის გამო.

კუკმა განაცხადა: მეტად საეჭვოა, რომ მუშათა პარტიამ აიღოს ძალაუფლება უახლოესი არჩევნების შემდეგ. მან აღნიშნა, რომ ინგლისის ფაშისტური ორგანიზაციები სარგებლობენ მთავრობის აშკარა მხარის დაჭერით, ძლიერდებიან და უეჭველია შეეცდებიან ფაშისტური რეჟიმის დამყარებას ძალადობის გზით, თუ არჩევნების მსვლელობა გამოააშკარავებს, რომ შესაძლებელია მუშათა პარტია მოექცეს ხელისუფლების სათავეში.

„მე დარწმუნებული ვარ,—სთქვა კუკმა,—თუ წინააღმდეგ ჩემი მოლოდინისა, მუშათა კლასი მოექცა ხელისუფლების სათავეში, იგი მუშათა მასების ზეგავლენით იძულებული იქნება სრული სახით განაახლოს დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

ომის საფრთხის საკითხზე კუკმა განაცხადა:

„მე დარწმუნებული ვარ, რომ ყოველგვარ ზომებს მიმართავენ, რათა შექმნან ფინანსიური ბლოკადა საბჭოთა კავშირის ირგვლივ. მაგრამ ინგლისის მთავრობას ძალიან ბევრი შინაგანი დაბრკოლებები აქვს და ამიტომ არ ძალუძს გადამჭრელი ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით. მაგრამ ეს არ შეუშლის ხელს ინგლისის მთავრობას, რომ ხელსაყრელ მომანტში თავს დაესხას საბჭოთა კავშირს, მით უფრო, რომ ამას ხელს უწყობს ინგლისის მუშათა მოძრაობის ოფიციალურ ხელმძღვანელთა პოლიტიკა, რომელთაც გასწყვიტეს ურთიერთობა საბჭოთა კავშირის პროფკავშირებთან. ამასთან დაკავშირებით მე კვლავ ხაზი უნდა გაუსვა, რომ ინგლისის მშრომელნი არ დაუჭერენ მხარს ინგლისის მთავრობას ამ საქმეში და რომ ტრედ-იუნიონების ყრილობის გადაწყვეტილებას საკავშირო პროფსაბჭოსთან კავშირის შეწყვეტის შესახებ მუშათა მასები მხარს არ უჭერენ. კიდევ მეტი, მე დარწმუნებული ვარ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის აცილების მიზნით, ინგლისის მშრომელნი ერთსულოვნად ჩაატარებენ საყოველთაო გაფიცვას და ამაში მდგომარეობს, ჩემის აზრით, მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ ხორციელდება კონსერვატიული თავრობის ზრახვები. მიუხედავათ ამისა, ჩვენ ორგანიზაციულად უნდა მოვემზადოთ ყოველგვარი შესაძლებლობისათვის, საბჭოთა კავშირთან ომის შესაძლებლობისათვისაც კი.

დასასრულ კუკმა განაცხადა, რომ იგი შესაძლოდ სცნობს მთლიანი რევოლიუციონური ინტერნაციონალის შექმნას მე-2 ინტერნაციონალისა და კომინტერნის წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევის შემდეგ.

ავსტრიელი ტროცკისტები

ვენა, 16 ოქტომბერი. ავსტრიის კომუნისტური პარტიიდან გარიცხულ **ოტტო ფრეის** ფრაქციამ, რომელიც თავის თავს სთვლის ოპოზიციად, ავსტრიის კომუნისტურ პარტიაში, გამოაქვეყნა დადგენილება, რომელშიც ილაშქრებს კომინტერნის აღმასკომის წინააღმდეგ და სოლიდარობას უცხადებს ტროცკის, ვუიოვიჩის და ზინოვიევის ფრაქციებს.

ავსტრიის კომუნისტური „როტე ფანე" ამის გამო სწერს:

„ანტი-ბოლშევიკური ოპოზიცია საკავშ. კომპარტიის შიგნით წარმოადგენს პროლეტარიატისათვის უცხო ყველა იმ ავანტიურისტების თავშესაფარს, რომლებიც რევოლიუციონური მუშათა მოძრაობის მომწიფების პროცესში, გადაყრილი არიან ისტორიის სანაგვეში. რუტ ფიშერის შემდეგ ოპოზიციას შეუერთდა ფრეი. რუსული ოპოზიციისათვის ეს მეტად სერიოზული გაფრთხილებაა". (ადს).

გერმანელ მემალაროეთა გაფიცვა

ბერლინი, 16 ოქტომბერი. მოლაპარაკება ქვანახშირის მრეწველობის მუშებსა და მაღაროს მეპატრონეთა შორის შუა გერმანიაში, უშედეგოთ გათავდა, რის გამო ორშაბათს ამ წარმოებებში იწყება გაფიცვა. (ადს).

ბერლინი, 16 ოქტომბერი. ყურადღების ცენტრში მოქცეულია შუა გერმანიის ქვანახშირის მრეწველობის მუშების ხვალისთვის დანიშნული გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ქვანახშირის მრეწველობის 80.000 მუშამ. მწარმოებლებმა უარყვეს მუშების ყველა მოთხოვნილებები სამუშაო ხელფასის მომატების შესახებ. (ადს)

გაფიცვის პირველი დღე

ბერლინი, 17 ოქტომბერი გუშინ შუა გერმანიის სანახშირო რაიონში შესდგა მუშების 125 კრება, რომლებიც დიდი აღფრთოვანებით ადასტურებდენ გადაწყვეტილებას გაფიცვის გამოცხადების შესახებ. გაგრძელდება მხოლოდ ისეთი სამუშაოები, რომლებიც აუცილებელია მაღაროების უშიშროების უზრუნველსაყოფად. ქვანახშირის ამომღებ წარმოებების მუშათა რიცხვი უდრის 80.000. **დღეს, გაფიცვის პირველ დღეს სამუშაოზე არ გამოცხადდა მუშების 80—90 პროცენტი. გაფიცვა ქვანახშირის მრეწველობაში უაღრესად სერიოზულ გავლენას იქონიებს შუა გერმანიის მრეწველობის ყველა დარგებზე, კერძოდ ბერლინის სამრეწველო წარმოებებზე**, ვინაიდან ელექტრონის სადგურები, რომლებიც აწვდიან ელდენს, ბერლინის, ლეიპციგის, ჰალეს და სხვ. ფაბრიკებს და ქარხნებს მუშაობენ შუა გერმანიის ქვა-ნახშირით. (ადს.

ინდოეთი ინგლისის წინააღმდეგ

ტოკიო, 16 ოქტომბერი. ტოკიოში ჩამოვიდა ინდოელ ნაციონალისტების ცნობილი ბელადი **მახენდრა პრატაპი**. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში პრატაპმა აღნიშნა, რომ მრავალი ნიშნების მიხედვით, ახლოვდება ახალი მსოფლიო ომი, რომლის ცენტრში იქნება ინგლისი. ბევრი ნიშნებია, რომ ინგლისი იომებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. **ამ შემთხვევაში ინდოეთის ხალხები პირველნი მიაშურებენ საშველად საბჭოთა კავშირს და მწყობრი აჯანყებით დაამხობენ ინგლისის ბატონობას.** პრატაპმა აღნიშნა. რომ ინდოეთის ხალხები პოლიტიკურად მომწიფებული არიან და მზად არიან გაილაშქრონ ინგლისის წინააღმდეგ. (ადს).

სპარსეთი კმაყოფილია

საბჭოთა კავშირთან დადებული ხელშეკრულებით

თეირანი, 16 ოქტომბერი. სპარსეთის ყველა პროვინციებიდან გრძელდება სამადლობელ დეპეშების გზავნა, სპარსეთის მთავრობის სახელზე, სპარსეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმებათა მიღწევის გამო. ბევრ ქალაქებში გამართა დიდი ბანკეტები. და სახალხო სეირნობა, რომელსაც აწყობდენ ხელისუფლება, ვაჭრები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. (ადს).

კეთილგონიერი ხმა

კონსერვატორთა ბანაკიდან

ლონდონი, 17 ოქტომბერი. კონსერვატიული ყოველკვირეული „ობსერვერ"-ი ეხება რა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, სწერს: „მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ დაჭიმულია ის ძაფი, რომელიც გაბმულია პარიზსა და მოსკოვს შორის, პარიზმა მაინც გადასწყვიტა, რომ ეს ძაფი არ უნდა გაწყდეს... **დადგება აგრეთვე ის დღეც, როდესაც უნდა შეიკრას გაწყვეტილი ძაფი ლონდონსა და მოსკოვს შორის. შეკვრა ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე გაწყვეტა, მაგრამ ევროპას ესაჭიროება ერთიანობა. თუ გაწყვეტილ ძაფის მოსკოვის ბოლოს კეთილსინდისიერად მიაწვდიან ლონდონს, უკანასკნელი მას სიამოვნებით მიიღებს".** (ადს)

პოლონეთის დაუესიზაცია

ვარშავა, 16 ოქტომბერი. ზოგიერთი ცნობები, რომელიც გამოქვეყნებულია პოლონეთის პრესაში, პოლონეთის მიერ ამერიკაში აღებულ სესხის შესახებ, მოწმობენ, რომ **პოლონეთს სესხი მიღებული აქვს ძლიერ მძიმე პირობებში.**

ზოგიერთი წრეების აზრით, **სესხის პირობები წარმოადგენენ პოლონეთის დაუესიზაციას.** ცნობები იმ უფლებების შესახებ, რომელიც მინიჭებული აქვს პოლონეთის ბანკში დანიშნულ ამერიკის ბანკების კონსორციუმის რწმუნებულს, მოწმობენ რომ ეს უფლებები ფაქტიურად საშუალებას მისცემს აღნიშნულ რწმუნებულს განახორციელოს სრული კონტროლი პოლონეთის ფინანსებზე (ადს).

კომპარტიის გამარჯვება

პრაღა, 16 ოქტომბერი. **პრაღის თვითმართველობის არჩევნებში კომპარტიამ მიიღო 70.000 ხმა, მიუხედავად იმისა, რომ პრაღის გარნიზონს წართმეული ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება. უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით კომპარტიისთვის მიცემული ხმები გაიზარდა 4.000-ით. ცნობები კომუნისტების გამარჯვების შესახებ მიღებულია აგრეთვე სლოვაკიის ქალაქებიდანაც.** (ადს)

40.000 ფეიქრის ლოკაუტი

ბერლინი, 16 ოქტომბერი. მიუნქენის და გლადბახის (რეინის ოლქი) საფეიქრო წარმოებათა პატრონებმა ლოკაუტი გამოუცხადეს **40.000 მუშას, ფეიქართა პროფკავშირმა დაადგინა არ დაემორჩილოს მრეწველთა მოთხოვნილებებს და მიიღოს ბრძოლა.** (ადს)

კეგლეშის საქმე

ვენა, 16 ოქტომბერი. „არბეიტერ ცეიტუნგი" იუწყება, რომ ავსტრიის მთავრობამ უკან წაიღო მოთხოვნილება კეგლეშის გაცემის შესახებ, რომელიც მან ჩეხო-სლოვაკიის მთავრობას გადასცა რუმინეთის მთავრობის მოთხოვნილებასთან ერთად. (ადს).

ინგლისის პროტესტი

თეირანი. 16 ოქტომბერი. გაზეთების ცნობებით, „სამხრეთის ნავთის კომპანიამ" (ინგლისური) პროტესტი განაცხადა ნავთის პროდუქტების გადასახიდ საბაჟო გადასახადის შემცირების წინააღმდეგ, ვინაიდან, ასეთი შემცირება თითქმის ჰქმნის „უსამართლო გამონაკლისებს, რაც კომპანიას აყენებს ზარალს", (ადს)

ზენაბეგის მოკვლის

გარშემო

პრაღა, 16 ოქტომბერი. გამოირკვა, რომ ალბანეთის ელჩი ზენაბეგის მკვლელი ჩამოსულა რომიდან. მკვლელი არის მიმხრე ფაშიზმის და იმ აზრის, რომ ალბანეთს ჰქონდეს იტალიის პროტექტორატი, ზენაბეგი იყო ალბანეთ-სამხრეთ სლავიის დაახლოების მომხრე. ბელგრადიდან მიღებულ ცნობებით, სამხრეთ სლავიის პოლიტიკურ წრეებზე ზენაბეგის მკვლელობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სამხრეთ-სლავიის პრესა ფიქრობს, რომ მკვლელი მოქმედებდა სამხრეთ სლავიისადმი მტრულად განწყობილ უცხოელ წრეების გავლენით (ადს).

ავსტრიის მუშათა

დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 17 ოქტომბერი. 14 ოქტომბერს მოსკოვში ჩამოვიდა ავსტრიის მუშათა დელეგაცია. ეს დელეგაცია პირველია იმ დელეგაციებიდან, რომლებიც საკავშირო პროფსაბჭომ მოიწვია ოქტომბრის დღესასწაულებზე. სადგურზე დელეგაციას შეხვდენ საკავშირო პროფსაბჭოს და პროფკავშირთა მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები და აგრეთვე მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების დელეგატები. სადგურზე შესდგა მიტინგი, რომელზედაც საკავშირო პროფსაბჭოს სახელით დელეგაციას მიესალმა ამხ. **იაგლომი**. დელეგაციაში შედის 12 წარმომადგენელი **კარლ გერმანის** (ხარატი) თავმჯდომარეობით. (ადს)

მდგომარეობა ჩინეთში

(ფრონტების მიხედვით)

უკანასკნელ ცნობების მიხედვით, მუკდენელების ჯარი იმარჯვებს ორივე მიმართულებით—როგორც იენ-სი-შანის, ისე ფინ-იუ-სიანის წინააღმდეგ.

იენ-სი-შანმა დიდი ხანი არ არის, რაც მედგარი შეტევა დაიწყო პეკინის წინააღმდეგ ორი მიმართულებით და დასაწყისში დიდის წარმატებით მოქმედობდა: დაუახლოვდა ორივე მიმართულებით პეკინს თითქმის 150—200 კილომეტრის მანძილით.

მაგრამ მუკდენელებმა მოახერხეს საკმაო ძალების თავ-მოყრა და უკუაქციეს იენ-სი-შანის ჯარები. როგორცა სჩანს, ამ უკანასკნელის დამარცხება მეტად სამძიმო ყოფილა. იენ-სი-შანმა დაჰკარგა არამც თუ წინად მოგებული ტერიტორია ჩი-ლის პროვინციაში, არამედ იძულებული გახდა დაბრუნებულიყო თავის სამფლობელოში, შან-სის პროვინციაში. ამის შემდეგ უკვე ცნობები იყო, რომ იენ-სი-შანმა ჩან-ძო-ლინთან მოლაპარაკება დაიწყო ზავის ჩამოგდებაზე.

იმ ხნის განმავლობაში, როდესაც იენ-სი-შანი ინტენსიურ შეტევას აწარმოებდა, მისი ვითომდა მოკავშირე ფინ-იუ-სიანი გაჩერებული იყო და არაფრით ეხმარებოდა იენ-სი-შანს. დღევანდელი დეპეშა კი გვაუწყებს, რომ ფინ-იუ-სიანს დაუწყია შეტევა შანდუნის ჯარების წინააღმდეგ ლუნ-ხაის რკინისგზის ხაზით. მაგრამ აქაც მუკდენელებს კონტრ-იერიშით უკუ უქცევიათ ფინ-იუ-სიანი და უკანასკნელი იძულებული გამხდარა კვლავ ხენანის პროვინციაში დაბრუნებულიყო.

არავითარ შეთანხმებულ მოქმედებას იენ-სი-შანის და ფინ-იუ-სიანის შორის ადგილი არა ჰქონია და მუკდენელებმა შესძლეს ამიტომ ორივეს ცალცალკე დამარცხება.

დღევანდელივე დეპეშის ცნობით, ხანკოუს დიქტატორს ტან-შენ-ჩის და მის ამხანაგს ვან-ცი-ვეის უცვნიათ ნანკინის უმაღლესი კომიტეტი და ამ რიგად თითქოს მორიგებიან ნანკინს. არ ვიცით, რა გავლენას იქონიებს ეს ფაქტი სამხედრო ფრონტებზე, მაგრამ აწინდელი სტრატეგიული მდგომარეობა ამ ფრონტებისა ის გვარია, რომ გამოსწორება აქ საქმისა ნანკინ-ხანკოუს მთავრობისათვის მეტად ძნელია. ერთად-ერთი სერიოზული ოპერაცია, იენ-სი-შანის შეტევა პეკინის წინააღმდეგ, რომელსაც შეეძლო თვალსაჩინო ცვლილების შეტანა საერთო სტრატეგიულ მდგომარეობაში და დიდს საფრთხეს უქადიდა ჩან-ძო-ლინს, დამარცხებით დამთავრდა და მერმე ისეთი დამარცხებით, რომ შეიძლება იენ-სი-შანმა საბოლოოდ დაკარგოს სურვილი კვლავ სამხედრო ოპერაციების განახლებისა. თითქმის ასეთსავე მდგომარეობაში ჩავარდა ფინ-იუ-სიანიც.

ნანკინ-უხანის მთავრობის ჯარებს აშკარა დაღლილობა და დასუსტება ემჩნევათ, პირიქით მუკდენელების ჯარებმა თითქოს ახალი ძალა მოიკრიბეს და ბოლო დროს საკმაო აქტივობას იჩენენ.

მუკდენელების ჯარების გამარჯვებას იენ-სი-შანის და ფინ-იუ-სიანის ჯარებზე შეიძლება მოჰყვეს შან-დუნის ფრონტით მოქმედების განცხოველება, სადაც შეტევისათვის უკვე კარგა ხანია ემზადება სუნ-ჩუან-ფანი.

ი. გედევანიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

შორს ჩვენი რიგებიდან

ვუიოვიჩის გამორიცხვა პარტიიდან

მოსკოვი, 17 ოქტომბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება ამხ. ვუიოვიჩის მიერ პარტიული დისციპლინის დარღვევის შესახებ. 1927 წ. 21 სექტემბერს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიამ განიხილა საქმე იმის შესახებ, რომ ამხ. ვუიოვიჩმა არ შეასრულა ცეკას გადაწყვეტილება, რომლის თანახმად იგი უნდა გამგზავრებულიყო ვორონეჟის ორგანიზაციაში სამუშაოდ. ამხ. ვუიოვიჩს მიეცა წინადადება, სამი დღის განმავლობაში შეესრულებინა ცეკას დადგენილება და გამგზავრებულიყო ვორონეჟში სამუშაოდ, ამასთანავე, ცენტრ. საკონტრ. კომისიამ, მიიღო რა მხედველობაში სათანადო პარტიული ორგანიზაციების მიერ გამოტანილი დადგენილება ვუიოვიჩის ფრაქციული მოღვაწეობის შესახებ, გააფრთხილა ის, რომ თუ ეს დადგენილება არ იქნება ზუსტად შესრულებული მის მიერ, ამით იგი თავის თავს დააყენებდა პარტიის გარეშე. ვინაიდან ამხ. ვუიოვიჩმა 28 სექტემბერს არ შეასრულა ცენტრ. საკონტრ. კომისიის დადგენილება 21 სექტემბრის თარიღით და ვინაიდან განაცხადა, რომ ის არ შეასრულებს იმ დადგენილებას და საჭიროდ სთვლის დარჩეს მოსკოვში, ცენტრ. საკონტრ. კომისიამ დაადგინა: სრულიად დაუშვებლად იქნას ცნობილი პარტიული დისციპლინის ასეთი დარღვევა ამხ. ვუიოვიჩის მიერ. ამასთანავე ცენტრ. საკონტრ. კომისია იღებს რა მხედველობაში იმას, რომ პარტიამ არა ერთხელ დაგმო ამხ. ვუიოვიჩის ანტიპარტიული ფრაქციული მოქმედება, და რომ მას მიეცა ცენტრ. საკონტ. კომისიის სათანადო გაფრთხილება, ადგენს—გამორიცხულ იქნას ამხ. ვუიოვიჩი კომპარტიის (ბ) რიგებიდან.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის მდივანი **იანსონი.**

კიევი, 17 ოქტომბერი. კიევის საკონტროლო კომისიამ საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებიდან ანტილენინური ფრაქციული მუშაობისათვის გამორიცხა შემდეგი ამხანაგები: გარჩენკო, კურენევსკი, რეზნიკოვსკი, დიმშიც, კლემენტიევი, კაპელმანი, დიუდომირსკი, ვექსლმანი, დავიდსონი, ხეინკო და ზაბანსკი. საყვედური გამოეცხადა: ზავადოვსკის, ელცინს, ბრუნუნს, პონომარენკოს და სტაროდუბცევს.

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

ოდესა, 17 ოქტომბერი. ოდესაში მომხდარმა ჯგუფურმა პარტიულმა კრებებმა მკაცრად დაგმეს ტროცკისტული ოპოზიციის ფრაქციული მუშაობა და მოიწონეს ცენტ. საკონტროლო კომისიის და მოსკოვის და ოდესის საკონტროლო კომისიების გადაწყვეტილებები პარტიიდან ფრაქციონერთა გამორიცხვის შესახებ. კრებებმა აგრეთვე მოიწონეს არალეგალური სტამბის მომწყობთა—პრეობრაჟენსკის, სერებრიაკოვის, შაროვის და სხვ. პარტიიდან გამორიცხვა. რეზოლუციებს ღებულობდნენ ერთხმად. კრებებზე მთელმა რიგმა ოპოზიციონერებმა აღიარა თავის უწინდელ შეხედულებათა უსაფუძვლობა და აღუთქვეს პარტიას დახმარება ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში. (ადს).

ოდესა, 17 ოქტომბერი. შესდგა საერთო საქალაქო აქტივის კრება, რომელსაც დაესწრო 700-ზე მეტი კაცი. კრებაზე მოსმენილ იქნა მოხსენება შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ. პარტიულმა მუშამ თავის სიტყვაში განაცხადა: „ჩვენ უბრალო მუშებს არ შეგვიძლია გავერკვეთ თეორეტიულ საკითხებში, მაგრამ სამაგიეროდ კარგად ვერკვევით იმაში, თუ ვინ არიან ჩვენი მეგობრები და ვინ არიან მტრები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ოპოზიციის წინააღმდეგ ისეთი მკაცრი ზომები უნდა იქნას მიღებული, რომ ველარ გაბედოს ასეთი გამოსვლები".

კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც სავსებით იწონებს ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის გადაწყვეტილებას ოპოზიციონერების გამორიცხვის შესახებ; კრება იწონებს აგრეთვე გადაწყვეტილებას ამხ. ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვის შესახებ კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის შემადგენლობიდან (ადს).

ლენრაიონის მე-8-ე პარტკონფერენცია

16 ოქტომბრის დილის სხდომა

16 ოქტომბერს დილის მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა რაიკომის ანგარიში. ამხ. ფანცულაიას მოხსენება. თავის მოხსენებას ამხ. ფანცულაია ჰყოფს შემდეგ ნაწილებად: პოლიტიკური მდგომარეობა, რაიონის დაწესებულებების და შინა-პარტიული მდგომარეობა.

მთავარ წარმოებათა მდგომარეობა

რაიონში, ამბობს მომხსენებელი, ორი ძირითადი სამეურნეო პუნქტია, რომელშიაც ჩაბმულია ხუთი ათასი მუშა: რკინის-გზის მთავარი სახელოსნო და დეპო. საანგარიშო წელში მთავარ სახელოსნოში ნაწილობრივ გატარდა საამქროების გადაკეთება. გაფართოებულია შემკრეფი ცეხი, სამღებრო და ჩამომსხმელი. დადგმულია ცხრა ახალი დაზგა, ცხრა ახალი ელექტრო-მატორი. დეპოში გატარებულია აგრეთვე ნაწილობრივი შეკეთება. მაგრამ ყველა ეს არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად.

სახელოსნოების მოწყობილობა ძალზედ გაცვეთილია, და ტექნიკურად შორსაა სადღეისო მოთხოვნილებიდან. მიუხედავად ამისა, შრომის ნაყოფიერება წარსულ წელთან შედარებით გადიდებულია 20—30 პროცენტით. მთავარ სახელოსნოსა და დეპოში 1926—27 პირველ წლის ნახევარში დავალებანი შესრულებულია სრული 100 პროცენტით. მეორე ნახევრის პირველ სამ-ოთხ თვეში ზრდა გამოიხატება ,მთავარ სახელოსნოში საშუალოდ 10—15 პროცენტით, დეპოში კი 20—25 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების შესამჩნევი ზრდა უნდა მივაწეროთ იმ ღონისძიებებს, რომლებიც ჩატარებული იყო საწარმოო თათბირის კომისიების მიერ.

მომხსენებელი ეხება პროდუქციის ხარისხს და აღნიშნავს: მას შემდეგ, რაც მოხდა გადასვლა სანარდო სამუშაოზე, პირველი ორი წლის განმავლობაში მოხდა ხარისხის ნაწილობრივი გაუარესება, მაგრამ მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებათა წყალობით ეს მდგომარეობა გამოსწორდა და ამჟამად ჩვენ გვაქვს პროდუქციის ხარისხის შესამჩნევად გაუმჯობესება. მიუხედავად იმისა, რომ დიდი მუშაობა ტარდება სამუშაო საათების გაცდენის საწინააღმდეგოდ, ამ მხრივ საჭირო შედეგებს კიდევ ვერ მივაღწიეთ.

მუშების გამოგონების საკითხებს არ ექცევა სათანადო ყურადღება არც ადმინისტრატიულ, სამეურნეო ორგანოების მხრივ, არც პარტიულ ორგანიზაციების მხრივ. წინადადებები ამ მხრივ იყო 66. მათ შორის მუშების მიერ 37. ჯილდო მიეცა ათს.

ხელფასი

შემდეგ ამხ. ფანცულაია დაწვრილებით ჩერდება ხელფასის საკითხებზე. 1925 წელთან შედარებით ამ დარგში გვაქვს შესამჩნევი მიღწევები თუ ავიღებთ, მაგალითად, მთავარ სახელოსნოს, ხელოსნის სამუშაო ხელფასი საშუალოდ—50 პროცენტით გაიზარდა, შავი მუშის კი—47 პროცენტით. დეპოში სამუშაო ხელფასი ყველა კვალიფიკაციებისათვის საშუალოდ 22—25 პროცენტით გაიზარდა. დეპოში სამუშაო ხელფასის ზრდა შრომის ნაყოფიერებას არ ჩამორჩება, მთავარ სახელოსნოში კი უკანასკნელი 22—25 პროცენტით რჩება უკან.

საბინაო კოოპერაცია

ჩვენს რაიონში საბინაო მშენებლობის საკითხები განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იპყრობს. რომ ბინის კრიზისი მეტად მწვავეა, ამას მოწმობს მუშების მასიური განცხადება ბინით დაკმაყოფილების შესახებ. (1000—1200). საბინაო მშენებლობისათვის გადადებული საშუალებანი არ არის საკმარისი. საბინაო კრიზისის მოგვარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საბინაო კოოპერაციამ, რომელმაც შესძლო ამ საანგარიშო წლის პერიოდში 11 სახლის აშენება. რეალური დახმარება რკინისგზელებს აღმოუჩინა თბილისის საბჭომ, რომელმაც ააშენა სახლი 85 ოთახით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ეს ღონისძიებანი არ არის საკმარისი მომავალში მუშაობა ამ მხრივ ყოველ მხრივ უნდა გაძლიერდეს.

სატრანსპორტო კოოპერაცია

რაც შეეხება ჩვენს რაიონში რკ.-გზის კოოპერაციის მუშაობას, საჭიროა ხაზი გაესვას შემდეგ მომენტებს, ჯერ ერთი საქონლის გამტარებელ ქსელის გაფართოვება რაიონში (დუქნების რიცხვი გაიზარდა), რამაც შესამჩნევად გააუმჯობესა მომხმარებელთა მასის მდგომარეობა, ამის მაჩვენებელია კოოპერაციაში შეკავშირებულთა ზრდის ციფრები (1927 წ. 1 იანვრისათვის—8272; 1 აგვისტოსთვის—10734). კოოპერაციაში ჩაბმულთა საშუალო პროცენტი 80—85 პროცენტამდის აღწევს. სატრანსპორტო კოოპერაციამ საშუალოდ შეასრულა პარტიის დირექტივა ფასების დაკლების დარგში. ეხლა მის წინაშე შემდეგი ამოცანები სდგას: 1. კოოპერატიულ საზოგადოების მუშაობის გაძლიერება, 2.ფასების დაკლების დარგში არსებულ მიღწევათა [illegible] და 3 შემდგომი [illegible] მომხმარებელთა მასების.

შედეგები

პარტიის ავტორიტეტი და გავლენა მუშების ფართე მასებში იზრდება. ამის მაჩვენებელია მთელ რიგ ჩატარებულ კამპანიებში მუშების აქტიური მონაწილეობა, როგორც მაგალითად: საბჭოების გადარჩევა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების გადარჩევა, თავდაც. კამპ., შინაგანი სესხები და სხვა. ყველა ეს კამპანიები ტარდებოდა მუშების მასიური მონაწილეობით. შემდეგ მომხსენებელი აშუქებს ორგანიზაციულ მუშაობის საკითხს. საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის საკითხებს, არა პარტიულ ორგანიზაციებზე ხელმძღვანელობის, მასიურ მუშაობის საკითხებს და სხვა. ყველა ამ დარგებში უეჭველად გვაქვს მიღწევები, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. იმის თავდებ, რომ წინ მდებარე ამოცანებს წარმატებით გადავჭრით—ჩვენი პარტიულ ორგანიზაციების ლენინური მთლიანობა და შემჭიდროება.

ბრძოლა ოპოზიციასთან

დასასრულ მომხსენებელი ჩერდება ოპოზიციასთან ბრძოლის საკითხზე. არსებულ უთანხმოებას ჩვენს პარტიაში და შინაპარტიულ ბრძოლას არ შეეძლო გამოხმაურება არ ეპოვა ლენინის რაიონის ორგანიზაციაშიც, ჩვენს რაიონს ადგილობრივმა ოპოზიციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. რაიონულმა კომიტეტმა ფართე ახსნა განმარტებითი მუშაობა გაატარა ჩვენს პარტიაში უთანხმოებათა გასაშუქებლად. რაიკომის ნიღაბს ხდიდა ფრაქციონერთა მუშაობის დამღუპველობას. მთელი ეს მუშაობა მიმდინარეობდა პარტაქტივის უშუალო მონაწილეობით, რის გამოც ისედაც ოპოზიციის შეთხელებული რიგები თანდათან დაიშალა. საწარმოო კოლექტივების გაერთიანებულ კრებებზე კომუნისტებმა და მუშებმა გამოიჩინეს დიდი აქტივობა, კამათში მონაწილეობა მიიღეს 22, შეკითხვები შემოსული იყო 78. თავის გამოსვლებში მუშა- კომუნისტები სთვლიან დაუშვებლად პარტიის წინააღმდეგ შეტევების წარმოებას, რაც ხელს უშლის სოციალისტურ მშენებლობის პრაქტიკულ მუშაობას.

ამხ. ფანცულაიას მოხსენების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა კომკავშირის რაიკომის პასუხისმგებელ მდივნის თანამოხსენება და სარევიზიო კომისიის მოხსენება.

მესამე სხდომა

გუშინ საღამოს სხდომაზე გაიხსნა კამათი რაიკომის მოხსენებისა და კომკ. თანამომხსენებების ირგვლივ.

კამათში ჩაეწერა 32 ამხანაგი. მათ შორის ამხანაგები ბურცვაძე, მამისარაშვილი, ტყემალაძე, მაკაროვი, კლემენტიევი, ხარატიშვილი, საბაშვილი, ებანოიძე, ბეზისგანოვი, კალანდაძე, ფარეჯუზოვი, ფიცხელაური, იოციძე, ლაშქარაშვილი, დოიჯაშვილი, ზენაშვილი, გელაშვილი, დოლიძე, ლარინი, კალინინი და სხვა.

ამხ. მამისარაშვილი აღნიშნავდა, რომ რაიკომის მიერ მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს საწარმოო თათბირების მოწვევას, რადგან ზოგჯერ ასეთი მოისუსტებს.

ამხ. მამსარაშვილი აღნიშნავდა, რომ რაისახელოსნოებში ზოგან მოძველებულია იარაღები, და რომ მათი გარდაქმნა აუცილებელია. პარტგანათლება, გასულ წელს მოისუსტებდა, რადგანაც ხელმძღვანელები ვერ იყო შერჩეული.

კამათის დროს კონფერენციას მიესალმა მე-10 ბატალიონის წარმომადგენელი. მან კონფერენციას უსურვა ნაყოფიერი მუშაობა და აღუთქვა, რომ წითელი ლაშქარი ყოველთვის ფხიზლად იქნება მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დაცვის სადარაჯოზე.

შემდეგ კამათში გამოვიდა ამხ. ხარატაშვილი, რომელიც აღნიშნავდა, რომ შტატში მყოფი მუშები ხელფასით კმაყოფილი არიან. დღიური მუშები კი არა. მათ ზოგჯერ ხელფასის მიღება უხდებათ სასამართლოს საშუალებით ან მუშაობის დროს დარბიან ფულის მისაღებათ. ეს ვნებს წარმოებას.

ეხება რა საბინაო კოოპერაციას, ამხ. ხარატაშვილი აღნიშნავს, რომ შესასვლელი პაი იმდენად დიდია, რომ მცირე ხელფასის მქონე მუშას არ შეუძლია გახდეს მის წევრად და ამის გამო იგი იმყოფება უკიდურეს მდგომარეობაში.

ამხ. ფარეჯუზოვმა განაცხადა, რომ ჩვენი საგზაო კოოპერაცია განვითარდა —გაიზარდა, მაგრამ მას ბევრი ნაკლიც აქვს.

სეზონის დამიხედვით ისინი არ იძენენ საქონელს და ამიტომ ზოგჯერ ზამთარში არ არის ბამბაზია და ასეთი ზაფხულში გამოჩნდება.

მუშები განსაკუთრებით გმობდენ ოპოზიციის დეზორგანიზატორულ მუშაობას, მათ მიერ წამოწყებულ ანტი-პარტიულ პროვოკაციას და გადაწყვეტით მოითხოვდენ ხელმძღვანელ ორგანოებისაგან მათ წინააღმდეგ უსასტიკესი ზომების მიღებას.

ვ. დევაძე.

არსრაიონის მეცხრე პარტკონფერენცია

კონფერენციის გახსნა

გუშინ ცენტრალურ მუშათა კლუბში გაიხსნა არსენალის რაიონის მეცხრე პარტკონფერენცია. კონფერენციას ხსნის არსრაიკომის მდივანი ამხ. **მზარეულიშვილი.** საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხ. **სტალინი, რიკოვი, ბუხარინი, კალინინი, ტომსკი, ვოროშილოვი, კრუპსკაია, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი მამია, ნაზარეტიანი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, ბესო ლომინაძე, შალვა ელიავა.** საქმიან პრეზიდიუმში **კახიანი, ქართველიშვილი, ღოღობერიძე, ყურულაშვილი, რუბენი, ხვანიძე, ივანოვ-კავკასიელი, ასრიბეკოვი, მზარეულაშვილი, იტრიევი ვანო პევცოვი, ბოლქვაძე ვანო, დევდარიანი ალექსანდრე, მარასალოვი, ვიგორბინი, ზურეში, ზაკამილდინი, იზხანოვი, მიხაილოვა ეკატერინე, მაშკევიჩი, მაჩაიძე ბაგრატ, უსოვი, კარგარეთელი, გეორქიანი, ნასარიძე, ყოჩიევა; აკოპოვ სტიოპა, დათუნოვი, ტაქთაევი, ბერიძე, ოსიპოვი, ვაცეკი, კიკნაძე ნიკო (მუშკოოპი) გაბაშვილი.**

სამდივნოში—**შველიძე, რატიმოვი, სირაძე, ლამბაროვი, გერასიმენკო,** სამანდატო კომისიაში—**ფრიდონოვი, გუჯიაშვილი, ვოლკოვი, მარიამიძე, უზაფაროვი, კარაპენევი, ლუსკინა, დავლანიძე.**

დღის წესრიგის მიღების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. **ქართველიშვილის** მოხსენება შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ. საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 პარტყრილობა, რომელიც უნდა შეიკრიბოს დეკემბერში—ამბობს მომხსენებელი იპყრობს მთელი პარტიისას და ქვეყნის უდიდეს ყურადღებას. მით უმეტეს, რომ მე-15 ყრილობა იკრიბება, ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე. საერთაშორისო მდგომარეობის გართულების პერიოდში და შინა-პარტიულ მდგომარეობის უაღრესად გამწვავებულ მომენტში. ამიტომ მე-15 პარტყრილობა ჩვენი პარტიის ისტორიაში შევა, როგორც ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ყრილობა.

ამჟამად ჩვენს წინაშე სამი მთავარი სიძნელეა. მოახლოვებული ომის საფრთხე, გართულებულ შინაპარტიული მდგომარეობა და სიძნელენი სამეურნეო დარგში. მე დღეს შევჩერდები მხოლოდ—ამბობს მომხსენებელი—შინაპარტიულ მდგომარეობის საკითხებზე. რატომ ხდება, რომ დღის ყველა ორგანიზაციებში დღის წესრიგში პირველ საკითხად შინა-პარტიული მდგომარეობა იდგმება? ეს იმიტომ, რომ ჩვენს პარტიას არ ახსოვს ასეთი დაუმორჩილებლობა უმაღლეს პარტორგანიზაციების დადგენილებათა მიმართ ოპოზ. მიერ ოპოზ. თავის მუშაობით გასცდა პარტ. წესდ. ჩარჩოებს, ოპოზიცია დღეს გაერთიანებულია ამხ. ტროცკის და ზინოვიევის მეთაურობით. მის მუშაობას გამოკოცხლება დაეტყო ლენინის გარდაცვალების შემდეგ. ჯერ კიდევ 1923 წელში ზინოვიევი და კამენევი დაუზოგავად ესხმოდენ თავს ამხ. ტროცკის, გამოდიოდენ რა ლენინიზმის საფუძვლებიდან და შესაფერ მსჯავრს სდებდენ ტროცკის ფრაქციულ მუშაობას. ახლა კი ზინოვიევი და კამენევი ტროცკისაკენ დაჰქანდენ და სავსებით მის გავლენის ქვეშ მოექცენ. ოპოზიციის გაერთიანებული ბლოკი ყოველ გზა-ჯვარედინზე გაჰკივის პარტხელმძღვანელობის მუშაობის სისუსტის შესახებ. ყოველგვარ სიძნელეს უმაღლეს პარტორგანოების მუშაობის სისუსტეს მიაწერენ.

ოპოზიციასთან უთანხმოების მთავარი საკითხი, ეს ჩვენ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხია. ეს ამბავი ჩვენი პარტიისათვის ახალი არ არის. ჯერ კიდევ 1915 წელში ამხ. ტროცკი ებრძოდა ლენინს ამ საკითხების გამო და ამჟამადაც ამხ. ტროცკი ამავე შეცდომებს იმეორებს, რასაკვირველია, ზინოვიევთან და კამენევთან ერთად. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 14 პარტკონფერენციაზე ზინოვიევმა თვითონ წამოაყენა თეზისები ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობის შესახებ, რომელიც კონფერენციამ დაამტკიცა. ამასთანავე ამხ. კამენევი თავიდან ბოლომდი თავმჯდომარეობდა კონფერენციას. მაგრამ მე-14 ყრილობაზე მათ უკვე საერთო გზა გამონახეს ამხ. ტროცკისთან და უარყვეს ის, რასაც წინეთ ამტკიცებდენ. ამით ისინი ასცდენ ლენინიზმს და მთლიანად მოექცენ ტროცკიზმის გავლენის ქვეშ.

რახან ოპოზიცია პრინციპიალურ საკითხებში დასცილდა პარტიას და ლენინიზმს, შექმნა თავის საკუთარი თეზისები, პლატფორმა და სხვა, აქედან ლოღიკური დასკვნა ასეთია, რომ მას უნდა მეორე პარტია შეექმნა. მართლაც ის ამ გზაზე შესდგა. ამის მაჩვენებელია არალეგალური მუშაობის დაწყება, რომელიც არალეგალურ სტამბის მოწყობაში გამოიხატება. ამის მაჩვენებელია ის ფრაქციული მუშაობა, რომელსაც ოპოზიცია ყოველმხრივ ანვითარებს. და სასრულ ამხ. ქართველიშვილი ეხება ოპოზიციის მიერ პარტ-დისციპლინის უხეშად დარღვევას და ამბობს პარტია ვერ მოითმენს გამთიშველ მუშაობას. ლენინის პარტია მთლიანი იყო და მუდამ ასეთი დარჩება. ყოველგვარი ზომები მათ გაფრთხილებისათვის პარტიამ ამოსწურა. მე-15 პარტყრილობა, რომელიც იკრიბება ამ გართულებულ მომენტში შესაფერის პასუხს გასცემს პარტიის გამთიშველებს.

კამათი

ამხ. ქართველიშვილის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. **ჯანაძემ, ბენო კალანდაძემ, ლოსოვსკიმ, სიგამანიანმა, არეშიძემ, ვანო ბოლქვაძემ, მაჩაიძემ და ლეჟავამ.** მოკამათენი დაწვრილებით შეჩერდენ ადგილობრივ ოპოზიციის გამთიშველ მუშაობაზე და ყველა ერთხმად მოითხოვდენ, რომ პარტიის უმაღლესმა ორგანოებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები დეზორგანიზატორთა ასალაგმავად. ამხ. ლოსოვსკიმ და ბოლქვაძემ აღნიშნეს, რომ ოპოზიცია ზოგიერთ შემთხვევებში ვითომდა ლენინის ციტატებს ხმარობს ამა თუ იმ სადაო საკითხის განხილვის დროს, მაგრამ მას ავიწყდება, რომ სწორედ ამხ. ლენინმა აღნიშნა დისკუსიის მავნებლობა და ის დასახა, როგორც ფუფუნების საგანი. ამის საუკეთესო მაჩვენებელია პარტიის მე-10 ყრილობის დადგენილებანი, რომლებშიაც აშკარად ნათქვამია, რომ ფრაქციულ განცალკევებას უნდა გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადოს.

ამხ. ბენო კალანდაძე უშეღავათოდ შეეცადა ოპოზიციის პლატფორმის დაცვას და ოპოზიციონერთა ჩვეულებრივი მანერით მოჰყვა ლაპარაკს პარტიის რეჟიმის სიმკაცრის შესახებ. მისმა აბნეულმა და ძველ, უკვე გადაღეჭილ საკითხებზე ლაპარაკმა კონფერენციის დელეგატებში მხოლოდ სიცილი გამოიწვია. მუშა კომუნისტებმა შესაფერისი პასუხი გასცეს გზა აბნეულ [illegible] გამოსვლას.

ამხ. ქართველიშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენციამ ერთხმად მიიღო შემდეგი

რეზოლუცია

მოისმინა რა ამხ. ქართველიშვილის მოხსენება შინა-პარტიული მდგომარეობის შესახებ, არსენალის რაიონის მე-9 პარტკონფერენცია აღნიშნავს ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში გაუგონარ, ტროცკისტული ოპოზიციის ფრაქციული მუშაობის გამწვავებას პარტიისა და მისი ცეკას წინააღმდეგ.

რაიონული კონფერენცია ღრმა აღშფოთებით და ზიზღით გმობს არალეგალური სტამბის მოწყობას, ამ მუშაობაში ბურჟუაზიული ინტელიგენციის გამოყენებას და საკუთარი საორგანიზაციო ცენტრის შექმნას, განსაკუთრებული პლატფორმის შემუშავებას და გავრცელებას, რომელიც არსებითად წარმოადგენს ახალ პროგრამას ახალი ტროცკისტული პარტიისათვის.

კონფერენცია კატეგორიულად მოითხოვს, რომ ოპოზიცია აუცილებლად დაემორჩილოს ბოლშევიკურ დისციპლინას და ყოველგვარ პირობის გარეშე შეასრულოს პარტიის და მისი ცეკას გადაწყვეტილებები.

კონფერენცია სცნობს, რომ ფრაქციონერების კვლავ დარჩენა ლენინური პარტიის რიგებში დაუშვებელია და მოითხოვს გადამჭრელი ზომების მიღებას მათ წინააღმდეგ, თანახმად მე-10 პარტყრილობის დადგენილებისა.

ფრაქციული ბრძოლის მეთოდების პარტიის წინააღმდეგ, უპარტიოების გამოყენება ამ ბრძოლაში ობიექტიურად ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ყველა ანტისაბჭოთა ელემენტების აქტივობის ზრდას და პროლეტარიატის დიქტატურის საფუძვლის შერყევას.

ამავე დროს კონფერენცია გმობს ადგილობრივ უკლონისტურ ოპოზიციას, რომელსაც თავისი დეზორგანიზატორული და ფრაქციული მუშაობით სურს ჩვენი რიგების მთლიანობის შერყევა. უკლონისტების არალეგალური ფრაქციული მუშაობა საქართველოს პირობებში განსაკუთრებულ ზიანს აყენებს ჩვენს პარტიას.

ტროცკიზმის უკლონისტურმა მიმდინარეობამ მთელ რიგ წლების განმავლობაში გამოაშკარავა თავისი მემარჯვენე, ნახევრად-მენშევიკური, ნახევრად—ნაციონალისტური ბუნება. უკლონისტების „მემარცხენეობა" საკმაოდ არის გამომჟღავნებული საქართველოს კომპარტიის წინაშე.

კონფერენცია მოითხოვს გადამჭრელ ბრძოლას უკლონისტურ-ტროცკისტული ბანაკის დეზორგანიზატორების წინააღმდეგ.

კონფერენცია სავსებით და მთლიანად უერთდება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

გაუმარჯოს ბოლშევიკური პარტიის მთლიანობას ოპოზიციის ფრაქციული გამთიშავი მუშაობის წინააღმდეგ.

ყოველ მხრივ დაუჭიროთ მხარი ლენინურ ცეკას!

გაუმარჯოს საქმიან მუშაობას პარტიის მე-15 ყრილობის მოსამზადებლად.

ლენინელების მწყობრი რიგებით ტროცკიზმის წინააღმდეგ—მივიდეთ საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობაზე.

ადგილკომების კომფრაქციათა მუშაობის ნაკლი

მიუხედავად მაღლა მდგომ და ადგილობრივ პარტორგანოთა მთელ რიგ დირექტივებისა საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების ფრაქციების, მუშაობის შესახებ ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ პარტმუშაობის ამ მნიშვნელოვან დარგში ყველაფერი არ არის რიგზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების ფრაქციები ყველგან არ არიან ჩამოყალიბებულნი, მიუხედავად იმისა, რომ ამის საშუალებას იძლეოდა პარტიის წევრთა და კანდიდატთა საკმაო რიცხვი. იქ, სადაც ფრაქციები უკვე ჩამოყალიბებულია, ვამჩნევთ, რომ მათ მუშაობაში უმეტეს შემთხვევაში დეფექტები სჭარბობენ დადებით მხარეს.

ფრაქციების მუშაობის სისუსტის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ჩვენს ფრაქციებს ჯერ კიდევ კარგად არ შეუთვისებიათ თავისი ფუნქციები და ის საკითხები, რომლებიც აუცილებლად უნდა გახდენ მათი მსჯელობის საგნად.

გამოკვლევის შედეგები გვიჩვენებენ, რომ საკითხების უმეტესი ნაწილი, რომლებსაც არჩევენ ჩვენი ფრაქციები, ორგანიზაციული ხასიათისაა. იშვიათია სამეურნეო და საწარმოო ხასიათის საკითხები, არსებითად კი ეს საკითხები უნდა წარმოადგენდენ ჩვენი ფრაქციების მუშაობას.

მთელ რიგ უჯრედებში ადგილი აქვს მოვლენას, როდესაც უჯრედების ბიუროები ფაქტიურად ეწევიან ფრაქციების მაგივრობას. მთელი რიგი პროფესიონალური ხასიათის საკითხები, ფრაქციისათვის გვერდის ახვევით, განსახილველად გადააქვთ უშუალოდ უჯრედთა ბიუროში. ცალკე ფრაქციებს ემჩნევათ საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების პლენუმის გადაწყვეტილებებისათვის გვერდის ახვევის ტენდენცია. მთელი რიგი საკითხები, რომლებიც უნდა გადაეჭრა საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების პლენუმს, ფრაქციებს განსახილველად არ გადაჰქონდათ პლენუმზე.

მთელ რიგ დირექტივებში პარტორგანიზაციები მიუთითებდენ, რომ საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების ფრაქციებმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ საწარმოო და ეკონომიურ თათბირების მუშაობას, მაგრამ ამ მხრივაც უნდა აღვნიშნოთ თითქმის სრული უმოქმედობა. საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების ფრაქციები ვერ შეეჩვივნენ საწარმოო და ეკონომიურ თათბირების წინაშე პარტიისათვის ყველაზე საჭირბოროტო საკითხების წამოყენებას. ეს საკითხებია, მაგალითად,—აპარატის რაციონალიზაცია, ადმინისტრატიული ხარჯების შემცირება და სხ.

ჩვენი უჯრედების ბიუროები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების ფრაქციებს: ისინი თითქმის სულ არ ისმენენ ფრაქციების ნაგარიშებს, იშვიათად აძლევენ დირექტივებს, თავის მუშაობაში ფრაქციები ფაქტიურად თავის ანაბარა ჰყავთ მიტოვებული, რაც იწვევს მრავალ გაუგებრობას და დეფექტებს.

უჯრედთა ბიუროების მიერ საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების ფრაქციებისათვის ხელმძღვანელობის გაუწეველობასთან ერთად ადგილი აქვს გადახრას წინააღმდეგი მიმართულებით; მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ადგილკომების ფრაქციაზე ერთ-ერთი უჯრედთა ბიუროს მიერ „არხელმძღვანელობის გაწევის" შემთხვევა, როდესაც ფრაქციის მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად ბიურომ გამოყო სპეციალური წარმომადგენელი.

აქ ჩვენ საქმე გვაქვს უკვე არა ხელმძღვანელობასთან, არამედ ბიუროს მეურვეობასთან ფრაქციაზე.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე შემთხვევები, როდესაც უშუალოდ მიუმართავთ ერთი მეორისათვის კავშირის ც. გამგეობების ფრაქციებს და საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების ფრაქციებს. ეს მოვლენა პირდაპირ ეწინააღმდეგება პარტიის წესდებას ზემდგომ და ქვემდგომ ორგანოთა ფრაქციების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

საფაბრიკო საქარხნო ადგილკომების ფრაქციების კონფერენციამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, უჯრედების მდივნებთან ერთად მოისმინა ფრაქციების მუშაობის გამოკვლევის შედეგები და მიიღო მთელი რიგი წინადადებები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენი ფრაქციების უახლოეს მუშაობას. ეს ნამდვილად გადააქცევს მათ ისეთ ორგანიზაციად, რომელიც ფართე პროფესიონალურ მასას დაუკავშირებს პარტიას.

ე—ი.

პარტიული მასები გმობენ ოპოზიციას

ხაშური

10 ოქტომბერს, რკინის-გზის კლუბში მოწვეულ იქნა პარტუჯრედების გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო 350 პარტიის წევრი და ცეკას წარმომადგენელი ამხ. გეორქოვი. კრებამ მოისმინა მოხსენება ოპოზიციის უკანასკნელ ფრაქციულ გამოსვლების შესახებ. მოხსენების გარშემო მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„მიუხედავათ იმისა, რომ დღეს საერთაშორისო მდგომარეობა გართულებულია და ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზია აშკარათ ამზადებს სამხედრო შეთქმულებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ოპოზიციის ბელადები არა თუ უწევენ ამ გარემოებას ანგარიშს, არამედ კიდევ უფრო მეტი გააფთრებით აწარმოებენ ანტი-პარტიულ მუშაობას და ამრიგად წყალს ასხამენ პროლეტარიატის დიქტატურის მტრების წისქვილზე. ოპოზიციის გვერდით თავს იყრიან ყველა ანტი-კომუნისტური ძალები. ოპოზიცია ფრთას ასხამს უკვე სანახევროდ ლეშად ქცეულ ჩვენს მოწინააღმდეგე ძალებს.

კრება მოითხოვს, რათა ოპოზიციის წინააღმდეგ მიღებულ იქნას რადიკალური ზომები".

დიდი-ჯიხაიში

9 ოქტომბერს შესდგა დიდი-ჯიხაიშის, იანეთის და ეწერის თემების კომუჯრედების გაერთიანებული კრება, რომელმაც მოისმინა მოხსენება შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ.

„კომუჯრედების მთლიანი კრება აღშფოთებით აღნიშნავს, ნათქვამია კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში, რომ ოპოზიცია უპარტიო ანტი-საბჭოთა ინტელიგენციასთან ბლოკში განაგრძობს თავდასხმას პარტიაზე. ოპოზიციონერთა ხელმძღვანელობით და ანტისაბჭოთა ელემენტების დახმარებით მოსკოვში სტამბის მოწყობა გაუგონარ და აღმაშფოთებელ ფაქტად უნდა ჩაითვალოს. კომუჯრედების გაერთიანებული კრება გაკვირვებას გამოსთქვამს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მიერ პარტიის გამხრწნელი ელემენტებისადმი ლოიალურად მოპყრობის გამო".

№№ ქართული მსროლელთა და საარტილერიო დივიზია

ლეგიონის საერთო კრებამ მოისმინა ამხ. ბერიძის მოხსენება ტროცკისტულ ოპოზიციის მიერ არალეგალურ სტამბის მოწყობისა და ოპოზიციის გამთიშველ მუშაობის შესახებ. მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„კრება გამოსთქვამს ღრმა აღშფოთებას და მოითხოვს გადამწყვეტ ზომების მიღებას იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც აწარმოებენ დეზორგანიზატორულ მუშაობას, რომლებმაც დაჰკარგეს ბოლშევიკურ პარტიის დისციპლინის გაგება და რომელთა მუშაობაც არაფრით არ განსხვავდება აშკარა კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტების, გერმანიის ულტრა მემარცხენე და სოციალ-დემოკრატების თავხედურ მუშაობისაგან.

კრება სავსებით იწონებს ლენინურ ცეკას ხაზს და სწორად მიაჩნია კომინტერნის აღმასკომიდან ტროცკის გამორიცხვა. საჭიროა შემდეგისათვის დაუზოგველი ბრძოლა გაუსწორებელ ფრაქციონერთა წინააღმდეგ.

№ ქ. მ. დ. და № საარტილერიო ლეგიონის პარტორგანიზაცია ურყევად სდგას პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე და ესალმება ლენინურ ცეკას.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იუწყება, რომ სამშაბათს, 18 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე. მესამე რაიკომის შენობაში გაიხსნება

3 რაიონის მე-8 რაიონული პარტკონფერენცია

დღის წესრიგში:-1) **მოხსენება შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ,** 2) **რაიკომის ანგარიში და ახალგ. ლენინური კომკავშირის რაიკომის თანამოხსენება,** 3) **სარევიზიო კომისიის მოხსენება,** 4) **რაიკომის, სარევიზიო კომისიის და თბილისის სამაზრო-საქალაქო პარტკონფერენციის დელეგატების არჩევნები.**

არჩეულ დელეგატებს მანდატების მიღება შეუძლიათ რაიკომში დილის 9-დან 3 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე.

რაიკომის მდივანი **ტერ-ვართანოვი.**

ინდუსტრიალიზაციის სესხი

პროფსაბჭოს მიმართვა

ქ. თბილისის ყველა პროფორგანიზაციებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო! საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ა. წ. 12 ოქტომბრის დადგენილების თანახმად, გამოცხადებულია კონკურსი ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის საქმეში საუკეთესო ფაბქარხადგილკომზე.

კონკურსის ძირითადი პირობები შემდეგია:

1. დაწესებულია ორი პრემია: ერთი 150 მანეთის და ერთიც 100 მანეთის რაოდენობით. პრემია ადგილკომებს მიეცემა საკლუბო, ან სხვა ინვენტარის სახით.

2. პრემია მიეცემა იმ ფაბქარხკომებს, რომლებიც:

ა) ხელს მოაწერიებენ სესხზე რაც შეიძლება კავშირის მეტ წევრებს,

და ბ) რაც შეიძლება მეტ თანხას შეაგროვებენ ხელის მოწერით.

მხედველობაში იქნება მიღებული ხელის მოწერით შეგროვილი თანხის არა აბსოლიუტური ციფრები, არამედ ამ თანხის პროცენტული დამოკიდებულება ფაბქარხადგილკომის მიერ გაერთიანებულ კავშირის წევრთა ხელფასის თვიურ ფონდთან.

3. პრემიები მიეცემა საუკეთესო ფაბქარხადგილკომებს ა. წ. 20-დან—30 დეკემბრამდე, თუ ამ დროისათვის შემოტანილი იქნება ხელის მოწერის განსაზღვრული თანხის არა ნაკლები 25 პროცენტისა.

კონკურსის მიზანია გააფართოვოს და შეამოწმოს კავშირებში მყოფ მასების და პროფკავშირთა ქვედა საფეხურის ორგანიზაციების აქტივობა ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის საქმეში.

საქ. პროფკავშირთა საბჭო აძლევს რა დიდ მნიშვნელობას აღნიშნულ კონკურსს, წინადადებას აძლევს ქ. თბილისის ყველა პროფორგანიზაციებს მიიღონ ენერგიული ზომები ამ კონკურსის წარმატებით ჩასატარებლათ, რისთვისაც გამოიყენონ კლუბები, კედლის გაზეთები, საერთო კრებები და სხვ. საგიტაციო საშუალებანი.

ცენტრალურ გამგეობებს წინადადება ეძლევა დეტალურად დაამუშაონ აღნიშნული საკითხი და სათანადო დირექტივები მისცენ ქვედა საფეხურის ორგანიზაციებს.

ცნობები კამპანიის ჩატარების შესახებ ფაბქარხადგილკომებმა უნდა წარმოადგინონ საქ. პროფკავშირთა საბჭოს საორგანიზაციო განყოფილებაში; აღნიშნულ ცნობებში დაწვრილებით უნდა იქნეს აღნიშნული:

1. რიცხვი იმ მუშა-მოსამსახურეებისა, რომლებსაც აერთიანებს ადგილკომი,
2. რიცხვი იმ მუშა-მოსამსახურეებისა, რომლებსაც ხელი აქვს მოწერილი ინდუსტრიალიზაციის სესხზე,
3. ადგილკომის მიერ გაერთიანებულ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის რაოდენობა და
4. ობლიგაციების შესაძენათ შემოტანილ თანხის რაოდენობა.

კონკურსში მონაწილეობა გაგრძელდება ა. წ. 15 დეკემბრამდე.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს მდივანი
მაჩაიძე.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს საორგ. განყოფილების გამგის მოადგილე
მარკმანი.

მთელი ასი პროცენტით

ამ დღეებში მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა საკავშირო ფინსახკომის სავალუტო სამმართველოს უფროსის მოადგილე და შემნახველ სალაროების ცენტრ. სამმართველოს უფროსი ამხ. **გოლდბერგი.** ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობისა და ჩვენი მრეწველობის პერსპექტივების შესახებ ამხ. გოლდბერგმა განაცხადა შემდეგი:

— მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არაა ისე ფართოდ დაყენებული ახალი აღმშენებლობის საქმე, როგორც საბჭოთა კავშირში. ეს გაფართოებული აღმშენებლობა კი მოითხოვს დიდძალ თანხებს.

თანხების სიმცირე აიძულებს საბჭოთა ხელისუფლებას მიმართოს შინაურ სესხს განვლილ ათი წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლება ყოვითვის მიმართავდა მშრომელ ხალხს. ქალაქის მუშებს და ღარიბ გლეხობას, რომელთაგანაც ღებულობდა ყოველთვის დახმარებას.

მუშებსა და გლეხების შეგნებას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ დღემდე შესაძლებელი გახდა დაბანდებულიყო მოსახლეობაში 1927 წლის 100 მილიონიანი და 1926 წლის უპროცენტო—30 მილიონიანი სესხები. ინდუსტრიალიზაციის სესხი, როგორც ცნობილია, გამოშვებულია 200.000.000 მანეთის რაოდენობით. ასეთი მსხვილი საშინაო სესხის გამოცემა პირველად ხდება საბჭოთა ხელისუფლების დროს.

დასავლეთ ევროპის ფინანსისტები და კაპიტალისტების ზოგიერთი ჯგუფები ჩვენ გვიწინასწარმეტყველებენ დამარცხებას და ამბობენ, რომ ბოლშევიკები ვერ შეიძლებენ თავი გართვან ამ სესხსო, მაგრამ მათ ავიწყდებათ ისეთი დიდი ფაქტორის არსებობა, როგორიცაა პროლეტარიატის თვითშეგნება და მრავალმილიონიანი ხალხების მისწრაფება—განამტკიცონ მუშათა და გლეხთა ძალაუფლება. ჯერ-ჯერობით, ადგილებიდან მიღებული ცნობების თანახმად, უკვე გასაღებულად შეიძლება ჩაითვალოს 100.000.000 მანეთი, ანუ სესხის ნახევარი. ეს გვაძლევს საბუთს ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული სესხი არა თუ სავსებით იქნება გასაღებული არამედ მას ბევრადაც გადავაჭარბებთ.

ამერიკელი და ევროპიელი ფინანსისტები ჩქარა დარწმუნდებიან, რომ ის ბოლშევიკები, რომელთაც მოიგერიეს ურიცხვი მტრები, რომელთაც დაამარცხეს კონტრრევოლიუციონერი გენერლების არმიები. შიმშილი და ეკონომიური სიძნელე—ეს ხალხი შეიძლებს ფინანსიურ დაბრკოლებათა გადალახვასაც.

მთელი სესხის რაოდენობაში ა. კ. რესპუბლიკების მშრომელნი მონაწილეობას მიიღებენ 3—4 მილიონი მანეთის რაოდენობით. ამჟამად ჩემს მიერ გაცნობილი მასალები მარწმუნებენ, რომ ამ თანხის ობლიგაციები ამიერ-კავკასიაში ადვილად გასაღდება და შესაძლებელია ადგილი დაურჩეს საგრძნობ გადაჭარბებასაც.

ხელისმოწერა ფაბრიკა-ქარხნებში

„თემქა"-ში

თბილისის ელექტრო-მექანიკურ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციისა და ობლიგაციებზე ხელის მოწერის პირობების შესახებ მოხსენება გააკეთა ა. კ. ფინსახკომის წარმომადგენელმა ამხ. ბაქრაძემ. კრებამ დაადგინა ასი პროცენტით მოაწეროს ხელი მუშებმა სესხის ობლიგაციებზე, რისთვისაც გამოყოფილ იქნა კომისია. დღემდე 99 მუშამ ხელი მოაწერა 1.950 მან. ობლიგაციაზე.

ი. ჯ.

ამ. კავ. რკ. გზ. სალიანდაგო სამმართველო

ამიერ-კავკასიის ფინსახკომის წარმომადგენელმა ფართოთ გააცნო ამიერ-კავკასიის რკ. გზ. სალიანდაგო სამმართველოსა და სატყეო განყოფილების მუშა მოსამსახურეთა საერთო კრებას ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობა და მოუწოდა მათ ობლიგაციების გავრცელებისაკენ. კრებამ გამოჰყო კომისია 9 კაცის შემადგენლობით. აღნიშნულ კომისიის ენერგიულ მუშაობის წყალობით მუშა-მოსამსახურეთა ასი პროც. მოაწერა ხელი სესხის ობლიგაციებზე. დღემდე განაღდებულია 7.600 მანეთის ობლიგაცია.

რ. ტ—ნი.

პოლიგრაფტრესტის მესამე სტამბა

პოლიგრაფტრესტის მესამე სტამბის მუშები შეგნებულად შეხვდენ ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის საქმეს. გამოყოფილ იქნა კომისია, რომელმაც ამ მოკლე ხანში შესძლო 3.000 მანეთამდე ობლიგაციებზე ხელის მოწერა. მუშა-მოსამსახურეთა შორის ხელის მოწერა გრძელდება.

დ—ბი.

ელექტრო ტეხნიკური სამმართველო

ამხ. გრეპუხოვმა ვრცელი მოხსენება გააკეთა რკ. გზ. მთავარ სახელოსნოს ელექტრო-ტეხნიკურ სახელოსნოს მუშა მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის შესახებ.

კრებამ მიიღო რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია, რომ არც ერთი მუშა არ უნდა დარჩეს უობლიგაციოთ.

ხელის მოწერა უკვე დაიწყო

რი—ლიძე.

აბანოებში

აბანოების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ინდუსტრიალიზაციის სესხის გავრცელების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **ვარნაზოვმა,** რომელმაც გააცნო კრებას სესხის მნიშვნელობა.

კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომ ყველანი შეიძენენ ობლიგაციებს.

ქ. გ—ძე.

მუშკოოპის სარძეში

მუშკოოპის სარძე პუნქტის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა მოხსენება ინდუსტრიალური სესხის შესახებ. მომხსენებელმა მოკლედ გააცნო დამსწრეთ ინდუსტრიალური სესხის მნიშვნელობა და მოუწოდა ყველას მოაწერონ ხელი სესხზე.

კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა ხელის მოწერის ჩატარება.

მუშებმა და მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს 1698 მანეთის ობლიგაციებზე.

ჯალიაშვილი.

ხელი მოაწერეთ

თბილისის მთლიანი მუშკოოპის მაღაზიის მოსამსახურეებმა რიცხვით 33 კაცმა ხელი მოაწერეს ინდუსტრიალიზაციის სესხს და შეიძინეს 735 მანეთის ობლიგაცია.

ა. სეხნიაშვილი.

ცაკის მუშა-მოსამსახურეებში

სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში

სრულიად საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ გადასწყვიტა შეიძინოს ინდუსტრიალიზაციის სესხის 21 ობლიგაცია ღირებულებით 525 მანეთის.

ამავე განყოფილების მუშა-მოსამსახურეთა შორის ჩატარდა მოხსენებები ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის შესახებ. მოხსენების შემდეგ გაიმართა ხელის მოწერა. ხელის მოწერაში მონაწილეობა მიიღო მუშა-მოსამსახურეებმა სრული ასი პროცენტით. სულ ხელი მოაწერა 136 თანამშრომელმა—2.600 მანეთის ობლიგაციაზე.

საქართველოს გლეხის ცენტრალურ სახლში

საქართველოს გლეხის ცენტრალური სახლის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მ. პაიჭაძემ, მოხსენების შემდეგ გაიმართა ხელის მოწერა. 30 თანამშრომლიდან ხელი მოაწერა 27 თანამშრომელმა—370 მანეთის ობლიგაციაზე.

საქართველოს ინვალიდთა არტელების საბჭოში

ინვალიდთა არტელებში მომუშავეთა შორის ჩატარდა ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის კამპანია. როგორც თვით ინვალიდთა არტელებმა, ისე არტელებში მომუშავე ინვალიდებმა სესხზე ხელის მოწერაში მიიღეს აქტიური მონაწილეობა. არტელების 212 თანამშრომელმა ხელი მოაწერა 1. 375 მანეთის ობლიგაციაზე. ინვალიდთა არტელების საბჭომ ხელი მოაწერა 50 მანეთის ობლიგაციაზე, ინვალიდთა არტელებმა: „გლარჯი"-მ, „ძმობა"-მ, „დახმარება"-მ, „ახალი ივერია"-მ, „რეკორდ"-მა, „წითელი განთიად"-მა, „თვითდახმარება"-მ, „პროგრეს"-მა და „ეფიარტელ"-მა ხელი მოაწერეს 825 მანეთის ობლიგაციაზე. სულ ინვალიდთა არტელებში გავრცელდა—2.250 მანეთის ობლიგაცია.

სესხის ქრონიკა

900.000 მანეთის ობლიგაციები

ამიერ-კავკასიის ფინსახკომის ცნობით 15 ოქტომბრამდე ამიერ-კავკასიის ქალაქებში კოლექტიური ხელისმოწერით გასაღებულ ყოფილა 900.000 მანეთის ობლიგაციები.

სამაზრო ქალაქებში

ფინსახკომში დეპეშით მიღებული ცნობების თანახმად საქართველოს სამაზრო ქალაქებში 15 ოქტომბრისათვის გასაღებული ობლიგაციების რაოდენობა უდრის: თელავში—8.300 მან., აჭარისტანში—18.380 მან., სოხუმში—10.200 მან., ფოთში 6.095 მან., ქუთაისში—13.635 მან., ოზურგეთში—14.355 მან., სენაკში—9.000 მან., ზუგდიდში—13.000 მან., ახალქალაქში—2,175 მან. და ახალციხეში—765 მან.

მუშფაკელების დადგენილება

ქართული მუშფაკის მსმენელთა საერთო კრებამ დაადგინა შეიძინონ 100 მანეთის ობლიგაცია.

კრება ფინსახკომში

15 ოქტომბერს ფინსახკომში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა ამხ. ი. ფანცხავა, მოხსენების შემდეგ საერთო კრებამ დაადგინა დაუყოვნებლივ შეიძინონ ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები.

სულ ფინსახკომის თანამშრომლებს შორის გასაღებული იქნება 30.000 მან. ობლიგაციები.

ეკონომიური ცხოვრება

ლუფა

უკანასკნელ წლებში აფხაზეთში, აჭარისტანში და გურიის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში მებაღეობის ახალმა კულტურამ მოიკიდა ფეხი. ამ ახალ კულტურას ეწოდება ლუფა (Lufacilindrica). ლუფა ეკუთვნის კვახების ოჯახს და ხარობს, როგორც ერთი წლის (სეზონის) მცენარე. მისი სამშობლო სუბტროპიკული ქვეყნებია. ლუფას ნაყოფი ცილინდრიული ფორმისაა, რომელიც ტყავის გაძრობის შემდეგ ცელულოიდურ ნივთიერებას წარმოადგენს და უებარი საშუალებაა ტანის სახეხათ დაბანის დროს. მას დიდი გასავალი აქვს ქუდების და ცელულოიდის წარმოებაში. განსაკუთრებით ცნობილია ლუფისაგან დამზადებული ე. წ. ინგლისური ქუდები. უკანასკნელად ჩვენშიაც დაიწყეს საზაფხულო „კეპკების" დამზადება.

ნიადაგი და ჰავა აღნიშნულ მცენარისათვის ჩვენში მეტად ხელსაყრელი გამოდგა. ამ გარემოებამ და იმ მოვლენამაც, რომ მოთხოვნილება შედარებით დიდი იყო ხელი შეუწყო ნათესების ჩქარი ტემპით განვითარებას.

ბათომის ბოტანიკური ბაღის სპეციალისტების ცნობით თვითეული ქცევა იძლევა 7-დან 10 ათას ცალამდე ლუფას. თუ ჩვენ ამ რიცხვს დღევანდელ საცალო ფასებს დაუდებთ საფუძვლათ, დავინახავთ, რომ ერთი ქცევის შემოსავალი 2 ათას მანეთამდე აღწევს. რასაკვირველია, დამუშავებასაც ხარჯები უნდა და ეს ხარჯები გამოიხატება მიწის ხელოვნურათ დაპატივებაში, მესრები, (ფორჩხები). ფასებში და მიწის სამჯერ მაინც გაწმენდაში, რაც საერთოდ 350—400 მანეთს ერთ ქცევაზე არ აღემატება. ხარჯებს მოითხოვს აგრეთვე მზამზარეული პროდუქტის მიღებაც: ტყავის გაძრობა, მარცლებისაგან განთავისუფლება და გარეცხა. ასე, რომ საერთო ვარაუდით პროდუქტის თვითღირებულება 400—450 მანეთამდე გაიზრდება ერთ ქცევაზე. თვითღირებულების და საბაზრო ფასების შედარება აშკარად გვიჩვენებს აღნიშნულ კულტურის უაღრესად სარგებლიანობას. მას შეუძლია დაიჭიროს მნიშვნელოვანი ადგილი დასავლეთ საქართველოს სასოფლო-მეურნეობაში.

უსაფუძვლო ოპტიმიზმის გასაფანტავათ უნდა აღვნიშნოთ, რომ ლუფას კულტურის ყაირათიანობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენათ შევსძლებთ გასაღებას, ბაზრის მოწესრიგებას. ახლანდელი შედარებით მაღალი ფასები არ შეიძლება ჩაითვალოს მტკიცე კონიუნქტურის მაჩვენებლათ. ნათესების ზრდასთან ერთად, ფასები, თუ მოთხოვნილება პროპორციონალურად არ გაიზარდა, ცხადია დაიკლებს და აქედან საერთო შემოსავლის წყაროც შემცირდება.

აქედან უახლოესი ამოცანა აშკარაა: სახელდობრ მოწესრიგებული უნდა იქნას გასაღების ბაზარი. საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება საშუალო ვარაუდით წლიურად 4—4,5 მილიონი ცალით აღირიცხება. რასაკვირველია, ჯერჯერობით ჩვენ ამ მოთხოვნილებას ვერ დავაკმაყოფილებთ, მაგრამ თუ მთლიანი კულტურის მომავალს საპერსპეკტივოთ გავითვალისწინებთ და სავაჭრო საქმიანობას რაციონალურად დავაყენებთ შევსძლებთ არა თუ შინაური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, არამედ იმასაც რომ განსაზღვრული ნაწილი უცხოეთის ბაზრებს მივაწოდოთ. ამ მხრივ უპირველესი ამოცანა იქნება კულტურის, მისი სარგებლიანობის და პერსპექტივების გამოკვლევა და მიღებულ შედეგების მიხედვით წინასწარ გათვალისწინებული საპერსპექტივო გეგმის აშენება, როგორც კულტურის განვითარების, ისე მისი რეალიზაციის მხრივ.

ამჟამად კი უახლოეს ამოცანას შეადგენს მიმდინარე წლის მოსავლის რეალიზაცია. აქ სიტყვა ეკუთვნის **შინავაჭრობის სახკომს და სასოფლო სამეურნეო კოოპერაციას.**

კულტურის მომავალის შესახებ რასაკვირველია მიწათმოქმედების სახკომმა უნდა იზრუნოს. ამ საქმეში დიდ როლს ითამაშებს სასოფლო სამეურნეო კრედიტი. მიმდინარე წელში ა. კ. სასოფლო სამეურნეო ბანკმა ლუფის კულტურისათვის გასცა კრედიტი 13 ათასი მანეთის რაოდენობით. რასაკვირველია, ეს თანხა უმნიშვნელოა, მაგრამ თვით ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ საკრედიტო სისტემამ უკვე ყურადღება მიაქცია კულტურის საჭიროებას, როგორც ასეთს უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალში სასოფლო სამეურნეო კრედიტი ამ მხრივ თავის ოპერაციებს გააფართოებს და სხვა ორგანოებთან ერთად, ხელს შეუწყობს ამ მეტად მაღალ და შემოსავლიან კულტურას.

ი. ნარსია.

სამკურნალო რაზმების მუშაობა

14 ოქტომბერს ჯანსახკომში შესდგა ზაფხულის განმავლობაში პროვინციებში მივლინებულ სამკურნალო რაზმების ხელმძღვანელთა საინფორმაციო თათბირი, რომელზედაც რაზმების ხელმძღვანელებმა გააცნეს ჯანსახკომის წარმომადგენლებს ზაფხულის პერიოდში მათ მიერ ჩატარებული მუშაობა.

ექ. ნიკოლაიშვილი ხელმძღვანელობდა რაჭისა და შორაპნის მაზრაში გაგზავნილ თვალის სნეულებათა სამკურნალო რაზმს. იგი აღნიშნავს, რომ თვალის სამკურნალო რაზმმა მარტო რაჭის მაზრაში საექიმო დახმარება გაუწია 4.000-მდე ავათმყოფს. ზაფხულის განმავლობაში გაკეთებულ იქნა 150 ოპერაცია.

შორაპნის მაზრაში ერთი თვის განმავლობაში რაზმმა გააკეთა 110 ოპერაცია და დახმარება აღმოუჩინა 4 ათასამდე ავათმყოფს.

ექ. სიხარულიძე ხელმძღვანელობდა თვალის სამკურნალო რაზმს, რომელიც მივლინილი იყო ბორჯომის ხეობაში. რაზმმა მოახდინა თვალის სნეულებათა გამოკვლევა და დაადასტურა, რომ ბორჯომის რაიონში თვალის სნეულებები უმთავრესად გავრცელებულია უსუფთაობით. რაზმმა დახმარება აღმოუჩინა აგრეთვე ახალქალაქის მაზრიდან ჩამოსულ ავათმყოფებს, რომელთაგანაც 12 კაცს აღმოაჩნდა ტრახომით დაავადების შემთხვევა. სულ რაზმმა გააკეთა 45 ოპერაცია და საექიმო დახმარება გაუწია 578 ავათმყოფს.

თელავის და ოზურგეთის მაზრაში მივლინებული იყო ფსიქო-ნევროლოგიური რაზმი **ექ. ზურაბიშვილის** ხელმძღვანელობით. ორივე მაზრებში რაზმმა ჩაატარა ბავშვების გამოკვლევა. გურიაში აღმოჩენილ იქნა ისტერიით დაავადების 19 შემთხვევა, თელავის მაზრაში—16. იდიოტიზმი ყველგან იშვიათია, მხოლოდ ადგილი აქვს ნევრასტენიას. ხშირია აგრეთვე ლუესის (სიფილისი) ნიადაგზე სულით დაავადების შემთხვევები.

შორაპნის მაზრაში გაგზავნილი იყო გინეკოლოგიური რაზმი **ექ. ბოკერიას** ხელმძღვანელობით. რაზმმა დახმარება აღმოუჩინა 1119 ავადმყოფ ქალს.

ქუთაისის მაზრაში მუშაობის დროს რაზმმა აღმოაჩინა, რომ ექიმბაშობა კიდევ არ აღმოფხვრილა; ზოგიერთ ადგილებში ექიმბაშობას ეწევიან მღვდლები (სოფ. ხრესილი).

ექ. ნანეიშვილი გაგზავნილი იყო გინეკოლოგიური რაზმის ხელმძღვანელათ სამხრეთ-ოსეთში და ახალქალაქის მაზრაში. სულ რაზმმა დახმარება აღმოუჩინა 1500 ავადმყოფ ქალს. აქედან სამხ.-ოსეთში უმთავრესად გავრცელებულია ის ქალური სნეულებანი, რომელთაც იწვევს უსუფთაობა. ახალქალაქის მაზრაში გავრცელებულია ლუესის ნიადაგზე დაავადება და ზოგჯერ კეთრიც. მარტო სოფ. გორელოვკაში (დუხობორების სოფელია) აღმოჩნდა კეთრით დაავადების 3 შემთხვევა.

თათბირის დასასრულს რაზმის ხელმძღვანელებს ჯანსახკომის სახელით მადლობა გადაუხადა სამკურნალო განყოფილების გამგემ—ექ. ა. გოცირიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ რაზმების ასეთი სისტემით მუშაობა პირველათ შემოიღო საქარ. ჯანმრთ. სახ. კომისარიატმა.

ბ. პატეკის გამგზავრება

პოლონეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საბჭოთა კავშირში **ბ. პატეკი** 16 ოქტომბერს თბილისიდან გაემგზავრა ბაქოში.

ბ. პატეკთან ერთად ბაქოში გაემგზავრენ პოლონეთის კონსული ხარკოვში **სკშინსკი,** პოლონეთის კონსული თბილისში **მოსტოვსკი** და ვიცე-კონსული **ენკოვსკი.**

ბ. პატეკი ბაქოში დარჩება ერთ-ორ დღეს და უკან დაბრუნებისას თბილისში გავლით ჩავა ბათომში. ბათომიდან ბ. პატეკი დაბრუნდება მოსკოვში.

თბილისიდან გამგზავრების წინ ბ. პატეკმა გამოსთქვა უღრმესი მადლობა იმ სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც გამოიჩინეს მისდამი საქართველოში ყოფნის დროს.

— მე დარწმუნებული ვარ, — განაცხადა ბ. პატეკმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში, — რომ პოლონეთის და საბჭოთა კავშირის შორის განმტკიცდება სრული მეგობრული ურთიერთ დამოკიდებულება და ამას ვერავითარი დაბრკოლებები ვერ შეუშლიან ხელს.

მე მოხიბლული ვარ თქვენი ქვეყნის სილამაზით და ვწუხვარ, რომ აქამდე არ მქონდა საშუალება გავცნობოდი ამ მშვენიერ ქვეყანას.

ბ. პატეკი ბაქოში

ბაქო, 17 ოქტომბერი. 16 ოქტომბერს თბილისიდან ჩამოვიდა პოლონეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ბ. პატეკი, რომელსაც სადგურზე შეხვდენ აზერბეიჯანის სახკომსაბჭოს და გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის სააგენტოს წარმომადგენლები.

პატეკი გაემგზავრა ბათომში

ბაქო, 17 ოქტომბერი. ბაქოში ჩამოსულმა ბ. პატეკმა ინახულა აზნავთის სამრეწველოები, ნავთის გადასამუშავებელი ქარხნები და მუშათა უბნები. დღისით ბ. პატეკი მიიღო აზერბეიჯანის სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **გაჯი კასუმოვმა.** ამხ. კასუმოვთან პატეკს ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი მას უმთავრესად აინტერესებდა ეროვნულ საკითხის გადაჭრა აზერბეიჯანში და ამიერ-კავკასიაში. პატეკმა გამოსთქვა სრული კმაყოფილება ყოველივე იმის გამო, რაც მან ნახა ამიერ-კავკასიაში და აზერბეიჯანში. საღამოთი ბ. პატეკი გაემგზავრა ბათომში, საიდანაც ყირიმის გზით დაბრუნდება მოსკოვში.

ამხ. ჰანრი ბარბიუსი ოზურგეთში

(დეპეშით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ოზურგეთი, 17 ოქტომბ. 16 ოქტომბერს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ამხ. **ს. თოდრიას** თანხლებით ოზურგეთში ჩამოვიდა საქართველოს მშრომელთა უძვირფასესი სტუმარი, საფრანგეთის სახელოვანი მწერალი ამხ. **ჰანრი ბარბიუსი.**

17 ოქტომბერს ამხ. ჰანრი ბარბიუსი ორნახევარი საათის განმავლობაში ესაუბრა სამაზრო პარტკომის მდივანს ამხ. **კოწია გურგენიძეს,** რომელსაც გამოჰკითხა გურიის წარსული, მენშევიკების ბატონობის შედეგები, მაზრის თანამედროვე კულტურულ - ეკონომიური მდგომარეობა და ადგილობრივ საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები.

ადგილობრივ მუშაკების თანხლებით ამხ. ბარბიუსმა დაათვალიერა როგორც ამჟამად მომუშავე აბრეშუმის ფაბრიკა, ისე სამუშაოები, რომელიც სწარმოებს ახალი ორჯერ უფრო დიდი აბრეშუმის სახვევი ქარხნის და ელექტრო - სადგურის ასაშენებლად.

ყველა ეს მომენტები გადაღებულ იქნა საქ. სახკინმრეწვის ექსპედიციის მიერ კინო - ქრონიკისათვის.

შუადღის 12 საათზე ამხ. ჰანრი ბარბიუსი, ს. თოდრია და ზოგიერთი ადგილობრივ მუშაკები ცხენებით გაემგზავრენ აღმოსავლეთ - გურიაში, საიდანაც სტუმრები თბილისში აპირებენ გამგზავრებას.

ვ. უჯმაჯურიძე.

ჰანრი ბარბიუსი ახალციხის მაზრაში

ახალციხე, 15 ოქტომბერი. 14 ოქტომბერს დილით, ახალციხეში ჩამოვიდა ამხ. **ჰანრი ბარბიუსი,** რომელსაც საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. სამაზრო აღმასკომში ამხ. ბარბიუსი გაეცნო მაზრის ეკონომიური და პოლიტიკურ ცხოვრებას მეფის, მენშევიკების და საბჭოთა ხელისუფლების დროს. განსაკუთრებული ინტერესით ეცნობოდა იგი საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ რეპრესიებს მიმართავდენ მენშევიკები ბოლშევიკების წინააღმდეგ საქართველოს გასაბჭოებამდე. „მენშევიკები, — განაცხადა, ამხ. ბარბიუსმა, — ევროპაში ავრცელებენ ხმებს, რომ მათი რეპრესიები მხოლოდ და მხოლოდ სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტების წინააღმდეგ იყო მიმართული და არა ბოლშევიკების წინააღმდეგ".

ამხ. ბარბიუსს წარუდგა რამოდენიმე ადგილობრივი პარტიული ამხანაგი, რომელნიც მხოლოდ და მხოლოდ კომპარტიის წევრობისათვის დააპატიმრეს და გადაასახლეს მენშევიკებმა.

ქალაქის დათვალიერების შემდეგ ამხ. ბარბიუსი ადგილობრივი მუშაკების თანხლებით გაემგზავრა აბასთუმანში, საიდანაც გაემგზავრება ბორჯომში.

ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ამხ. ბარბიუსმა აღნიშნა, რომ მისი განსაკუთრებული ყურადღება ახალციხეში მიიქცია „ნაციონალური მშვიდობიანობის დამყარებამ, მთელი მოსახლეობის ენტუზიაზმმა და ენერგიამ, აღმშენებლობის საქმის ფართოდ დაყენებამ". (ადს).

მოდელების შეჯიბრი

კვირას, 16 ოქტომბერს, დიდუბეში შესდგა თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების ამიერ-კავკასიის ორგანიზაციის მიერ მოწყობილი ფრინავი მოდელების შეჯიბრი ამიერ-კავკასიის ჯილდოს მისაღებად. ამ შეჯიბრის დამახასიათებელი თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ მასში მონაწილეობას იღებდენ უმთავრესად პატარა აეროპლანების მოდელები.

მონაწილეთა რიცხვი შედარებით მცირე იყო, რაიც აიხსნება მათდამი წარდგენილი მოთხოვნილების სირთულით. მაგრამ შეჯიბრი მაინც წარმატებით ჩატარდა.

100 მან. ჯილდო მიიღო ამიერ-კავკასიის რკ. გზის ნავთსადენის დარგთან არსებული წრის მოდელისტმა **ჩეკულაევმა,** რომელმაც წინედ პირველი ჯილდო მიიღო მფრინავი მოდელების საკავშირო შეჯიბრში. მისმა მოდელმა ამ უკანასკნელ შეჯიბრში გაიარა 300 მეტრი. ჩეკულაევი თბილისის ერთ-ერთი ძველი მოდელისტია. იგი ამ დარგში მუშაობს უკვე ოთხი წელია. მის მიერ დამზადებული მოდელები განირჩევიან ნაწილების წონასწორობით. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ მან პირველი ჯილდო მიიღო საკავშირო გამოფენაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მოდელების დამზადება მეტად ძნელი საქმეა. სამოდელო წრეებს, რომელთა რიცხვი ერთ დროს საკმაოდ ბევრი იყო თბილისში, უკანასკნელ ხანებში უჭირთ მუშაობა. საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების ავიოტეხნიკური სექცია ამჟამად იღებს ზომებს იმისათვის, რომ გააუმჯობესოს ამ წრეების მდგომარეობა. მას განზრახვა აქვს თბილისის ყოველ რაიონში მოაწყოს ასეთი წრე და ჩააბას ამ საქმეში ახალგაზრდობა.

საბჭოთა საქართველო

წერილები

გზების მნიშვნელობა სოფლისათვის

სოფლის ეკონომიური კეთილდღეობა ბევრად არის დამოკიდებული ხეირიან სამიმოსვლო გზების არსებობაზე. შესაფერისად მოწყობილ შარა-გზების საშუალებით შესაძლებელი ხდება სოფლის ნაწარმოების დაუბრკოლებლად გადაზიდვა იმ ადგილებში, საიდანაც ადვილად შეიძლება მისი ბაზარზე გატანა, ხელსაყრელ ფასებში გასაღება და გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაც სწორედ ამითაა შესაძლებელი.

ხეირიან სამიმოსვლო გზებს დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე როგორც მგზავრობისათვის, ისე ქალაქებიდან საფაბრიკო ნაწარმოების სოფლისათვის მისაწოდებლად.

სოფლის კოოპერატივები იძულებული ხდებიან დიდი ზედნადები ხარჯების გამო გაადიდონ საქონლის ფასები, რაც მომხმარებლის აწვება ტვირთად.

ეს გარემოება ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს და აგრეთვე საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს მშვენივრად აქვთ შეთვისებული და ისინი ღებულობენ ყოველგვარ ზომებს როგორც არსებული შარა-გზების შესაკეთებლად, ისე ახალის გასაყვანადაც.

გასაბჭოების დროს ჩვენ დაგვრჩა სრულიად გაჩანაგებული შარა-გზები, რომლის შეკეთება მოითხოვდა საგრძნობ თანხებს, მიუხედავად ამისა მრავალ ადგილას როგორც გზატკეცილების სამმართველოს დახმარებით, ისე ადგილობრივ გლეხობის ინიციატივით შესაფერისად შეკეთდა გზები, ამასთანავე გაყვანილი იქნა ახალი გზატკეცილებიც.

მაგრამ იმ დროის განმავლობაში, რომელიც ჩვენს განკარგულებაში იყო, ამ მუშაობის ყველგან დასრულება შეუძლებელია. ამიტომ ჯერ კიდევ დიდი ენერგიის დახარჯვაა საჭირო, სანამ ყველა სოფელში გვექნება კარგი გზატკეცილები.

ადგილობრივ მნიშვნელობის გზების შეკეთების საქმეში მთავარი ხელმძღვანელობა უნდა იკისროს თემის აღმასკომებმა. მათ მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ საგზაო ბეგარის მნიშვნელობა, შექმნან გლეხობის ინიციატივა და თვითმოქმედების ნიადაგი, შესაძლებელია შესაფერი შედეგების მიღება. შემოდგომა საუკეთესო დროა ამ მუშაობისათვის, ვინაიდან მაშინ გლეხობა შედარებით უფრო თავისუფალია ოჯახური სამუშაოებისაგან.

ჩვენ წინ გვიდგას ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავის დღესასწაული და ამ დროისათვის სოფელს უსათუოდ უნდა ჰქონდეს შესაფერისად შეკეთებული შარა-გზები, რითაც საბოლოო ანგარიშში გაუმჯობესდება გლეხობის როგორც ეკონომიური მდგომარეობა, ისე მათი კულტურული დონეც.

ხ. ე.

დუშეთი

ხშირად ასეთი გასამართლება

ამას წინედ, დუშეთის განათლების მუშ. კავშირის მეორე ადგილკომთან არსებულ კულტკომისიის მიერ მოწყობილი იქნა მიხეილ ჯავახიშვილის რომანის „ჯაყოს ხიზნების" გმირის მარგოს ლიტერატურული გასამართლება, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო.

სასამართლოს თავმჯდომარეობდა ამხ. ალ. მეგრელიშვილი, რომელმაც საზოგადოებას დაწვრილებით გააცნო რომანის შინაარსი. ბრალსდებდნენ: ნ. აბესაძე და ე. ღლონტიძე, იცავდნენ: ქუთულაძე და შ. ლორთქიფანიძე.

კამათში გაშუქებულ იქნა სოციალ ეკონომიური და პოლიტიკური სტრუქტურა მენშევიკებისა და საბჭოთა ხელისუფლების დროს საქართველოში.

საზოგადოება განსაკუთრებულის ყურადღებით ისმენდა იმ „ტრაგედიას", რომელიც თავს დაატყდათ ლუარსაბ თათქარიძის გაინტელიგენტებულ მემკვიდრეებს და მენშევიკების მიერ გააზნაურებულ ჯაყოებს მშრომელთა კლასის გამარჯვების შემდეგ.

მხოლოდ ასეთი შინაარსის ლიტერატურული გასამართლების საშუალებით კულტკომისიას შეუძლია შესაფერ სიმაღლეზე დააყენოს ხალხის განვითარების დონე.

შ. ლ—ძე.

წითელი ქალაქის თემი, გორ. მაზრა

შეაკეთოდ გზა-ტკეცილები

სადგურ გრაკალიდან მიმავალ წითელ ქალაქის მთავარი გზა უმწეო მდგომარეობაშია სასარეთთან, ს. ყარალაჯიდან სარწყავ მიწებიდან გადმოსხეთქილი წყლის ნიაღვარი ვეებერთელა მანძილზე რეცხავს და აფუჭებს ამ ერთად-ერთ გზას.

ძველად აღნიშნული გზა საფოსტო გზად ითვლებოდა, რომელიც აერთებდა ქალაქ თბილის-ბათომთან და დღესაც სატრანსიტო მოძრაობაა მასზე, მაგრამ თუ ეტლიდან არ გადმოვიდა მგზავრი, სახიფათოა ჩამტვრეულ ხიდ-ბოგირებზე დატვირთულ ეტლის გადასვლა.

ეს სურათი ნათელჰყოფს იმ გარემოებას, რომ ზემოაღნიშნული სოფლების საბჭოს წევრები არ იჩენენ აქტივობას და გულგრილად ეკიდებიან თავიანთივე სასარგებლო საქმეს. ამ გზაზე მოგზაური ხშირად უნახავთ გადაბრუნებული დატვირთული ურემი, რაც უკმაყოფილებას იწვევს მოსახლეობაში.

საჭიროა სოფლის საბჭოს წევრებმა იგრძნონ თავიანთი თავი პასუხისმგებლად ამომრჩევლების წინაშე და გამოიჩინონ გაათკეცებული აქტივობა, რათა ოქტომბრის ათი წლის თავზე შეკეთებულ იქნეს ჩვენს თემში ყველა გზა-ბოგირები.

წერილებიდან

ს. დიდ. მანგლისის რაიონი

დაეხმარეთ მთიელებს

პრიუტის თემში (მანგლისის რაიონი) სოფელი დიდ. ერთ-ერთი ცენტრია მთიელთა 10-11 სოფლისა, რომელიც სივრცითაც ყველა სოფელზე დიდია. ამ სოფელში არსებობს 4 წლედი შრ. სკოლა და ახლად დაარსებული ქოხ-სამკითხველო, რომელიც უკიდურეს სიღატაკეს განიცდის, როგორც ინვენტარის, ისე ლიტერატურის მხრივ. ხსენებული სამკითხველოს გამგეთ დანიშნეს ამავე სოფლის სკოლის მასწავლებელი ამხ. მჭედლიშვილი, რომელიც ყოველ მხრივ ცდილობს გააცხოველოს კულტმუშაობა, მაგრამ ნივთიერ დახმარებას არავინ უწევს.

ხსენებულმა გამგემ მიმართა მთიელთა საზოგადოებას, მაგრამ ვერავითარი დახმარება ვერ მიიღო. მიმართა პოლიტგანს, არც მან აღმოუჩინა რაიმე დახმარება.

ამ სოფელს ჰყავს საშეფო საზოგადოება თბილისის აღმასკომთან არსებული, მაგრამ ჯერ-ჯერობით იქიდანაც სამკითხველოს დახმარება არ მიუღია.

დაეხმარეთ მთიელების კულტურულ კერას.

მუშკორი ლადო.

დ. ანაკლია, ზუგდიდის მაზრა

გულგრილობა დანაშაულია

დ. ანაკლიაში არსებობს ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულება, რომელიც გვაერთებს ზუგდიდთან ტელეფონით. მოდიან მთხოვნელები, რომლებსაც სურთ გამოუძახონ ზუგდიდს, მაგრამ იქაური ელმსახურები ჩვენს გამოწვევას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ და ორი-სამი საათი გვიხდება ლოდინი.

ვისი ბრალია მოვალეობისადმი ასეთი გულგრილობა? ეს უნდა მიეწეროს ზუგდიდის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გამგის სისუსტეს.

საჭიროა შემდეგში მაინც გამოსწორდეს ეს ნაკლი.

ა. მზხელიშვილი.

სოფლის ქრონიკა

— საექიმო პუნქტი. სოფ. ერკეთში (ოზურგ. მაზრა) გაიხსნა საექიმო პუნქტი.

— გზატკეცილი. ახლო ხანში შეუდგებიან გზატკეცილის გაყვანას ცხინვალ - ქარელის შორის.

— ამბულატორია. წითელი ჯვარის საზოგადოებამ სოფ. არანდარში (აფხაზეთშია) გახსნა სასოფლო ამბულატორია.

კასპის თემი, გორის მაზრა

ნაყოფიერი მუშაობა

კასპის თემის აღმასკომის სარევიზიო კომისიამ 7 ოქტომბერს გამოკვლევის სახით ჩაატარა კრებები ს. კასპში, აღაიანში, საქადაგიანოში და მირიანაურში, სადაც თემაღმასკომის მუშაობა ცნო დამაკმაყოფილებლად.

ს. მირიანაურში, სადაც ცხოვრობს 14 კომლი, დაუდგამთ 70 ცხენის ძალის მანქანა, რომელმაც უნდა მორწყოს 165 დესეტინა მინდორი, რომელიც დღემდე გამოუსადეგარი იყო უწყლობის გამო.

გლეხობა დიდათ კმაყოფილია ხელისუფლების მუშაობით და ამბობენ: თუ არა მუშურ-გლეხური მთავრობა, ჩვენ ამის გაკეთებას ვერასოდეს ვერ ვეღირსებოდითო.

ვ. ნონიკაშვილი.

ს. გიორგიწმინდა, თბილისის მაზრა

თვითმოქმედება სუსტია

გიორგიწმინდა საკმაოდ მოზრდილი სოფელია, გლეხობა აქ უფრო შეძლებულად ცხოვრობს, ვიდრე მეზობელ სოფელში. ასეთ მოზრდილ სოფ. არა აქვს რიგიანი სკოლის შენობა ქოხ-სამკით. და სხ. გლეხობას არა აქვს ისეთი ბინა, სადაც თავისუფალ დღეებში შეეძლება მსჯელობა, ან და რაიმე მოხსენება-საუბრების მოსმენა. სასოფლო ყრილობების ჩატარებაც გლეხობას ზამთრობით ცის ქვეშ უხდება.

წარსულ წელს გლეხობამ გადასწყვიტა აეშენებინა სახ. სახლი, რომელსაც გამოიყენებდნენ, როგორც ქოხ-სამკითხველოსთვის, აგრეთვე გაიჩენდნენ მუდმივ თავშესაფარს. მათ დაიწყეს მასალის, ქვა-ქვიშის, რამოდენიმე ათასეულ აგურის და სხვა მოტანა, მაგრამ არავინ ყურადღებას არ აქცევს და არ ხელმძღვანელობს.

რას ფიქრობს საგარეჯოს თემ-აღმასკომის საამშენებლო სექცია? საჭიროა ეხლა მაინც მიაქციოს ყურადღება.

ბ—ლი.

— არხი. ნაგომარში (გურია) შეუდგენ ჭაობების ამოსაშრობ არხის გაყვანას.

— აფთიაქები. თელავის მაზრაში წელს გაიხსნა 3 ახალი აფთიაქი.

— ტყის მოწყობა. დამთავრდა ტყეების მოწყობა გურიის სატყეოებში.

— ხიდი. სამხრეთ-ოსეთში სოფ. კუდარში მდ. ჯოჯორზე აგებენ ხიდს.

მუშათა ცხოვრება

ოთხშაბათს, 19 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, ჩვენი რედაქციის ბინაზე დანიშნულია გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა საერთო კრება. კრებაზე მოწვეულნი არიან აგრეთვე თბილისის ფაბრიკა - ქარხნებთან არსებულ კედლის გაზეთების თანამშრომლებიც. დღის წესრიგში სდგას: ამხ. ს. გოდაბრელიძის მოხსენება კოლექტიურ ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ.

მუშკორთა ბიუროს წევრები უნდა გამოცხადდენ სრულ 5 საათზე.

შრომის კოლექტივების შესახებ

უმუშევრობასთან ბრძოლის ერთი მთავარი საშუალებათაგანია უმუშევართა კოლექტივების მოწყობა-დაარსება და საზოგადო სამუშაოების გაფართოება. ამ მხრივ შრომის სახალხო კომისარიატი და შრომის ბირჟა ერთხანს გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებდენ. მრავალ ადგილას დაარსებულ იქნა შრომის კოლექტივის სამუშაოები, რომლებიც ჩაბმულ იყვნენ კავშირის უმუშევარი წევრები. ასეთებია: ქარხანა „ტრიკოტაჟი", „მეჩექმეთა კოლექტივი" და სხვა სამუშაოები, სადაც ასობით უმუშევრები ირჩენენ თავს და არჩენენ თავიანთ ოჯახსაც.

მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში, როგორც შრომის კომისარიატმა, ისე შრომის ბირჟამაც რატომღაც თავი მიანებეს ასეთ კოლექტივების დაარსებას და უკვე არსებულ კოლექტივებზე ხელმძღვანელობის გაწევას. ამის გამო მრავალი შრომის კოლექტივები დაიშალენ, ხოლო რომლებიც არიან დარჩენილი და ჯერ-ჯერობით კიდევ არსებობენ, იქ საქმე ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული.

განსაკუთრებით მუშკოოპის წითელ სასადილოები, რომლებიც უკანასკნელად შრომის კოლექტივების ხელში იყო, თითქმის სავსებით მოისპო. ამ დღეებში დაიხურა შრომის კოლექტივის მეექვსე და მეშვიდე სასადილოები, სადაც მუშაობდა დაახლოვებით 40—50 კაცი. ამ სასადილოებს კარგი შემოსავალი ჰქონდათ. მათ შეეძლოთ არსებობა, მაგრამ შრომის ბირჟის უყურადღებობისა და სუსტი ხელმძღვანელობის წყალობით სასადილოები დაიხურა და 50 მუშა მოემატა უმუშევართა არმიას. ასეთივე ბედი ეწვია მუშკოოპის სხვა ყოფილ წითელ სასადილოსაც.

ეს გარემოება ხელს უშლის უმუშევრობასთან ბრძოლას და აფერხებს უმუშევართა რიცხვის შემცირებას. შრომის კომისარიატმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენებს. მან დახმარება უნდა გაუწიოს შრომის კოლექტივებს, როგორც ფინანსიურად, ისე ხელმძღვანელობის მხრივაც. გარდა ამისა, შრომის ბირჟამ უნდა ეცადოს კოლექტივებს დაუნიშნოს რაც შეიძლება მცოდნე და საქმის მოსიყვარულე ხელმძღვანელები, რომლებიც კოლექტივს უზრუნველყოფენ ყოველგვარ ზარალისაგან. ასეთი საშუალებით ჩვენ შევძლებთ შრომის კოლექტივების სწორ-განხაზიანი მუშაობის გაცხოველებას, რომელიც ამავე დროს საუცხოვო საშუალებაა უმუშევრობასთან საბრძოლველად.

ტ.

დაუდევრობას ბოლო მოუღოთ

(წერილი ხაშურიდან)

სახალხო მატარებლების განრიგებით სვლის შესახებ მოძრაობის უფროსს არა ერთი განკარგულება გამოუცია, მაგრამ ზოგიერთი სადგურის ქმედები ამ განკარგულებებს არ აქცევენ ყურადღებას, რაც ძალიან ძვირად უჯდება რკ. გზას.

26 სექტემბერს, ბათომიდან მომავალი მატარებელი № 13 ხუთი წუთის განმავლობაში იდგა სად. ხაშურის ნიშანსვეტთან და ელოდებოდა სადგურში შესავალ გზის გასუფთავებას. ამის გამო მატარებელი დაგვიანებით მოვიდა თბილისში. ეს თუმცა წვრილმანია, მაგრამ ასეთ წვრილმანის წყალობით რკ. გზას დიდი ზარალი მოსდის.

საჭიროა ასეთ დაუდევრობას ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო.

ი. არუსპირელი.

უნებართვოდ ვაჭრობს

საბაჟოს ქუჩა № 104-ში ხაშით ვაჭრობს ვინმე ვ. გოგოლაძე. ეს ვაჟბატონი ისე ბინძურად აკეთებს ხაშს, რომ მისი ჭამა შეუძლებელია. გოგოლაძე ჩაჰყრის ძველ ჭუჭყიან ბინძურ მეშოკში ხაშს და ისე შეაქვს დუქანში მოსახარშად. სახაშის სამზარეულოში კი ყოველგვარ სიბინძურეს შეხვდებით.

გარდა ამისა მას აქვს პატენტი მხოლოდ ხაშის გაყიდვის, მაგრამ გოგოლაძე მარტო ხაშის გაყიდვით არ კმაყოფილდება. ის სხვადასხვა საჭმელებსა და მაგარ სასმელებსაც ყიდის. საკვლიზო სამმართველომ და მე-12 უბნის სანიტკომისიამ, ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას.

მეჩონგურე გოგია.

მუშკოოპმა უნდა გვიშველოს

წითელ არმიელთა ქუჩა № 6 არის კერძო პირის ღვინო-გასტრონომიული მაღაზია „სპერანსი". მისი პატრონისათვის არ არსებობს არავითარი ნიხრი,—ჰყიდის ისე, როგორც მოეპრიანება და ტყავს აძრობს აქაურ მუშა-მოსამსახურეებს. მის გვერდში იყო კერძო თორნე და ფურნე, რომლებიც უკვე გადავიდა მუშკოოპის ხელში.

კარგი იქნება რომ „სპერანსის" ადგილას მუშკოოპმა გახსნას თავისი ღვინო—გასტრონომიული მაღაზია.

ადგილობრივი.

უწესრიგობანი რკინის გზაზე

ამჟამად რკინის გზაზე შრომის პირობები მეტად გაუმჯობესებულია, მაგრამ მაინც აქვს ადგილი ზოგიერთ თანამდებობის მოხელეთა გადატვირთებულ შრომას, რაც გამოწვეულია თვით მოხელეთა თვითნებობით. ასეთი შრომა განსაკუთრებით შემჩნეული იმ თანამდებობებს შორის, რომლებიც ეწევიან მორიგეობას. ეს გარემოება ართულებს და აძნელებს რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობას, რომელიც ხშირად თავდება საბედისწერო შემთხვევებით. სადგურის უფროსების თანაშემწეების და მეისრეთა მორიგეობის წესიერი განრიგებას ხშირად ურთიერთ შორის შეთანხმებით არღვევენ და მთელი დღე-ღამე მორიგეობენ ერთი მეორის მაგივრად. ასეთი მუშაობა დღის სადგურის უფროსის თანაშემწეს და ღამე, რომელსაც საჭიროა განსაკუთრებითი სიფხიზლე და ყურადღება, მას ძნელია, ასეთივე შემთხვევებს ვამჩნევთ ზოგიერთ სადგურებზე ლამპანშიკებთა და სხ; შორის. ლიანდაგის დარაჯების სამორიგეო კი არავითარი წესი არაა გათვალისწინებული. აქ თვითეული ასპარეზი აქვს დათმობილი სუბიექტიურ ნებას და სურვილს.

ამას წინათ ლიანდაგის დარაჯებს შორის შეთანხმებით სოლანლუღის გადასარბენზე ერთმა დარაჯმა ოთხი დღე-ღამე იმორიგა, რასაკვირველია, რომ მისი მორიგეობა არ იქნებოდა ნაყოფიერი. ასეთივე მდგომარეობაა სამგზავრო მატარებლის კონდუქტორთა და გამზითავებ შორისაც, მატარებლის გზაში ყოფნისას კონდუქტორები ანთავისუფლებენ ერთი-მეორეს და თვითონ კისრულობენ განთავისუფლებულ მოვალეობის შესრულებას. ასე, რომ მატარებელს 6 კაცის ნაცვლად მიჰყვება 5 ან 4 კონდუქტორი. საჭიროების დროს კონდუქტორთა შემცირებული გუნდი ვერ უწევს მატარებელს სათანადო დახმარებას, რასაც ხშირად უბედური შემთხვევა მოჰყვება ხოლმე. ამას აქვს ადგილი და მომავალშიც გაგრძელდება თუ არ იქნა რაიმე ზომები მიღებული ასეთ მოვლენების თავიდან ასაცილებლად.

შრომის ინსპექტორებმა უნდა გამოიკვლიონ სადგურებზე მოხელეთა მორიგეობის წესი და სისტემა, შეადგინონ შრომის კანონმდებლობის თანახმად მორიგეობის საზომი და წარუდგინონ ასეთი პროფკავშირს განსახილველად და დასამტკიცებლად როგორც ამას ჰქონდა ადგილი ამიერკავშირის ტელეგრაფის საპარატოში. შემოღებულ ხაზზობის სავსებით დაცვა უნდა დაეკისროს სადგურის უფროსებს პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ. ამასთანავე სისტემატიური ზედამხედველობა უნდა აწარმოონ შრომის ინსპექტორმაც და ხან გამოშვებით მოახდინონ რევიზიები.

რაც შეეხება კონდუქტორთა და გამზითავებს შორის უწესო მოვლენების აღმოფხვრას, საჭიროა დაიდგინოს საშუალო და დიდი სადგურის ზირაგებში, გაუკეთონ კონტროლი მატარებელზე მომქმედ გამზითავების და კონდუქტორთა გუნდის შემადგენლობას, აღნიშნონ საგზაო დღიურში გუნდში ამა თუ იმ კონდუქტორის არყოფნა და სხვა.

აღნიშნული ღონისძიებების ჩატარება ხელს შეუწყობს ტრანსპორტზე მოსამსახურეთა შორის დისციპლინის აწევას და შრომის ნაყოფიერების ზრდას.

რკინის გზელი.

პასუხი უნდა მოეთხოვოს

26 სექტემბერს დილის 8 საათზე სად. სანაინში მატარებელი № 191 უნდა მიეღოთ მეხუთე ხაზზე, მაგრამ მეისრეს დაუდევრობით ხსენებული მატარებელი მიღებული იქნა მეექვსე ხაზზე, რომელზეც იდგა მეორე მატარებელი.

მიუხედავად იმისა, რომ მატარებელი ძალიან სისწრაფით შემოდიოდა სადგურში, მემანქანე მაქარიძემ უცბად შეამჩნია ლიანდაგზე მდგომი მატარებელი, რომელსაც უნდა დატაკებოდა და დროზე მიღებულ ენერგიული ზომებით 25 მეტრის მანძილზე ძლივს - ძლივობით შეაჩერა. ამგვარად ამხ. მაქარაძის წყალობით კატასტროფა აცილებულ იქნა.

ასეთი ენერგიული მუშაობისათვის მემანქანე მაქარაძე მადლობის და ჯილდოს ღირსია, ხოლო მეისრეს კი პასუხი უნდა მოეთხოვოს ასეთი დაუშვებელ დაუდევრობისათვის.

ძია-ლევან.

სახელოსნო სახლში

დუმბაძის ქუჩა № 12, საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობის სახლში. ვინმე პრესნიაკოვს. მოწყობილი აქვს სამუშაო დაზგა და მთელი დღის განმავლობაში ჩაქუჩის ცემით და ხმაურით მოსვენებას არ აძლევს მცხოვრებლებს. საქმე იმაშია, რომ მოქ. პრესნიაკოვს აღმასკომიდან ნებართვაც კი არა აქვს აღებული სახელოსნოს მოწყობისა.

სახლის გამგეობამ უნდა მოაშლევინოს მოქ. პრესნიაკოვს სახელოსნო.

გ. წ—ძე.

საზეიმო სხდომა

ამიერ-კავკასია-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატაში

სპარსეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების დადების გამო

კვირას, 16 ოქტომბერს პროფსაბჭოს დარბაზში შესდგა აღმოსავლეთ-სავაჭრო პალატის საბჭოს საზეიმო სხდომა სპარსეთ-საბჭოთა კავშირის შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების გამო. სხდომას დაესწრენ სპარსეთის, ოსმალეთის დიპლომატიური წარმომადგენელნი და კერძო მოქალაქენი—უმთავრესად ვაჭრების წარმომადგენელნი, ა.-კ. სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელნი და სხვა.

სხდომა გახსნა ა.-კ. სავაჭრო პალატის საბჭოს თავმჯდომარემ—ა.-კ. ფინ. სახ. კომისარმა ამხ. ჰუსეინოვმა.

პრეზიდიუმის არჩევა

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ ამხ. ჰუსეინოვი, სპარსეთის გენერალური კონსული თბილისში ბ. მირ-ალი-ხან-ზახირი, ოსმალეთის გენერალური კონსული, ამხ. ბეკზადიანი და ამხ. შირვანსკი.

ამხ. ჰუსეინოვის სიტყვა

ამხ. ჰუსეინოვმა ხაზი გაუსვა რა სპარსეთ-საბჭოთა კავშირს შორის დადებულ სავაჭრო ხელშეკრულების უდიდეს მნიშვნელობას იმ მხრივ რომ იგი მტკიცე საფუძველს უქმნის ამ ორ სახელმწიფოთა შორის არსებულ პოლიტიკურ შეთანხმებას თავდაუსხმელობის და ნეიტრალიტეტის შესახებ.

დღიდან თავისი არსებობისა, — საბჭოთა მთავრობა საქვეყნოთ აცხადებს, რომ იგი მუდამ ზად არის ყველა ქვეყნების მთავრობასთან დადოს შეთანხმება, რომელიც მოაწესრიგებს მშვიდობიან ურთიერთობას მათ შორის. მაგრამ დღემდე, მიუხედავად საბჭ. მთავრობის გულწრფელი მისწრაფებისა და ღონისძიებებისა, მხოლოდ ორ სახელმწიფოსთან—გერმანიასთან და ლიტვასთან დაიდვა ასეთი შეთანხმება. რამდენადაც დასავლეთის სახელმწიფოები გაურბიან საერთაშორისო მშვიდობიანობის ასეთი საშუალებით მოწესრიგებას, იმდენად ახლო-აღმოსავლეთის სახელმწიფოები იჩენენ კეთილ მისწრაფებას შექმნან და განამტკიცონ საბჭოთა კავშირთან მშვიდობიანი პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა. ავღანისტანსა, ოსმალეთსა და უკანასკნელად სპარსეთთან ხელშეკრულების დადების ფაქტი მოწმობს იმას, რომ ამ სახელმწიფოთა მმართველებს იგივე მშვიდობიანი ზრახვები ამოქმედებს, როგორიც საბჭოთა მთავრობას.

ყოველგვარი პოლიტიკური შეთანხმება,—განაცხადა ამხ. ჰუსეინოვმა, ჰკარგავს თავის მნიშვნელობას, თუ იგი განმტკიცებული არ არის საქმიანი ეკონომიური ურთიერთობით. ამ საქმიანი ურთიერთობის შესაქმნელად საბჭოთა კავშირს და სპარსეთს აქვთ ფრიად ხელსაყრელი პირობები: ეს ორი ქვეყანა ერთი მეორეს ავსებენ,—ის, რაც მოეპოვება სპარსეთს, არა აქვს საბჭოთა რესპუბლიკებს და პირიქით. ჩვენი სოციალისტური მშენებლობა ახლად განსადგმული ინდუსტრიალური მრეწველობა საჭიროებს სპარსეთის ნედლეულს, ხოლო სპარსეთის სასოფლო მეურნეობა ჩვენი მრეწველობის პროდუქციას და აგრეთვე ჩვენს ტერიტორიაზე მდებარე სატრანზიტო გზას. ამ თვალსაზრისით სპარსეთ-საბჭოთა კავშირს შორის დადებული სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მეურნეობის ორ სხვადასხვა სისტემის შორის ეკონომიური თანამშრომლობის ყოველგვარ წვრილმანს, წარმოადგენს უტყუარ ხელშეკრულებას, რომელიც ორივე მხარისათვის დიდ სარგებლობას შეიცავს. მე გამოვსთქვამ მტკიცე რწმენას, რომ ახლო მომავალში ეს ხელშეკრულება დადასტურებული იქნება საბჭოთა კავშირის ცაკის და სპარსეთის მეჯლისის რატიფიკაციით, რის შემდეგაც დაიწყება ჩვენი ეკონომიური ურთიერთობის ახალი პერიოდი დადებულ ხელშეკრულების საფუძველზე.

ამხ. ბეკზადიანის სიტყვა

შემდეგ სიტყვას ამბობს ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარი ამხ. ბეკზადიანი. ჩვენს დროში,—ამბობს ამხ. ბეკზადიანი, არ არის ისეთი ხელშეკრულება, რომელიც წმინდა სავაჭრო ხასიათის იყვეს და პოლიტიკური მნიშვნელობა არ ჰქონდეს. როცა საბჭოთა კავშირი თავისი არსებობის 10 წლის თავზე სპარსეთთან ჰკრავს, სავაჭრო ხელშეკრულებას,—ეს იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკური ურთიერთობა მათ შორის იმდენად განმტკიცებულია, რომ უკვე შესაძლებელი ხდება ხელშეკრულების დადება ეკონომიური თანამშრომლობის გაჩაღებისა და განმტკიცების შესახებ. სწორეთ ასე აფასებს ამ ხელშეკრულებას ევროპის სახელმწიფოები, კერძოთ, დიდი ბრიტანეთის პრესა, რომელმაც მთელი განგაში და ცილისწამების კამპანია ასტეხა სპარსეთ-საბჭოთა დაახლოების და, კერძოთ, ამ ხელშეკრულების დადების გამო. არ გამართლდა მათი წინასწარმეტყველება, რომ თითქოს ინტერესთა შეურიგებლობის გამო, საბჭოთა კავშირი ვერ შესძლებდა სპარსეთთან შეთანხმების დადებას. ხელშეკრულება უკვე ფაქტია და ამიერიდან, რაკი არსებობს მეზობლური საქმიანი ურთიერთობა ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირს შორის, იმპერიალისტური ქვეყნების მუქარა,—არც ისეთი საშიშია.

შემდეგ ამხ. ბეკზადიანი გადადის სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის მიმოხილვაზე ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში და ამბობს, რომ ყოველწლიურად ამ ვაჭრობის ბალანსი ამ ორ სახელმწიფოს შორის სწრაფად იზრდება.

თუ 1920—21 წელს სპარსეთის ექსპორტი 8 მილიონ კრანს არ აღემატებოდა,—1925—26 წელს იგი 515 მილიონ კრანს უდრის (აქედან საბჭოთა კავშირზე მოდის 40 პროც.). იზრდება სასოფლო მეურნეობის ყველა დარგის პროდუქტების ექსპორტი: 1921—22 წელს ბამბა გატანილია 3 მილიონი კრანის, 1925—26 წ.—62 მილიონი კრანისა; ბრინჯი 1921—22 წ.—43 მილ. კრან.; ხმელი ხილი 1921—22 წ. 26,8 მილ. კრ.; 1925—26 წ.—79 მილ. კრან.

ახალი სავაჭრო ხელშეკრულება კიდევ უფრო დიდ შესაძლებლობას იძლევა სპარსეთის ვაჭრობის და სასოფლო-მეურნეობის განსავითარებლად.

ამხ. ზავრიევის მოხსენება

შემდეგ მოხსენებას სპარსეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ აკეთებს აღმოსავ. სავაჭრო პალატის სწავლული მდივანი ამხ. ზავრიევი, რომლის აზრით, სულ მოკლე ხანში ხელშეკრულებას მოჰყვება სპარსეთული საქონლის ექსპორტის გაძლიერება. ამავე დროს გაიზრდება საბჭოთა საქონლის ექსპორტი, რომლის გამტარებელიც არიან სპარსეთის ვაჭრები, რომლებისათვის ჩვენებური საქონლის გასაღება ფასების დაკლების გამო მეტად ხელსაყრელ საქმედ ხდება. ამის ნიშნება უკვე სჩანს. მაგ. 1926—27 წელს შაქრის ექსპორტი 6 ათასი ტონით ე. ი. 35 პროც. გაიზარდა, ნავთის პროდუქტების ექსპორტი—8 ათასი ტონით, ე. ი. 40 პროც.; მანუფაქტურის 900 ტონით ანუ 70 პროც. ხოლო ხელშეკრულების დადების შემდეგ, წლევანდელი კარგი მოსავალის გამო, 1927—28 წლისათვის მოსალოდნელია, რომ სავაჭრო ბრუნვა სპარსეთთან მიაღწევს 110 მილიონ მანეთს. დასასრულ ამხ. ზავრიევი ჩერდება იმ როლზე, რომელიც ითამაშა ა.-კ. სავაჭრო პალატამ სპარსეთ-საბჭოთა ვაჭრობის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში.

სპარსეთის და ოსმალეთის გენერალურ კონსულების მისალმება

მოხსენების დამთავრების შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა სპარსეთის გენერალური კონსული თბილისში ბ. მირ-ალი-ხან ზახირი, რომელმაც განსაკუთრებული სიხარულით აღნიშნა რა ამ პოლიტიკურ აქტის დიდ მნიშვნელობა, განაცხადა შემდეგი: სპარსეთს დიდი ხანია აქვს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების სურვილი, მაგრამ ეს არ მოხერხდა მანამდე, ვიდრე რუსეთში საბჭოთა ხელისუფლება არ დაწესდა. სახელმწიფოებს შორის სპარსეთი პირველი იყო რომელმაც გაუწოდა საბჭოთა კავშირს მეგობრულად თავისი ხელი. მე ბედნიერად ვრაცხ ჩემ თავს, რომ მე ვარ იმ პარტიის და ხელისუფლების წარმომადგენელი, რომლის მიზანს მუდამ წარმოადგენდა კეთილი ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირთან. დასასრულ კონსული წინადადებას იძლევა ხელშეკრულების დადების გამო მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნოს საბჭ. კავშირის საგარეო საქმეთა კომისარს ჩიჩერინს, კარახანს და სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ალი-გული-ხან ინსარის.

შემდეგ მისასალმებელ სიტყვას ამბობს ოსმალეთის გენერალური კონსული, რომელიც გამოსთქვამს სიხარულს ამ მნიშვნელოვან ხელშეკრულების დადების გამო, რომელიც ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულებასთან ერთად ამაგრებს და ამტკიცებს ახლო აღმოსავლეთისა და საბჭოთა კავშირის კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას.

დასასრულ კრება იღებს მისალოცი დეპეშების ტექსტს და ამხ. ჰუსეინოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ საზეიმო სხდომა დამთავრებულად ცხადდება.

მისალმების დეპეშა

ს. ს. რ. კ. საგ. საქმეთა სახკომისარს ჩიჩერინს, მის მოადგილეს კარახანს და სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ანსარის

აღმოსავლეთის ვაჭრობის ამ.-კავკასიის პალატის საზეიმო სხდომამ სპარსეთის ვაჭრობის წარმომადგენლებსა და გენერალურ კონსულების მონაწილეობით, მოისმინა რა, ცნობა პირველ ოქტომბერს მოსკოვში საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის თავდაუსხმელობის პაქტის და აგრეთვე მთელ რიგ შეთანხმებათა დადების შესახებ, რომელნიც აწესრიგებენ საბჭოთა კავშირსა, სპარსეთსა და ოსმალეთს შორის სავაჭრო ურთიერთობას, საზეიმო სხდომა ულოცავს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარს ჩიჩერინს, მის მოადგილეს კარახანს და სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ანსარის საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის მტკიცე პოლიტიკურ-ეკონომიური მეგობრობის დამყარებას, რომელიც წარმოადგენს ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის განმტკიცების, ორივე სახელმწიფოთა ხალხების ეკონომიური კეთილდღეობის და მათი კულტურული დონის ამაღლების საწინდარს.

კრება გამოსთქვამს მადლობას თქვენსა და აგრეთვე საბჭოთა და სპარსეთის დელეგაციების მიმართ გულწრფელობისა და კეთილი სურვილების გამოჩენისათვის, რომელმაც შესაძლებელი გახადა იმ დაბრკოლებათა დაძლევა, რომელნიც გამომდინარეობენ ორივე სახელმწიფოთა პოლიტიკურ და ეკონომიურ სისტემების სხვადასხვაობიდან; კრების მონაწილეები აცხადებენ, რომ ისინი მიიღებენ ყოველგვარ ღონისძიებებს დადებულ ხელშეკრულებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის და სპარსეთ-საბჭოთა კავშირს შორის არსებულ მდგომარეობის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის.

საზეიმო სხდომის თავმჯდომ. ჰუსეინოვი.

ყაზბეგის ჰიდრო-ელსადგური

შემომაქვს 5 მანეთი ყაზბეგის ჰიდრო-ელსადგურის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ პირებს:

შ. ქართველიშვილს, (შრომის კომისარიატიდან) ლ. შურღაიას, (დამცველთა კოლეგიიდან) კ. ბაქრაძეს, ვლ. ზამბახიძეს, ვლ. ცომაიას, კ. ხოშტარიას, ე. შურღაიას, მ. კანკავას, დ. ახათიანს, ალ. ჭეიშვილს; ფოთიდან: ნინა ქადეიშვილს, სტეფანე ცხადაიას, ნ. მეიშვილს, ფ. ნადარეიშვილს, ე. ნოდიას, გრ. მეუნარგიას, ი. ბოლქვაძეს; დუშეთიდან: მიშა კაჭარავას, ს. კიკნაძეს, ი. სამაგლიშვილს; ყაზბეგიდან: ი. ჰაიკაშვილს.

დ. ცხადაია.

—:—

შემომაქვს ყაზბეგის ჰიდრო ელსადგურის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად 5 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: დუშეთის მაზრიდან—მამასახლისოვს, ა. დიაროვს, ბიგაევს, ბადაშვილს, ძახოვს, დ. ფლენტს, ნათაძეს, შარმადინს, ვარსიმაშვილს, ცენტრალური პარტსკოლიდან: გ. ხაჟაპურიძეს, მთვარელიძეს და შ. გეგენავას.

სოკრატ მგალობლიშვილი.

შემომაქვს 5 მანეთი ყაზბეგის ელსადგურის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ვალიშვილი გ., ლუდუშაური ნ. იაგორისძე, სუჯაშვილი ს., ქუშაშვილი პ., გომიაშვილი გ., ჩოფიკაშვილი შ., ბედოევი ფ., გიგაური ე., ლუდუშაური ნ. და დავითაშვილი ს.,

დ. გიგაური.

ყაზბეგის ჰიდრო-[illegible] სიგებად შემომაქვს 20 მანეთი და ვიწვევ შემდეგ [illegible] 1) [illegible] 2) ვლადიმერ [illegible] 3) [illegible] ინჟინერ მიხეილ ზანდუკელს, 4) ინჟინერ ბიჭიაშვილს, 5) ინჟინერ მამრაძეს, 6) კოტია ბახტაძეს, 7) ინჟინერ ნიკო კორინთელს, 8) კოლია წულუკიძეს, 9) რომან ჭუპრავას, 10) ვასო ქურდაძეს, 11) არჩილ [illegible] ზახ ივანეს ძე ცურინოვს, 12) გიორგი [illegible] გაბრიელის ძე ფიცხალაურს, 13) ინჟინერ ბორის ალექსის ძე ლუნიაკინს, 14) [illegible] ეფსიუკს, 15) ინჟინერ მელიქ-ფაშაევს, 16) ინჟინერ ზუნტურიძეს, 17) ინჟინერ ბუზოლინს, 18) ინჟინერ კონსტანტინე ანტონოვს, 19) კოწია ჯაფარიძეს (ქიათურის შავი ქვის მრეწველობა), 20) აკაკი ქავთარაძეს (ჩაის სამმართველო).

ალექსი ყამარაული. *)

ყაზბეგის ჰიდრო ელსადგურის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს ათი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

კოტე ბუაჩიძეს, ს. ზესელიძეს, ს. თავდიშვილს, მ. ჩოფიკაშვილს და გუმბაშვილს, კოწია კანდელაკს, ი. ბოლნაშვილს, ს. ჯულელს, რ. დუმბაძეს, ვ. ცაგანელს, მ. ოკუჯავას, ვ. ბახტაძეს, ნ. კიკნაძეს, კ. ლაჭყებიანს, ე. ბეგთაბეგოვს, რ. ჯლამაძეს, ვ. მანჯგალაძეს, ს. ჩრეულიშვილს, ვ. ტალახაძეს, ლ. ქართველიშვილს, ლ. ლოლობერიძეს, მ. ჩხეიძეს და სიმონ ხმალაძეს.

ი. გიგაური.

---

*) ორ უკანასკნელ გამოწვევას ხელმეორეთ ვათავსებთ, რადგან კვირის ნომერში შეცდომებით დაიბეჭდა.

სუმბათაშვილი-იუჟინის ცხედრის ჩამოსვენება

განათლების სახალხო კომისარმა ამხ. დავით კანდელაკმა გუშინ ბათომიდან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: „სამშაბათს, 18 ოქტომბერს, დილის 6 საათზე ბათომის ნავთსადგურში გემით მოასვენებენ სუმბათაშვილ-იუჟინის ცხედარს. ამავე დღეს, საღამოს, ცხედარს წამოასვენებენ თბილისში".

ნეშტის შესახვედრათ თბილისიდან გამგზავრენ კულტურულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების და მთავრობის წარმომადგენლები. ბათომის აღმასკომი და ადგილობრივი ორგანიზაციები ემზადებიან ცხედრის შესახვედრათ.

ათესლე ხორბლის წამლობა

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი შეუდგა სათესლე ხორბლის წამლობას საქართველოს სხვადასხვა მაზრებში.

ჯერ-ჯერობით სათესლე ხორბლეულის წამლობა დაიწყო გორის მაზრაში, სადაც გაგზავნილია 2 ინსტრუქტორი წამლეულობით. ხორბლის წამლობა ხდება ფორმალინით, რომელსაც ასხურებენ ხორბალს. გაწმენდილი ხორბალი იძლევა კარგ მოსავალს; ამავე დროს ნათესებს იშვიათად უჩნდებათ რაიმე სენი.

გორის შემდეგ ხორბლის გაწმენდა დაიწყება სიღნაღის, თელავის, რაჭის და სხვა მაზრებში.

ამას გარდა განზრახულია სათეს ადგილების გამოკვლევა.

სახკომსაბჭოში

აბრეშუმის სახვევი ფაბრიკების მოწყობა

სახკომსაბჭოს განმწესრიგებელმა სხდომამ მოიწონა ქ. ოზურგეთისა და ხონში აბრეშუმის სახვევი ქარხნების აგებისა და მოწყობის წინასწარი ხარჯთ-აღრიცხვა—პირველი 566.190 მან. 72 კაპ., ხოლო მეორე 311.858 მან. 37 კაპ. რაოდენობით. ხარჯთ-აღრიცხვა წარედგინა დასამტკიცებლად ეკონომიურ საბჭოს.

სხდომამ საჭიროთ სცნო წინადადება მიეცეს „საქართველოს აბრეშუმს" და საამშენებლო სატეხნიკო კომიტეტს დააჩქარონ საბოლოო ტეხნიკური და ფინანსიური ხარჯთ-აღრიცხვები ეკონომიური საბჭოში წარსადგენათ.

ქუთაისის აბრეშუმის სახვევი ქარხნის აგების ხარჯთ-აღრიცხვა ცალკე იქნება განხილული.

ლითონის ცენტრალური ქარხანა

სახკომსაბჭოს განმწესრიგებელი სხდომის დადგენილებით მოეწყო კომისია ამხ. გოგიას (თავმჯდომარე), ალშიბაიას და ს. მ. უ. საბჭოს, სამრეწველო უწყების და თბილისის აღმასკომის წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელსაც დაევალა დაამუშაოს საკითხი მთლიანი ცენტრალური ლითონის დამმუშავებელი ქარხნის აშენების ადგილის შესახებ.

სააქციო საზ-ბა „ჩვარ-ნაჭერი"-ს დაარსება

სახკომსაბჭოს განმწესრიგებელმა სხდომამ მიზანშეწონილად სცნო სააქციო საზ-ბა „ჩვარ-ნაჭერი"-ს დაარსება.

პროექტი საზ-ბის წესდებისა გადიეცა განსახილველად სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის საიურისკონსულტო ნაწილს.

წითელ-არმიიდან დათხოვნილ მეთაურთათვის თანამდებობების მიცემის შესახებ

განმწესრიგებელმა სხდომამ მოიწონა პროექტი დადგენილებისა წითელ-არმიიდან სათადარიგო, ხანგრძლივ შვებულებაში და სამსახურიდან სრულიად დათხოვნილ სამხედრო მეთაურთათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო დაწესებულებაში და საწარმოში თანამდებობების მიცემის წესის შესახებ.

ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავისათვის

წითელი არმიის სახლში

ოქტომბრის 10 წლის ზეიმის ჩასატარებლად წითელი არმიის სახლთან შექმნილია სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან სახლის უფროსი და გამგეობის ორი წევრი. მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება დავალებული აქვს სახლის გამგეობას, რომელიც საჭიროების მიხედვით იყენებს სახლის აქტიურ წევრებს და არსებულ წრეებს.

ცოცხალი გაზეთი, მუსიკალურ - ვოკალური სახელოსნო, მომღერალთა, სასროლო, სასპორტო და საჭადრაკო წრეები და წითელი ჯვრის რაზმი ამზადებენ სათანადო ნომრებს საღამო-წარმოდგენებისათვის.

ბიბლიოთეკა არჩევს სათანადო ლიტერატურას და აწყობს წიგნების გამოფენას.

ზეიმის ჩატარების პროგრამა შემდეგია:

ოქტომბრის 25-ან 29-მდე ეწყობა მოხსენებები შემდეგ თემებზე „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა ოქტომბრის 10 წლის თავზე", „წითელიარმია ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე" და „საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა".

1-ლ ნოემბერს მოეწყობა გამოფენა, 5 ნოემბერს შესდგება გარნიზონის მეთაურთა (კადრის და თადარიგის) საზეიმო სხდომა კონცერტით.

7 ნოემბერს მოეწყობა საღამო, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას ცოცხალი გაზეთი და მუსიკალურ - ვოკალური სახელოსნო.

კინო - დარბაზში 1-ლ 7 ნოემბრამდე ნაჩვენები იქნება შემდეგი სურათები: „10 დღე", „10 წელი", „ლენინგრადი". ამავე დღეებში მოეწყობა ექსკურსიები ამიერ - კავკასიის ოქტომბრის გამოფენაზე და რევოლუციის მუზეუმში.

არმიის პოლიტსამმართველოს მიერ დღესასწაულის ჩასატარებლად არმიის სახლში გაღებულია სათანადო თანხები.

გამოფენის მოწყობა

თბილისის აღმასკომმა გადასწყვიტა ოქტომბრის დღესასწაულებისათვის მოაწყოს გამოფენა, რომელზედაც დახასიათებული იქნება თბილისის მდგომარეობა ომამდე, მენშევიკების ბატონობის დროს და გასაბჭოების შემდეგ. გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ აღმასკომის ყველა განყოფილებები. მასალები წარმოდგენილი იქნება ცხრილების, დიაგრამების და სურათების საშუალებით.

სამზადისი ჯანსახკომში

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებამ წინადადება მისცა ყველა ქვე-განყოფილებებს დაჩქარებით წარმოადგინონ მასალები იმ მიღწევების შესახებ, რომლებსაც ადგილი აქვთ მათ მუშაობაში დღიდან საბჭოთა წესწყობილების დამყარებისა და აგრეთვე წარმოადგინონ სია იმ დაწესებულებათა, რომელთა გახსნა, რეორგანიზაცია ან სახელის გადარქმევა აქვთ მათ განზრახული ოქტომბრის საზეიმო დღისთვის. მასალები აუცილებლად უნდა იქნას დამუშავებული დიაგრამების, გეგმების და საექსპონანტო ნიმუშების სახით.

სიღნაღის მაზრა

სიღნაღი, 15 ოქტომბერი. ოქტომბრის 10 წლის თავის დღესასწაულზე სიღნაღში გაიხსნება ახალი ელექტრო-სადგური, მუშათა კლუბი და საბავშვო ბაღი. ამ დღისათვის, სოფელ აფენში ჩუმლაყში და წითელ წყაროში გაიხსნება გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები. ოთხწლედები გაიხსნება სოფ. ბაშკენტში, არხილოს-კალოში, უზუნდარაში და წლიუკანში, ლირი-მღლანის თემში გაიხსნება ქოხ-სამკითხველო, სოფ. გურჯაანში პროფსკოლა. ველისციხეში გაიხსნება სამომხმარებლო კოოპერატივის ახალი შენობა. კახეთის სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმს დაერქმევა ოქტომბრის რევოლუციის სას.-სამ. ტეხნიკუმი.

ოქტომბრის დღესასწაულთან ერთად ჩატარდება აგრეთვე მოსავლის დღესასწაული. ამის გამო მაზრის ზოგიერთ პუნქტებში მოეწყობა სასოფლო-სამეურნეო გამოფენები. (ადს).

პურის ცხობის მექანიზაცია

თორნეებში არსებული წესით პურის ცხობა, რომელიც მოითხოვს მხურვალე თორნეში გადაკიდებულ მუშაობას, ხშირათ იწვევს თვალების და თავის ავადმყოფობას. ამას გარდა პურის ცხობაც ვერ სწარმოებს სათანადო სისწრაფით.

თორნეებში მუშაობის მძიმე პირობებმა ბუნებრივათ დაბადეს პურის ცხობის გაადვილების სურვილი. მოქ. კლდიაშვილმა უკვე გამოიგონა თორნეებში პურის ცხობის ახალი საშუალება, რომელიც სავსებით ცვლის დღემდე არსებულ პურის ცხობის წესს. კლდიაშვილის გამოგონებულ საშუალებით აღარ არის საჭირო მხურვალე თორნეში გადაკიდებული მუშაობა. პურის ჩაკვრა და ამოღება სწარმოებს მექანიკურად, რომლის მოწყობილობა მეტად მარტივია და ადვილად სახმარი. თბილისის აღმასკომმა მიიღო რა მხედველობაში კლდიაშვილის გამოგონების მნიშვნელობა, დაადგინა მოქ. კლდიაშვილს დაუთმოს ერთი დარაბა უფასოდ თავის მიერ გამოგონებულ ახალი სისტემის თორნის მოსაწყობათ. ამავე მიზნით აღმასკომმა მას გადასცა 500 მანეთი. ამას გარდა აღმასკომმა დაადგინა სთხოვოს მუშკოოპს, როგორც დაინტერესებულ ორგანიზაციას, გაუწიოს სათანადო დახმარება მოქ. კლდიაშვილს ახალი სისტემის თორნის მოწყობის საქმეში. კლდიაშვილის მიერ მოწყობილი თორნის ექნება საცდელი ხასიათი. თუ ცდებმა დადებითი შედეგები გამოიღო, შემდეგ შეუდგებიან თბილისში და დანარჩენ ქალაქებში თორნეებში ახალი წესით პურის ცხობას.

კლდიაშვილის გამოგონება მოწონებულია საგეგმო კომისიის მიერაც.

რძის ნაწარმოების ქარხანა

თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისია შეუდგა ერბო-ყველის დამამზადებელ ქარხნის გეგმის განხილვას. ერბო-ყველის ქარხანა აშენდება წალკის რაიონში (თბ. მაზრა) სოფ. კუშში და გადაამუშავებს წალკის რაიონში გლეხებისაგან შეძენილ რძეს. ქარხანას რძეს მიაწვდიან შემდეგი სოფლები: კუში, ტინკლისი, ჯინისი, აავრანლო, აიაზმა, ნარდივი, ოლიანგი და იოზნი.

ყველა ეს სოფლები ქარხანას მიაწვდიან 56.770 ფ. რძეს, რომლიდან დამზადდება 941 ფუთი კარაქი, 2200 ფ. შვეიცარული ყველი და 1280 ფ. თუშური ყველი.

ქარხანაში გამოყვანილი იქნება წყალსადენი, (ამ წყალსადენით ისარგებლებს სოფელი) კუშის წყაროდან. ქარხნის შენობის აგება ჯდება 108.300 მან., წყალსადენის გაყვანა—51.840 მ., კანალიზაცია—8000 მ., მუშებისათვის საცხოვრებელი ბინების აგება—22,473 მანეთი.

ქარხნისათვის საჭირო მოწყობილობა უმთავრესად შეძენილი იქნება საზღვრებში. ეს მოწყობილობა დაჯდება—39.000 მან., სულ ქარხნის მოწყობას მოუნდება 292.700 მან. ქარხნის აგებას შეუდგებიან მომავალ წლიდან.

ბზიბის ხე-ტყის ქარხანა

(სამუშაოთა მიმდინარეობა)

ბზიბის დიდი სახერხი ქარხნის ასაგები სამუშაოები ასეთ მდგომარეობაშია: 1-ლი სექტემბრისათვის დასრულებული იყო გამოკვლევითი სამუშაოები ქარხნის ადგილის გეგმის გადასაღებათ, იქვე ვიწროლიანდაგიანი რკ. გზის გაყვანით და პილუნდის ველის დასაშრობათ.

ამას გარდა, დაჩქარებით სწარმოებს ყოფ. შილოვის სახერხი ქარხნიდან სხვადასხვა მოწყობილობათა და მანქანების გადაზიდვა. ქარხნის ასაგებ ადგილას უკვე მიზიდულია საჭირო საამშენებლო მასალათა ნახევარი (ცემენტი, რკინის მასალები, ხე-ტყე).

ქარხნის ასაგებ სამუშაოზე ყოველდღიურად მუშაობს 30—40 კაცი. ჯერ-ჯერობით ქარხნის ასაგებათ გაცემულია 49.080 მანეთი. აქედან სექტემბრისათვის დახარჯული იყო 44.000 მანეთი.

ქარხნის ასაგებ სამუშაოები შეწყდება იანვარში, რადგან შემდეგ გაძნელებული იქნება მუშაობა ზამთრის სეზონის გამო.

10 წლის წინედ

როგორ მზადდებოდა დიდი ოქტომბერი

17 ოქტომბერი

საბჭოების ყრილობის წინააღმდეგ

გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტი (შემდგარი ობორონცებისაგან) მიზანშეუწონლად თვლის საბჭოთა ყრილობის მოწვევას და მოუწოდებს გლეხთა საბჭოებს არ მიიღონ მონაწილეობა ყრილობაზე (ამ დროისათვის პეტროგრადში უკვე დაარსებული იყო პეტროგრადის გუბერნიის გლეხთა საბჭო, რომელიც უცხადებდა რა უნდობლობას გლეხთა საბჭ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტს, მოითხოვდა გლეხთა საბჭოების ყრილობის მოწვევას ახალი ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის ასარჩევად).

ბოლშევიკების გამარჯვება მოსკოვის ოლქის საბჭ. ყრილობაზე

მოსკოვის ოლქის მუშათა და გლეხთა საბჭოების ყრილობაზე 116 ხმით 97 წინააღმდეგ (13 თავი შეიკავა) მიღებულ იქნა პირველი ნაწილი ბოლშევიკური ფრაქციის რეზოლიუციისა დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ.

კოოპერატორების ყრილობა

გაიხსნა საგანგებო კოოპერატიული ყრილობა დამფუძნებელი კრების არჩევნებში კოოპერაციის დამოუკიდებლად გამოსვლის საკითხის განსახილველად. ყრილობაზე თავი იჩინა სამმა მიმდინარეობამ: 1) ცენტრი (ვ. ანისიმოვი, ა. ჩაიანოვი)—დამოუკიდებელი გამოსვლის მომხრეა, მოითხოვს „მტკიცე ხელისუფლებას", „ქვეყნის აქტიურ თავდაცვას", 2) მემარჯვენე ფრთა (ზელგეიმ, ტოტომიანცი)—წინააღმდეგია იმის, რომ „სამეურნეო ამოცანები გადაჯაჭვულ იქნეს პოლიტიკურ განწყობილებების არევ-დარევასთან", 3) მემარცხენე ფრთა (მუშათა კოოპერაცია, ხინჩუკი)—პოლიტიკურ ბრძოლის თვლის პოლიტიკური პარტიების საქმეთ.

დროებითი მთავრობაში

მთავარ ბანაკიდან დაბრუნებულმა კერენსკიმ მთავრობის სხდომაზე გააკეთა მოხსენება იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ბანაკში სწარმოებდა შტაბის წევრების გენ. ალექსეევის „მოკავშირეთა" სამხედრო აგენტების და დროებითი მთავრობის ზოგიერთი წევრების მონაწილეობით. ბანაკში გადაწყდა მთავარი ყურადღება მიექცეს არმიის ბრძოლის უნარიანობის გაძლიერებას და მზადებას მოკავშირეთა პარიზის კონფერენციისათვის, რომელზედაც „გარდა სამხედრო სტრატეგიული საკითხებისა, განხილული იქნება საზავო პირობები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი გახდება ომის შეწყვეტა ყველა „მოკავშირეების" მიერ.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ნიკიტინმა გააკეთა მოხსენება აგრარულ, სასურსათო და სხვ. ნიადაგზე წარმოშობილ მღელვარებათა გაზრდის შესახებ. დროებ. მთავრობის ყველა წევრების მდგომარეობა მეტად სერიოზულად აღიარა და მოითხოვეს „უსასტიკესი ზომების მიღება".

შორს რევოლუციის ცენტრისაგან

დრ. მთავრობის დახურულ სხდომაზე აირჩა საკითხი მთავრობის ევაკუაციის შესახებ პეტროგრადიდან,—„სადაც ატმოსფერა მეტად გამწვავებულია",—მოსკოვში დამფუძნებელი კრების იქვე მოწვევის შესახებ. კერენსკი და მისი თანამოაზრეების განცხადებით, ევაკუაციას ოფიციალურ მოტივად უნდა გამოცხადებოდა ომი—გერმანელების შეტევის საფრთხე. ამ წინადადების წინააღმდეგ გაილაშქრა შინაგან საქმეთა მინისტრმა ნიკიტინმა, რომელმაც განაცხადა: რომ რევოლუციონური ორგანიზაციები ამ აქტს ახსნიან, როგორც ცდას დროებითი მთავრობისას გაექცეს მათ ზეგავლენას.

დრ. მთავრობის უმრავლესობამ დაადგინა დაუყოვნებლივ დაიწყოს სამზადისი ევაკუაციისათვის.

მაგრამ უცებ რევოლუციის მოძულე მინისტრებს აღეძრათ შიში, რომ ვაი თუ იმავე „სტრატეგიული" მოსაზრებებით პეტროგრადის საბჭოც მოსკოვში გადმოვიდეს და თავიდან ვეღარ მოვიშოროთო. ამ არასასიამოვნო პერსპექტივის თავიდან ასაცილებლად დაადგინეს, რომ ამ შემთხვევაში „მთავრობა არ იკისრებს ამ ორგანოებისათვის შენობების შოვნის საქმეს".

„ჩვენ გამოწვევას ვიღებთ"

ფინეთის არმიის, ფლოტისა და მუშათა საოლქო კომიტეტმა პასუხათ სამხედრო მინისტრის ვერხოვსკის დეპეშაზე, რომელიც შეიცავდა მუქარას საოლქო კომიტეტის კომისრების დაპატიმრების შესახებ, თუ კომიტეტი არ აიღებს ხელს დროებითი მთავრობის აგენტების საქმეებში ჩარევაზე (იგულისხმება საოლქო კომიტეტის კომისარის მიერ ბელოსტროვში უცხოეთში გასაგზავნათ დანიშნულ სურსათ-სანოვაგის დაკავება),—გამოაქვეყნა მოწოდება, რომ „ფინეთის საოლქო კომიტეტი კონტრ-რევოლუციონური მთავრობის ამ გამოწვევას იღებს და განზრახვაც არა აქვს დაემორჩილოს სამხედრო მინისტრის ბრძანებას".

„ომის გაგრძელება შეუძლებელია"

პეტროგრადის საბჭოს მუშათა სექციის სხდომაზე რუმინეთის ფრონტის დელეგატმა განაცხადა: „...ზავის ჩამოგდების გადადება აღარ შეიძლება, თუ ომი ჩქარა არ შესწყვიტეს, ჯარისკაცები მიატოვებენ ფრონტს. ორი სამი კვირის შემდეგ თვით ჯარისკაცებ დადებენ ზავს და დაჰყრიან იარაღს".

რიგის ყურეში

გერმანელებმა დაიკავეს კუნძული ეზელი, რუსეთის ფლოტმა დასტოვა რიგის ყურე.

გლეხთა აჯანყებები

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო დეპეშები გლეხთა აჯანყებების შესახებ კურსკის, პენზისა და რიაზანის გუბერნიებში.

18 ოქტომბერი

„სოფლის სიმართლე"

მოსკოვში დაიწყო გამოსვლა ბოლშევიკურმა „სოფლის სიმართლემ".

მოსკოვის ოლქის საბჭოთა ყრილობაზე

მიღებულია ბოლშევიკური ფრაქციის რეზოლიუციის მეორე ნაწილი.

„ვინ ფუშავს დამფუძნებელ კრებას"

„რაბოჩი პუტში" გამოქვეყნდა ამხ. სტალინის წერილი: „ვინ ფუშავს დამფუძნებელ კრებას?" ამხ. სტალინი თავის წერილში ამჟღავნებს „კონტრ-რევოლუციის გმირების" ცდას—გადასდვან დამფ. კრების მოწვევა იმ დრომდე, სანამ მათთვის „ხელსაყრელი" პირობები არ შეიქმნება.

„შორს რევოლუციის ცენტრიდან"

დროებითი მთავრობის წევრების კერძო თათბირზე ნ. კიშკინმა გააკეთა დაწვრილებითი მოხსენება მთავრობისა და სახელმწიფო დაწესებულებების ევაკუაციის შესახებ პეტროგრადიდან. გადაწყდა ევაკუაცია ჩატარდეს ორ კვირაში.

კონტრ-რევოლუციონერების დაპატიმრება

ომსკში კაზაკთა დეპუტატების საბჭოს დადგენილებით დააპატიმრეს ციმბირის კაზაკთა ლაშქარის დიდი და მცირე საბჭო, რომლებიც კონტრ-რევოლუციონურ ორგანოებად იქნა გამოცხადებული.

ყუბანის რესპუბლიკა

ყუბანის კაზაკთა ლაშქრის საბჭომ დაადგინა ყუბანი გამოჰყოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად, რომელიც გამოცხადდა „რუსეთის ხალხების თანასწორ-უფლებიან წევრად".

„ანდერძი—სიკვდილის წინ"

ბალტიის ფლოტის წარმომადგენელთა მეორე ყრილობამ რადიოთი მიმართა „ყველა ქვეყნების ჩაგრულებს", მოწოდებით—„ანდერძით სიკვდილის წინ". მოწოდებაში სხვათა შორის ნათქვამია: „...ჩვენი ფლოტი იღუპება უთანასწორო ბრძოლაში. არც ერთი ჩვენი გემი არ მოერიდება ბრძოლას. ფლოტი, რომელიც გაკიცხეს, რომლის შესახებაც ათას ჭორებს ავრცელებენ, შეასრულებს თავის ვალდებულებას დიდი რევოლუციის წინაშე. ჩვენ ვიცავთ რით მტკიცედ გვეჭირის ფრონტი და დავიცავთ პეტროგრადისკენ მისავალი გზები. ჩვენ ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას. ჩვენ ვასრულებთ ამ ვალდებულებას არა რომელიმე უბადრუკ რუს ბონაპარტის ბრძანებით, რომელიც ბატონობს მხოლოდ რევოლუციის უდიდესი მოთმინების წყალობით. ჩვენ ვასრულებთ მხოლოდ ჩვენი რევოლუციონური შეგნების კარნახს".

მოწოდება ასე თავდება: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით! აღფრიალეთ აჯანყების დროშა! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას! გაუმარჯოს სამართლიან ზავს! გაუმარჯოს სოციალიზმს!".

სამი დღის ლაყბობა.—ხუთი რეზოლიუცია

დასრულდა საბჭოების ცაკის დახურული სხდომები, რომლებიც სამ დღეს გრძელდებოდა. ქვეყნის მდგომარეობისა და „მოკავშირეთა" პარიზის კონფერენციის შესახებ წარმოდგენილი იქნა ხუთი რეზოლიუცია. ვერც ერთმა ვერ შეკრიბა უმრავლესობა, (ბოლშევიკების რეზოლიუციამ მიიღო—19 ხმა, მარტოვის—10, დანის—27, ესერების—31, ბოგდანოვის—9). გადაწყდა საერთო რეზოლიუციის საფუძვლად დაიდვას დანისა და ესერების რეზოლიუცია.

გადაწყდა მოეთხოვოს მთავრობას, რომ პარიზის კონფერენციაზე გაიგზავნოს დემოკრატიის ორი წარმომადგენელი: ერთი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებიდან (სკობელევი) და ერთი გლეხთა საბჭოებიდან (ჩერნოვი).

ბოლშევიკებს „დემოკრატიის" დელეგატების" არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

გლეხთა მღელვარებების შესახებ

„რაბოჩი პუტ", წერილში „მიწა", მთელ პასუხისმგებლობას გლეხთა აჯანყებებისათვის აკისრებს ე. წ. „ნაროდნიკულ" პარტიებს (სახალხო სოციალისტებსა და ესერებს), რომლებმაც მიწების დაუყოვნებლივ გლეხობისათვის გადაცემის უარყოფით ხელი შეუწყვეს იმას, რომ გლეხთა მოძრაობამ მიიღო სტიქიური ხასიათი. გაზეთი ამავე დროს ნიღაბს ხდის ბურჟუაზიისა და მემამულეების პრესას, რომელიც განზრახ აზვიადებს ამბებს, რომ მიაღწიოს დამსჯელი ექსპედიციების გაგზავნას რევოლუციონური გლეხობის წინააღმდეგ.

აგრარული მღელვარებანი

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიღებულია ცნობები გლეხთა ახალი აჯანყებების შესახებ რიაზანის გუბერნიაში, თერგის ოლქში და სხვა ადგილებში.

გაფიცვების ტალღა

კიევში, ყაზანში და ვორონეჟში გაიფიცნენ მთელ რიგ წარმოებების და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები.

ამიერ-კავკასიაში

(საქართველოს რევოლ. მუზეუმის მასალებიდან)

17 ოქტომბერი

კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ყრილობა

(მესამე დღე)

დილის სხდომაზე გრძელდებოდა მოხსენებები ადგილებიდან. მოხსენებებს აკეთებენ: ამხ. ოხუპიანცი (ტრაპიზონი), რასპოლოვი (შერიფხანე), დალაქიშვილი (ქუთაისი), სკორიუკინი (ყარსი), კოკუცანი (ბოლშევიკური რეზოლიუციის გამოტანისათვის დაშლილ ტყვიისმტ. პოლკის წარმომადგენელი), ყიასოვი (სარაყამიში), განშინი (ბათომი), ივანიცკი (ეკატერინოდარი).

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა ქუთაისიდან დაბრუნებულ ამხ. ყორღანოვის მოხსენება ქუთაისის ამბების შესახებ.

საღამოს სხდომაზე მოხსენებები გააკეთეს: ათაბეკოვმა (თბილისი), მიქოიანმა (ალაგირი), კუზნეცოვმა (თბილისის საბჭოს ფრაქციის წარმომადგენელი).

საოლქო ცენტრის სხდომა

მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების საოლქო აღმასრულებელი კომიტეტისა და თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მოსმენილი იქნა „დემოკრატიული" თათბირის დელეგატების მოხსენებები. რეზოლიუცია, რომელიც იწონებს პოზიციას თავის დელეგატებისას, რომლებიც უარყოფდენ როგორც კოალიციას ცენზიან ელემენტებთან, ისე ძალაუფლების გადაცემას საბჭოებისათვის და მოითხოვდენ ერთფეროვანი დემოკრატიული მთავრობის შექმნას,—მიღებულ იქნა 35 ხმით ერთის წინააღმდეგ, 31 თავი შეიკავა.

ქუთაისის ამბები

ქუთაისის გარნიზონისა და ქუთაისში მოსულ ჯარების უფროსათ დაინიშნა პოლკოვნიკი გრომზინსკი, რომელმაც გამოაქვეყნა ბრძანება: ქუჩებში ყოველგვარ თავმოყრის, მიტინგების და კრებების გამართვის, საღამოს 7 საათის შემდეგ ქუჩებში გამოსვლის და სხვ. შესახებ.

ქუთაისის საგუბერნიო კომისარი გრ. გიორგაძე დაინიშნა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად.

შესდგა ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელზედაც გამოირკვა, რომ ფქვილი ქალაქში საკმაოდ მოიპოვება, მაგრამ მეფურნეები პურს კერძო პირებზე ყიდიან.

საბჭომ აირჩია: 1) საგამომძიებლო კომისია მომხდარი ამბების მიზეზების გამოსარკვევად, 2) სასურსათო და 3) ქალაქის დაცვის კომისია.

იუნკრებმა დააპატიმრეს ბოლშევიკურ პარტიის თანამგრძნობ ჯარისკაცებს (დააპატიმრეს ჯარისკაცი სამუსოვი, რომელიც საბჭოს სხდომაზე რევოლუციონური წესრიგის აღდგენას და სამიკიტნოების დახურვას მოითხოვდა).

ნაციონალური სამხედრო ნაწილები

ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა შესაძლებლად აღიარა ნაციონალური ნაწილების შედგენა.

18 ოქტომბერი

კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ყრილობა

(მეორე დღე)

დილის სხდომაზე მოხსენებას დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ აკეთებს ამხ. ყორგანოვი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ბოლშევიკური პარტიის ზეპირი და ბეჭდვითი აგიტაცია-პროპაგანდა შეზღუდულია. „კავკაზსკი რაბოჩის" გადაგზავნა ფრონტზე აკრძალულია. იყო შემთხვევა, როცა მ., ჯ. და გლეხთა საბჭ. ესერ-მენშევიკურმა საოლქო ცენტრმა დააკავა ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ბოლშევიკური საარჩევნო მოწოდება. შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სამხედრო ნაწილები არ ენდობიან ესერ-მენშევიკურ საოლქო ცენტრს და მოითხოვენ საარმიო ყრილობის მოწვევას ახალი ცენტრის ასარჩევად.

მომხსენებელი საჭიროდ სთვლის: 1) მოითხოვოს საოლქო ცენტრს საარმიო ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევა. 2) მოეთხოვოს საოლქო ცენტრს მიიღოს სასწრაფო და გადამჭრელი ზომები ბოლშევიკური პარტიის და მისი პრესის დევნის წინააღმდეგ და კერძოდ დაუყოვნებლივ გაუქმდეს ფრონტზე „კავკაზსკი რაბოჩის" გავრცელების აკრძალვა. დასასრულ მომხსენებელი აცხადებს, რომ: „თუ დამფუძნებელი კრების შემადგენლობა ანტი-სახალხო აღმოჩნდა, აუცილებელია მეორე რევოლიუცია. საჭიროა ამ საკითხის გაშუქება და მორიდება იმ ილუზიის გავრცელების, რომ მთელი ბრძოლა გადაგვაქვს დამფუძნებელ კრებაში".

—საღამოს სხდომაზე ყრილობის ცენტრ. კომიტეტის სახელით მისალმებით მიმართავს პეტროგრადიდან ჩამოსული ამხ. შაუმიანი, რომელიც თავის სიტყვაში ვრცლად ახასიათებს რუსეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობას და ესერ-მენშევიკების მოღალატურ ტაქტიკას.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა მენშევიკების საოლქო ყრილობის მიერ გამოგზავნილი დელეგაციის წინადადება ორივე ფრაქციის გაერთიანების შესახებ და კერძოთ კი შეთანხმების შესახებ დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის.

ამ წინადადების შესახებ სიტყვით გამოდის ამხ. ქავთარაძე, რომელიც აღნიშნავს, რომ „თუ აქაური მენშევიკები სიტყვით გამემარცხენდენ, საქმით მათ იოტის ოდენათაც არ უღალატნიათ თავის შემთანხმებლურ პოლიტიკისათვის და სავსებით გაჟღენთილი არიან წვრილ ბურჟუაზიული ფსიქოლოგიით. ამიერ-კავკასიელი მენშევიკები არც აპირებენ კავშირის გაწყვეტას ობორონცობასთან". დასასრულ ამხ. ქავთარაძე ამბობს: „მენშევიკებმა იმედები გაუცრუვეს მუშათა მასებს და უკანასკნელნი შორდებიან მათ. თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად მენშევიკები ახლა ჩვენ გვეპოტინებიან. ჩვენ არ შეგვიძლია არა თუ ორგანიზაციულად გავერთიანდეთ მათთან, არამედ კატეგორიულად უნდა უარვყოთ აგრეთვე იდეა მათთან ყოველგვარი ტეხნიკური შეთანხმებისა დამფ. კრების არჩევნებისათვისაც".

ყრილობა ერთხმად აღებს უარყოფს მენშევიკების წინადადებას და საბოლოოდ გასწყვიტოს კავშირი მათთან იმ ადგილებში, სადაც კიდევ არსებობენ გაერთიანებული ორგანიზაციები და შექმნას დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაციები.

კაკი წერეთელი თბილისში

თბილისში ჩამოვიდა კაკი წერეთელი, იმავე დღეს იგი საპროგრამო სიტყვით გამოვიდა ჯარისკაცთა საოლქო ცენტრის სხდომაზე. დარბაზში წერეთლის გამოჩენისთანავე საბჭოს ბოლშევიკმა წევრებმა ნიშნად პროტესტისა დასტოვეს დარბაზი. თავის სიტყვაში წერეთელი იცავდა კოალიციას ბურჟუაზიასთან.

კონოვალოვის მუქარა

ქუთაისის გუბერნიის და სოხუმის ოლქის სახელმწიფო მოსამსახურეთა დეპეშაზე, რომ ისინი აცხადებენ გაფიცვას, რადგან მათი დიდი ხნის შუამდგომლობა (19 ივლისის) მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ჯერაც არ არის დაკმაყოფილებული, პრემიერ-მინისტრის მოადგილე კონოვალოვმა შემდეგი პასუხი გასცა: „...ასეთი გამოსვლები დასჯილი იქნება კანონის მთელი სისასტიკით".

ტყვარჩელის ქვა-ნახშირი

სამხრეთ რუსეთის ლითონის დამმუშავებელ კომბინატმა „იუგოსტალ"-მა, რომელსაც ამ ზაფხულზე ტყვარჩელის ქვანახშირის ბუდობებში სამუშაოდ გაგზავნილი ჰყავდა ორასამდე კვალიფიციური მუშა, უკვე დაამთავრა ქვანახშირის რაიონში მუშაობა. ამ ხნის განმავლობაში გაყვანილ იქნა ათი მაღარო, რომელთა საერთო სიგრძე 250 მეტრს აღემატებოდა. მოპოვებულია სულ 10 ათას ფუთამდე ქვანახშირი, რომელიც ოჩემჩირის ნავთსადგურით გემით გაიგზავნა მარიუპოლში. მარიუპოლიდან ტყვარჩელის ნახშირი გაიგზავნება მაკეევის ლითონის დამმუშავებელ ქარხნების კომბინატში. მიმდინარე თვის მეორე ნახევარში მაკეევის ქარხნების ღუმელებში პროფ. რუბინის ხელმძღვანელობით დაიწყება ტყვარჩელის ქვანახშირის საცდელი დამუშავება იმ მიზნით, რომ გამორკვეულ იქნეს, შეიძლება თუ არა ტყვარჩელის ქვანახშირიდან კოქსის მიღება. ცდები გაგრძელდება ნოემბრის დამლევამდე. დაახლოვებით ამ დროისათვის გამოქვეყნებული იქნება ცდების საბოლოო შედეგები. ამასთან ერთად ტყვარჩელის ქვანახშირის ნიმუშები გაიგზავნა ეკატერინოსლავის სამთო ინსტიტუტში, რომლის ლაბორატორიაში მოხდება გაგზავნილ ნიმუშების ანალიზი.

საქართველოს ნარზანი

ყველა იმ მინერალურ წყაროებს შორის, რომლებიც ამ უკანასკნელ წლებში იქნა ქიმიურად გამოკვლეული, განსაკუთრებული ადგილი კობის (დუშეთის მაზრა) მინერალურ წყაროებს უჭირავს.

კობს ადგილმდებარეობა საუცხოვო აქვს ყოველ მხრიდან მთებით გარშემორტყმული, ის დაცულია ძლიერ ქარისაგან.

საერთოდ ადგილმდებარეობა კობის ისეთნაირია, რომ შესაძლებელია იქ იქნას მოწყობილი პირველხარისხოვანი კურორტი.

კობში ათამდის მინერალური წყარო არის, მაღალი სამკურნალო ღირსების, რომელნიც ძლიერ ენათესავებიან კისლოვოდსკის ცნობილ ნარზანს.

კობის წყაროები თავისი ქიმიური თვისებით ევროპაში განთქმულ ვილდუნგენის წყაროს ენათესავება.

უმთავრესი შემადგენელი ნაწილები როგორც კისლოვოდსკის, ისე კობის წყაროებისა ერთი და იგივე არის,—კისლოვოდსკის ნარზანში მხოლოდ მაგნიუმის ჟანგი და გოგირდის მჟავის რაოდენობა სჭარბობს,—ამას კი არავითარი მნიშვნელობა არა აქვს წყლის მკურნალობითი ეფექტისათვის.

სპეციალისტების აზრით, რომ მოეწყოს კობის წყაროების ექსპლოატაცია, ჩვენს ხაზინას სამი მილიონი მანეთი შემატება ყოველწლიურად.

ექ. გრ. კუნჭულია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ინსტრუქცია № 138

ს. ს. რ. კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

შრომისა და სოციალურ დაზღვევის დარგში შეღავათების შესახებ, რომელიც ეძლევა მუშებს, მოსამსახურეებს და უმუშევრებს სამხედრო სამსახურში გაწვევის და მისი გავლის დროს

1. საერთო დებულებები

1. მუშის ან მოსამსახურის ყოველივე გაწვევის დროს სამხედრო სამსახურში (როგორიც არის მორიგი გაწვევა, სასწავლო, განმეორებითი ან შესამოწმებელი შეკრება, მობილიზაცია და სხვა) დამქირავებელი ვალდებულია გაწვეული გაანთავისუფლოს მუშაობისაგან იმ ანგარიშით, რომ მან შესძლოს გასაწვევ, შესაკრებ პუნქტში თავის სამხედრო ნაწილში იმ ვადაზე გამოცხადება, რომელიც აღნიშნული იქნება ადგილობრივ ტერსამმართველოს, სამაზრო (საოლქო) სამხედრო კომისარიატის ან ნაწილის მეთაურის ბრძანებაში ან უწყებაში.

2. გაწვეულის მუშაობისაგან განთავისუფლების დროს დამქირავებელმა სავსებით უნდა გაუსწოროს მას ანგარიში და გადუხადოს სხვა თანხები, რომელიც მასზე ითვლება, მუშაობის ფაქტიურად შეწყვეტის დღემდე.

3. ამ ინსტრუქციაში აღნიშნულ შეკრების გასავლელად ან გასატარებლად გაწვეულ მუშას ან მოსამსახურეს თანამდებობა და ხელფასი შეენახება არა უგვიანეს დაქირავების ვადის შესრულებისა ან პირობით გათვალისწინებულ მუშაობის გათავებისა.

4. მუშები და მოსამსახურეები, რომელთაც ამ ინსტრუქციის წესით ენახება თანამდებობა, შტატების შემცირების დროს შეიძლება დათხოვნილ იქნენ მხოლოდ თანამდებობის გაუქმების დროს, რომელიც უკავია ამა თუ იმ მუშას, ან მოსამსახურეს.

მაგრამ თუ არის რამოდენიმე ერთნაირი (ერთნაირ სახელწოდებით) თანამდებობა, რომელთაგან ერთი ან რამოდენიმე თანამდებობა უქმდება, აღნიშნული მუშები და მოსამსახურეები შეიძლება დათხოვილ იქნენ ასეთ თანამდებობიდან შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილების თანახმად.

შენიშვნა: მუშები და მოსამსახურეები 40 მუხ. აღნიშნული შეიძლება დათხოვნილი იქნენ, ამ შემთხვევაში, რომელიც გათვალისწინებულია ამ მუხლის შენიშვნაში.

5. თანამდებობის შენახვაზე შეღავათებს ძალა აქვთ მხოლოდ სამხედრო სწავლების ფაქტიურად გავლის ან გატარების დროს (და არა სამხედრო მოსამსახურეთა ან სამხედრო ვალდებულთა ამა თუ იმ კატეგორიაში დარჩენის მთელი დროის განმავლობაში).

6. ამ შემთხვევაში თუ მუშა—ან მოსამსახურე გაწვეული შეკრების გასავლელად ან გასატარებლად, ავად გახდება შეკრების დროს და გასასკურნავად გაიგზავნება სათანადო სამკურნალო დაწესებულებაში, მაშინ განკურნებისათვის დარჩენის დრო ამ თუ იმ შეკრების დროის საერთო გაგრძელების ფარგლებში ეთანხმება თანამდებობის და ხელფასის შენახვის საკითხში შეკრების გავლის ან გატარების დროს.

7. ამ შემთხვევაში, როდესაც მუშა—ან მოსამსახურე გაიწვევა შეკრების გასავლელად ან გასატარებლად თავის მორიგ შვებულების დროს (ძირითადის ან დამატებითის) შვებულების მიმდინარეობა უნდა შეჩერებულ იქნეს, ხოლო შვებულებიდან დაბრუნების ვადა გრძელდება შეკრების ხანგრძლივობის დამიხედვით.

8. მუშები ან მოსამსახურეები, რომელნიც გადიან ან ატარებენ წვევამდე მზადებას ან სხვა ჯარის გარეშე შეკრებას, ღამის სამუშაოზე არ შეიძლება იქნენ დაშვებული.

9. ამ შემთხვევაში, როდესაც იმ ვალდებულების შესრულება, რომელნიც დაკავშირებულია არიან საკვალდებულო სამხედრო სამსახურთან (როგორიც არის გასაწვევ კომისიაში გამოცხადება, სასწავლო შეკრების გავლა და სხ.;) ერთ შეჯდ მუშას ან მოსამსახურეს ნახევარ სამუშაო დღეზე ნაკლებს—ხელფასი შენახება სამუშაო დღის მხოლოდ იმ ნაწილისათვის, რომლის დაკარგვა აუცილებელია აღნიშნულ ვალდებულებათა შესასრულებლად.

მაგრამ თუ ამ ვალდებულებათა შესრულებლად ნაწილობრივ ტარდება ამა თუ იმ პირის მუშაობის გარეშე საათებში, მაშინ ეს საათები არ აინაზღაურებიან სრულებით დამქირავებლის მიერ.

შენიშვნა 1: დრო, რომელიც იხარჯება საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილიდან სასწავლო პუნქტში და სასწავლო პუნქტიდან სამუშაო ადგილში მიმოსვლისათვის, ეთანაბრება შეკრების გავლის და ჩატარების დროს.

შენიშვნა 2: სასწავლო შეკრების გავლის დროს ჯარის წესით ან იმ ადგილის გარეშე, სადაც იმყოფება ესა თუ ის საწარმოო ან დაწესებულება, შენახულ უნდა იქნეს ყველა შემთხვევებში მთელი სამუშაო დღის ხელფასი.

10. წინა წლის მორიგ გაწვევაზე გადადებულ ვადის გათავების გამო მუშის და მოსამსახურის განმეორებითი გაწვევის დროს

—შენიშვნა: იმ მუშების და მოსამსახურეების მიმართ, რომელნიც მიღებულ იქნენ სამსახურში მუშურ გლეხურ წითელ არმიის ნაწილთა ძირედ შემადგენლობაში, მაგრამ შემდეგ პირველი ორი თვის განმავლობაში სამხედრო ნაწილებში ყოფნისა გათავისუფლებულ იქნენ სამხედრო სამსახურიდან. შესაფერად გამოიყენება 22 მუხლის შენიშვნა, აგრეთვე 23 მუხლი.

19. მუშები და მოსამსახურეები, რომელნიც არ დაინიშნენ მუშურ გლეხურ წითელ არმიის ნაწილთა ძირედ შემადგენლობაში უბრუნდებიან თავის წინანდელ სამუშაო ადგილსა და თანამდებობას და დამქირავებლისაგან არ ღებულობენ არავითარ ერთდროულ დახმარებას.

აღნიშნულ კატეგორიას მიეკუთვნებიან:

ა) სამხედრო სამსახურისათვის აუცილებლად გამოუსადეგრად ცნობილნი.

ბ) ვადის გადადების მიმღებნი ავადმყოფობის ან ქასკში მოუყვანლობის გამო.

გ) ტერიტორიალურ ნაწილთა ცვალებად შემადგენლობაში ჩარიცხულნი.

დ) სამხედრო მოსამსახურეთა კატეგორიაში ჩარიცხულნი, რომელნიც გადიან ნამდვილ სამხედრო ლაშქრის სწავლების წესით.

20. უმუშევრებს, რომელნიც ღებულობენ დახმარებას უმუშევრობის გამო სოციალურ დაზღვევის წესით და რომელთაც ეხებათ მორიგი გაწვევა ნამდვილ სამხედრო სამსახურში საცხოვრებელ ადგილის მიხედვით, ენახებათ უმუშევრობის დახმარება მთელი იმ დროის განმავლობაში, რომელსაც მოინდომებს გაწვევა.

აღნიშნული უმუშევრები, მუშურ-გლეხურ წითელ არმიის ძირედ შემადგენლობაში დანიშნულნი, არა უადრეს ხუთი დღისა გასაწვევ პუნქტში წასვლამდე სამხედრო ნაწილებში წარასმართავად ღებულობენ უმუშევრობის დახმარებას მთელი დროისათვის, რომელიც რჩება წასვლის დღემდე და ამის გარდა ორი კვირის წინდაწინ, გაგზავნის დღიდან ჩათვლით.

შენიშვნა: უმუშევრები, რომელთაც ეხებათ მორიგი გაწვევა საცხოვრებელ ადგილის გარეთ, მაგრამ არა უშორეს 16 მუხლის შენიშვნაში აღნიშნულ მანძილისა, უფლებრივად ეთანაბრებიან საცხოვრებელ ადგილის მიხედვით გაწვეულებს.

ბ) მორიგი გაწვევა იმ პირთა, რომელნიც გაიწვევიან საცხოვრებელ ადგილის გარედ.

21. მუშები და მოსამსახურეები, რომელთაც ეხებათ მორიგი გაწვევა ნამდვილ სამხედრო სამსახურში საცხოვრებელ ადგილის გარეთ (16 მუხლის შენიშვნაში აღნიშნულთა გამოკლებით) გასაწვევ პუნქტში გამოსაცხადებლად სამუშაოდან განთავისუფლების დროს დამქირავებლიდან ღებულობენ ერთდროულ დახმარებას ორკვირეული საშუალო ხელფასის რაოდენობით (მაშინაც კი რომ ისინი წინასწარ გაფრთხილებულიც იყვნენ მომავალ გაწვევის შესახებ).

22. მუშებს და გლეხებს, რომელნიც არ დაინიშნებიან მუშურ-გლეხურ წითელ არმიის ნაწილთა ძირედ შემადგენლობაში (ე. ი. მიეკუთვნებიან მე-19-ე მუხ. „ა"—„დ" პარაგრაფ. ჩამოთვლილ კატეგორიებს) აქვთ უფლება დაბრუნდენ წინანდელ სამუშაო ადგილზე და თანამდებობაზე სამი დღის ვადაში გასაწვევ კომისიიდან სათანადო დოკუმენტის მიღების დღიდან.

23. ამ ვადის ანგარიშში არ შედის დრო, რომელიც საჭიროა გაწვევის ადგილიდან წინანდელ სამუშაო ადგილში გადასასვლელად.

როდესაც დაგვიანება მართლდება საპატიო მიზეზებით (როგორიც არის ავადმყოფობა, სტიქიური ხასიათის დაბრკოლება და სხვა) სამი დღის ვადა სათანადოდ უნდა იქნეს გაგრძელებული, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა.

შენიშვნა: წინანდელ სამუშაო ადგილზე და თანამდებობაზე დაბრუნების უფლება ეძლევათ აგრეთვე მუშებს და მოსამსახურეებს, რომელნიც მიღებულ იქნენ სამსახურში მუშურ გლეხურ წითელ არმიის ნაწილთა ძირედ შემადგენლობაში, მაგრამ დაჰყვენ რა მორიგ ხანი პირველი ორი თვის განმავლობაში სამხედრო ნაწილში—განთავისუფლებულ იქნენ სამხედრო სამსახურიდან. ასეთ პირთა დაბრუნებისათვის სამი დღის ვადა იწყება დღიდან მათ მიერ ადგილობრივ ტერსამმართველოდან ან სამაზრო—(საოლქო) სამხედრო კომისარიატიდან სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების დოკუმენტის მიღებისა.

24. ამ შემთხვევაში, როდესაც გაწვეული უბრუნდება თავის წინანდელ სამუშაო ადგილს და თანამდებობას, ერთდროულ დახმარების გაცემასთან დაკავშირებული ანგარიშის გასწორება, იწარმოება შემდეგ საფუძველზე:

ა) თვით დაბრუნების დროს დამქირავებელს არა აქვს უფლება უკან მოითხოვოს დახმარება, კიდევაც რომ გაწვეული ორი კვირით ადრე დაბრუნდეს მუშაობის შეწყვეტის დღიდან.

წესები

საგარანტიო მოსამსახურეების შრომის გამოყენების შესახებ

და ს. ს. რ. კავშ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული. 22 აპრილს 1927 წ. № 84 ს. ს. რ. კავშირის შრომის სახ. კომისარიატის

1. ის პირნი, რომელთაც სურთ დაიკავონ თანამდებობანი დაკავშირებულნი სახელმწიფო საგარანტიო დაზღვევის წესით დაზღვეულ ქონების სამსახურთან, უნდა ატესტაციაქმნილ იყვნენ, როგორც საგარანტიო მოსამსახურეები საკავშირო რესპუბლიკების შრომის სახ. კომისარიატთან არსებულ ადგილობრივ საატესტაციო - საკონფლიქტო კომისიების მიერ.

2. საგარანტიო მოსამსახურეების სახით შეიძლება ატესტაციაქმნილ იყვნენ სასამართლოს მიერ ქონებრივ და თანამდებობრივ დანაშაულობისთვის უფლებრივად შეუზღუდავი და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირები, რომელ სამსახურშიც მათ სურთ შესვლა.

შენიშვნა: სადარაჯო და დაცვითი სამსახურის თანამდებობაზე დანიშვნის დროს იმ პირებს, რომელნიც დათხოვნილნი არიან მ.-გ. წითელ არმიიდან კვალიფიკაცია არ მოეთხოვებათ.

3. საგარანტიო მოსამსახურეობის ატესტაციის მსურველ პირებმა უნდა შეიტანონ ადგილობრივ საატ. საკ. კომისიაში დაწესებულ ფორმის მიხედვით განცხადება—ანკეტაწინანდელ მუშაობის შესახებ საბუთებით და ბინის მისამართის დართვით.

დებულება

საგარანტიო დაზღვევის დარგში საატესტაციო-საკონფლიქტო კომისიების შესახებ

თბილისის პროლეტარიატი

ავჭალის წყალსადენის მუშების შორის შეკრებილ იქნა ავიაქიმის სასარგებლოდ სამი მანეთი და 25 კაპ., რასაც ვგზავნით თვითმფრინავის ასაშენებლად.

ავჭ. წყალსადენის ადგილკომი.

—:—

თანახმად ილია თაქთაქიშვილის გამოწვევისა, შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" სასარგებლოდ 5 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს რკ. გზის მთავარ სახელოსნოს საქვაბო საამქროდან: **ნესტორ ჭოლოკავას, ისაკი გზირიშვილს, უშანგი ერაძეს, ვიქტორ გორდელაძეს, ნიკო მილაძეს, სერგო კუზნეცოვს და სიმონ ბეგაძეს.**

მთავარ სახელოსნოს ხელოსანი

იუსტინე გოგაძე.

—:—

ამხ. ა. ზვამბაიას და ი. შავნგრაძის გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს ხუთი მან. და ვიწვევ სოფ. ობჩაში საქმიშო პუნქტის გამგე ემიქ კ. ჩხეიძეს.

ლავრენტი ვაშაკიძე.

—:—

ამხ. აპოლონ გოქშაძეს გამოწვევით თვითმფრინავის ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს 8 მანეთი და ვიწვევ იაკობ მიმინოშვილს, გრიგოლ მიმინოშვილს, იოსებ ნოდიას, მიშა ჩიტაიას, სევერიანე მიმინოშვილს, მიშა კუცაიას, ვასილ ჩახავას და კვირიკე ყურაშვილს.

ამხ. ი. თულაძეს გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **ივ. როგავას, მიშა კვირკველიას, კოსტა ცაავას, კოსტა ბუღაშვილს, მარო ადამიას, პორფილე სიჭინავას, კლიმენტი ჟვანიას, ბესარიონ ცვარამიას, გიორგი ცხაკაიას, ოლია კინწურაშვილს.**

ნესტორ ადამია.

—:—

ამხ. ბ. რაზმაძის გამოწვევით, შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად სამი მან. და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **ნიკოლოზ უკლებას, კონსტანტინე ლომთაძეს, ვლადიმერ უკლებას და სამსონ გოგიაშვილს.**

კოლია არაბიძე.

—:—

მე-6-ე ქართულ მსროლელ ლეგიონის მე-3-ე ასეულის უფ. პოლიტშემადგენლობამ, ძირად შემადგენლობამ და ცვალებად წითელ მოლაშქრეებმა შემოაქვთ თვითმფრინავის ასაგებათ 10 მანეთი და 40 კ. და იწვევენ შემდეგ ასეულებს: მე-4 და მე-5-ე ლეგიონის მე-3-ე ასეულებს, მე-6-ე ლეგიონის სამხედრო კომისარს ამხ. ელიაშვილს და ლეგიონის მეთაურს ამხ. თუხარელს, მე-4-ე და მე-5-ე ლეგიონის სამხედრო კომისრებს და ლეგიონის მეთაურებს, მე-6 ლეგიონის 1-ლი, მე-2, მე-5, მე-7 და მე-9 ასეულებს, 1-ლი, მე-2 და მე-3 ტყვიამფრქვევ ასეულებს, მე-4 ლეგიონის მე-5, მე-6 და მე-8 ასეულებს,

...თულაშვილს, ელიკო ჟვავახაძეს, ლიდა პაპავას, ისიდორე შარაშანიძეს, ნადია გრიგოლიას, ოლია ძაგრიძეს, მიხეილ გრიგოლიას, გაბრიელ ფანცულაიას, მიხეილ დუნდუას, სერგო ოდილავაძეს, ლუკა ოდილავაძეს, შალიკო კვანტალიანს, ნინა მანჯგალაძეს, ოლია მანჯგალაძეს და დათიკო ბასილაშვილს.

ნეონილა ოდილავაძე.

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად 5 მან.

აქვსენტი ჩხაიძე.

—:—

დღეს შემოვიდა 63 მან. 65 კაპ.

სულ შემოსულია 7,658 მან. და 24 კაპ. და ერთი ოქროს მაჯის საათი

თათბირები

მეაბრეშუმეთა თათბირი

(მე-7-ე სხდომა)

მოსმენილ იქნა „საქართველოს აბრეშუმი"-ს მთავარ ბუღალტერის ი. ჭელიძის მოხსენება—ტრესტის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ.

ტრესტის დაარსების დროს, 1926 წლის 1 ოქტომბერს, ტრესტის თანხებს შეადგენდა: ძირითადი თანხა—657.877 მან.; საბრუნავი—631.277 და მეაბრეშუმეობის აღორძინების ფონდი—100.000 მანეთი, სულ—1.389.154 მან. კაპიტალურ მშენებლობაზე (ახალი მექანიკური სახვევი ქარხნები, საგრენაჟო სადგურები, აბრეშუმსახვევი და საგრეხი ქარხნები და სხ.) ტრესტს წლის განმავლობაში დაუხარჯავს—1.035.000 მანეთი. გრძელვადიანი სესხის სახით გასულ წელს ტრესტმა მიიღო 400.000 მანეთი. ოზურგეთის, ხონის და ქუთაისის ქარხნების აგება დაჯდება სულ 1.290.000 მან., გასული წლის განმავლობაში აღნიშნულ ქარხნების შენებაზე დახარჯულია—400.000 მანეთი. მშენებლობისათვის მიმდინარე წელს ტრესტი მიიღებს გრძელვადიანი სესხის სახით 300.000 მან. ხოლო 500.000 მან. ტრესტმა უნდა გაიღოს თავის თანხებიდან.

„შოლკოტრესტთან" დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომლითაც „საქართველოს აბრეშუმს" უნდა ჩაებარებინა მისთვის 8.000 ფუთი ხმელი პარკი და 5.000 ფუთი აბრეშუმის ძაფი. „შოლკოტრესტი"-საგან მიღებული იქნა ავანსი 2.300.000 მან. დადებულ იქნა ხელშეკრულება აგრეთვე „აზშოლკთან" 6.000 ფუთ ხმელი პარკის ჩაბარებაზე და მიღებულ იქნა ავანსი 500.000 მანეთი. საქართველოს სას.-სამ. ბანკიდან სესხათ მიღებულ იქნა 600.000 მან. წელს ტრესტმა შეისყიდა—105.150 ფუთი პარკი, ღირებული 2.506.699 მან. პარკის დამზადება-გადამუშავებაზე დაიხარჯა 600.000 მანეთი. მოუსავლიანობის გამო „შოლკოტრესტისათვის" ჩასაბარებელი პარკის რაოდენობა შემცირებული იქნა 2.000 ფუთით და უკან დაუბრუნდა ავანსი 681.000 მან.

„აზშოლკთან" პირობა შესრულებულია მთლიანად. „შოლკოტრესტ"-თან დადებულია ახალი ხელშეკრულება ძაფის ჩაბარების შესახებ. „შოლკოტრესტის" ვალი მთლიანად იქნება დაფარული მიმდინარე წელს. მიმდინარე საბიუჯეტო წელში ტრესტის ფინანსიური მდგომარეობა მტკიცეა. ტრესტის ყველა განყოფილებებში ამჟამად ტარდება ინვენტარიზაცია და გასული წლის ბალანსი მზად იქნება მომავალი წლის 1 იანვრისათვის.

მიმდინარე გეგმით გათვალისწინებულია—140.000 ფუთი პარკის დამზადება, რაც მოითხოვს 4.000.000 მან. ხარჯს. საჭირო თანხების გამოსანახათ ტრესტს განზრახული აქვს წინასწარ გაყიდვა 8.000 ფუთი პარკის და სესხების მიღება ადგილობრივ ბანკებიდან.

გასულ წელში გასაღებული პროდუქციის ღირებულება განისაზღვრება—6.000.000 მან. მიმდინარე საბიუჯეტო წელს გასაღებული პროდუქციის ღირებულება აყვანილი იქნება—9.000.000 მანეთამდე.

ა.-კ. სასოფ.-სამ. კოოპერაციის ინსტრუქტორთა თათბირი

მეხუთე სხდომა

ქრონიკა

ამხ. კარკლინი სადარბაზოთ უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენელთან

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში ამხ. კარკლინი შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. ამის გამო გუშინ იგი სადარბაზოთ იყო უცხოეთის სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლებთან.

132 ვაგონი ფართალი

დამდეგ 1927—28 წლის პირველ მეოთხედში (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) საქართველოში შემოტანილი იქნება 132 ვაგონი ფართალი, რომელიც განაწილებული იქნება შემდეგნაირად: თბილისის მუშკოოპს მიეცემა 31 ვაგონი ფართალი, აფხაზეთს—12 ვაგონი და ცეკავშირს—41 ვაგონი, სამხედრო კოოპერატივს 8 ვაგონი.

სულ კოოპერაციას (ცეკავშირი, აფხაზეთის კოოპერატივები, სამხედრო კოოპერატივები), ეძლევა 90 ვაგონი ფართალი, რომელიც გაუნაწილდება ქალაქის და სოფლების სამომხმარებლო კოოპერატივებს.

მუცელას ეპიდემია

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა თელავის მაზრიდან მიიღო ცნობა, რომ სექტემბრის განმავლობაში მაზრის სოფლებში ადგილი ჰქონდა მუცელას ეპიდემიას. სულ ერთი თვის განმავლობაში ავად გახდა 340 მოქალაქე.

სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილების მიერ მიღებული ზომებით, ოქტომბრის განმავლობაში ახალ დაავადმყოფებათა შემთხვევები შემცირდა.

ძირითად სამომხმარებლო კოოპერატივების ნორმალური შტატი

ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილებამ ძირითად სამომხმარებლო კოოპერატივებისათვის შეიმუშავა ნორმალური შტატი:

ახალი შტატის მიხედვით, საქართველოს ყველა სამომხმარებლო კოოპერატივები დაყოფილია ექვს კატეგორიათ და შტატის ნორმები დაწესებულია თითეული კოოპერატივის ბრუნვის მიხედვით.

მინიმუმად შტატში დაწესებულია 6 კაცი და მაქსიმუმად 25.

უპატრონო ბავშვთა სამდღიური

თბილისის „ბავშვთა მეგობრების საზოგადოების“ დადგენილებით და ცაკთან არსებულ უპატრონო ბავშვეთა განყოფილებასთან შეთანხმებით 15,16 და 17 ნოემბერს დანიშნულია ფულის შეგროვება ყულაბებით უპატრონო ბავშვეთა სასარგებლოთ.

სამდღიურის ჩასატარებლად უკვე გამოყოფილია ცენტრალური კომისია, რომელიც მოაწყობს სამდღიურის ჩამტარებელ საუბნო კომისიებს და უხელმძღვანელებს სამდღიურის ჩატარებას, როგორც თბილისში, ისე მის მაზრაში.

თბილისის ალმასკომში

◆ **საბჭოთა სახლების მდგომარეობის** გამოსაკვლევად ალმასკომმა გამოყო სპეციალური კომისია.

◆ **ტრამვაის საჭიროებისათვის** ალმასკომმა დამატებით გადასდო 70.000 მან.

◆ **ფასების შემცირება წყალზე.** ალმასკომმა დაადგინა შეამციროს წყალზე არსებული ტარიფი. ახალი ტარიფი გამოქვეყნებული იქნება ახლო ხანში.

◆ **დაწესებულებებიდან კერძო პირების** გამოსასახლებლად ალმასკომმა დაარსა ცალკე კომისია.

◆ **ახალი ხიდი.** თბილისის ალმასკომი შეუდგა დაბახანაში მტკვარზე ხიდს აგებას.

სხვადასხვა

◆ **საზამთრო საკურორტო სეზონი** დაიწყება ქობულეთში 23 ოქტომბრიდან, აბასთუმანში (არაზინდო) 20 ოქტომბრიდან.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის 11 ოქტომბრის ნომერში მოთავსებულ წერილში „შრომის ნაყოფიერება და შრომის ხელფასი საქართველოს მრეწველობაში“ გაშვებულია კორექტურული შეცდომა: მერვე სვეტში **სწერია:**

„**რეალური ხელფასი**“ საქართველოს ყველა სამრეწველო დარგებში 1924—25 წლიდან 1926—27 წლის პირველ ნახევრამდე შემდეგ ზრდას იძლევა:

	თვიური ხელფასი ძველ მანეთებში
1924—25 წ.	57 მ. 57
1925—26 წ.	68 მ. 70
1926—27 წ. 1-ლ ნახ.	74 მ. 25

უნდა იყოს:

	თვიური ხელფასი ძველ მანეთებში
1924—25 წ.	20 მ. 44
1925—26 წ. 1-ლ ნახ.	23 მ. 49
1926—27 წ. 1-ლ ნახ.	24 მ. 93

შემთხვევები

ფულის ნახვა

ერთ-ერთ დაწესებულების მოლარეს ტრამვაის ვაგონში დარჩა პორტფელი, რომელშიაც იყო დიდი თანხა. კონდუქტორმა პორტფელი გადასცა ტრამვაის დირექციას, დირექციამ პორტფელი დაუბრუნა პატრონს.

◆ **ვერის სასაფლაოზე** მოქ. ნიკოლოზ პანოვმა ქვით გაუტეხა თავი იაკობ სარქისოვს. ბოროტმოქმედი შეიპყრეს.

◆ **ცეკავშირის წიგნის მაღაზიიდან** (რუსთაველის გამზირი № 11) მოიპარეს 470 მანეთი ფულად და 1000 მ. ნივთები.

◆ **ტრამვაის რონოდაში** მიხეილ სტეფანოვს ჯიბიდან ამოაცალეს 138 მან.

◆ **ცოლის დაჭრა.** 16 ოქტომბერს აწყურის ქუჩა № 3 გიორგი ალაბეგოვმა დანით მძიმედ დასჭრა თავისი ცოლი ნინა მჭედლიშვილი.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** 15 ოქტომბერს ბოტანიკური ბაღი № 7 გაქურდეს პეტრე ტიტკოვის ბინა.

◆ **რომანიული ნიადაგზე** 16 ოქტომბერს ალავიერის ქუჩა № 13 აბრამ მიხეილისძე ფონოზაშვილმა დანით დასჭრა თავისი ცოლი თამარა სოლომბიანის ასული. ბოროტმოქმედი შეიპყრეს.

◆ **ბოქლომის აგლეჯის საშუალებით** 16 ოქტ. ნიკოლოზ ვასილიევის ბინიდან მოიპარეს 1175 მან. ნივთები.

◆ **ამავე დღეს** ელისაბედის ქუჩა № 7 გაქურდეს ბენიამინ ქანთარიას ბინა.

◆ **შეპყრობა.** 16 ოქტომბერს შეიპყრეს ტიმოთე ბარეტინი, რომელმაც ვლადიმერ მამულაიშვილის ბინიდან მოიპარა 500 მანეთის ნივთები.

◆ **დაჭრა.** ვერის დაღმართზე ღამით 16 ოქტომბერს უცნობმა პირმა რუბენ კალნტაროვი ქვით დასჭრა თავში და მიიმალა. დაჭრილი სასწრაფოდ გადაიგზავნა საავადმყოფოში.

◆ **დიაცთა ველზე.** 16 ოქტომბერს გაქურდეს რუბენ იშხანოვის ბინა.

◆ **ყელის გამოჭრა.** 16 ოქტომბერს მაჩაბლის ქუჩა № 5 სახლის სადარბაზო შესავალში საღამოს 10 ს. ცეცხლისმქრობელ რაზმის შოფერმა სიმონ შველცოვმა გამოიჭრა ყელი. მიზეზი გამოურკვეველია. შველცოვი გადაიგზავნა საავადმყოფოში.

◆ **დაჭრა.** 16 ოქტომბერს ხევიონის ქუჩა № 14 აბრამ მამულაიშვილმა დანით მძიმედ დასჭრა ბაგრატ ეგიაზაროვი. ბოროტმოქმედი შეიპყრეს.

◆ **კარების შემტვრევის** საშუალებით 16 ოქტომბერს ბარბალე ნიკოლსიანის ბინიდან (ნიკოლოზის ქუჩა № 47) მოიპარეს 429 მან. ნივთები.

◆ **ამავე დღე**[illegible]ორისის ქუჩა № 19 გაქურდეს თამარა იაშვილის ბინა.

სასამართლო

რძლის მოწამვლა

(17 ოქტომბრის დილის სხდომა)

გუშინდელ დილის სხდომაზე ელენე კაზაჩენკოს მოწამვლის საქმის გამო დაკითხულ იქნენ ბრალდებულები **მათე და ანტონინა კაზაჩენკოები.** დაკითხულ იქნენ აგრეთვე ექიმები, რომლებიც ავადმყოფს მკურნალობდენ.

მათე კაზაჩენკო აცხადებს, რომ მას ვითომ ძალიან კარგი განწყობილება ჰქონდა რძალთან. ძალიან მოსწონდა სარძლოთ ელენა ერმოლოვნა და თვითონ ხელი შეუწყო თავის შვილს მის შერთვაში.

ბრალდებული მოუთხრობს სასამართლოს, როგორ გახდა ავათ მისი რძალი და აცხადებს, რომ მისი სიკვდილის მიზეზია ექიმბაშის მიერ შემზადებულ წამლის დალევა მუცლის მოშლის მიზნით.

ასეთსავე ჩვენებას იძლევა ბრალდებული ანტონინა კაზაჩენკო. ის აცხადებს, რომ მართალია, მუცლის მოშლის ნიადაგზე მას რძალთან უსიამოვნება ჰქონდა, მაგრამ მისი მოკვლა არასოდეს არ გაუვლია გულში.

დაკითხული ექიმები მელიოვი, ბერეჟიანი და ორლოვსკი აცხადებენ, რომ ელენე კაზაჩენკო იყო სუსტი აგებულების ქალი, სისხლნაკლული, ფილტვებიც ძალიან დაავადმყოფებული ჰქონდა. ექიმი ორლოვსკი აცხადებს, რომ განსვენებული იმდენად სუსტი იყო, რომ მან მისცა მუცლის მოშლის ნებართვა, რადგან ბავშვის ყოლა მასზე ცუდად იმოქმედებდა.

სხდომა წყდება ნაშუადღევის სამ საათზე. მორიგი სხდომა დაინიშნა საღამოს 6 საათისათვის.

(საღამოს სხდომა)

საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა მოწმეების დაკითხვა.

მეტად საინტერესო იყო მოწამლულ ელენე კაზაჩენკოს მეგობრის ქსენია გაიკოვიჩის ჩვენება. როგორც ვსწერდით, გაიკოვიჩის ქალის მიერ იყო შეტანილი სისხლის სამართლის მილიციაში განცხადება, რომლის მიხედვით მოწამვლის ფაქტი გამომჟღავნებულ იქნა.

მოწმე აცხადებს, რომ მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა მის მეგობარს—ელენეს ცხოვრება კაზაჩენკოების ოჯახში. როცა მან გაიგო ელენეს გარდაცვალების ამბავი, მაშინვე ეჭვი დაებადა, რომ ის მოწამლული იქნებოდა დედამთილ-მამამთილის მიერ, რადგან მათ სძულდათ თავისი რძალი. ეს ეჭვი გააძლიერა იმ გარემოებამაც, რომ სიკვდილის წინა დღეებში ელენე კაზაჩენკო თავს კარგად გრძნობდა.

გაიკოვიჩის ქალი დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს იმ გამწვავებულ ურთიერთობის შესახებ, რომელიც არსებობდა რძლისა და დედამთილ მამამთილის შორის.

მოწმე **ერმოლოვი** (მოწამლულ ელენე კაზაჩენკოს მამა) უამბობს სასამართლოს, რომ ქალიშვილი ხშირად უჩიოდა მას, რომ კაზაჩენკოების ოჯახში მას ცუდად ეპყრობოდენ.

მოწმეებს აძლევენ ჯვარედინ შეკითხვებს. მთელი სასამართლო გრძელდება კითხვა პასუხი თითო მოწმის ჩვენების გარშემო.

პროცესს დიდძალი საზოგადოება ესწრება. სხდომის დარბაზი ხალხს ვერ იტევს.

ი. ქუთათელაძის საქმე

გუშინ საქართველოს უზენაეს სასამართლოში ამხ. ბერძენიშვილის თავმჯდომარეობით დაიწყეს მოწმეების დაკითხვა მეაბრეშუმეობის ყოფილ ინსპექტორის ი. ქუთათელაძის საქმის გამო.

დაკითხულ იქნენ მოწმეები: ჩხეიძე, გ. ბიაშვილი, გედეონ ქუთათელაძე, ივანე ქუთათელაძე, სპირიდონ ჩომახიძე, არსენ ოგანოვი და სხვ.

მოწმეები უმთავრესად ეხებიან საზოგადოება „აბრეშუმის“ ურთიერთ დამოკიდებულებას მეთესლეობის ცალკე ფირმებთან. გრძელდება მოწმეების დაკითხვა.

ხელოვნება

აიდა

ოპერა „აიდას“ უეჭველმა ღირსებამ, მისმა მუსიკალურმა სილამაზემ, შემსრულებელთა ახალმა შემადგენლობამ და ახალმა დადგმამ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. მთავარ პარტიაში (აიდა გამოვიდა მომღერალი ქალი **ჩლოვინსკაია,** რომელმაც მთლიანად მიიპყრო მთელი საზოგადოების ყურადღება და ინტერესი. მომღერალს აქვს იშვიათი სილამაზის თანაბარი ბგერის ხმა (ლირიკო - დრამატიული სოპრანო), რომელიც განსაკუთრებით სასიამოვნოა მაღალ რეგისტრებში. სიმღერის დროს მას ახასიათებს მუსიკალობა, მოფიქრებული ფრაზიროვკა, მშვენიერი სკოლა. პარტიის დრამატიული შესრულება მსახიობის მიერ ფრიად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. კარგი ხმა,—(მეცო-სოპრანო) არაჩვეულებრივი მუსიკალობა აღმოაჩნდა მსახიობ ქალს **რეპეზოვას** (დედოფალი ამნერის) თუმცა მას აკლია ალაგ-ალაგ გარკვეული ფრაზიროვკა და მისი თამაში ყველგან მხატვრულად დამთავრებული ვერ არის. მეოთხე აქტში საჭიროა უფრო მეტი ტემპერამენტი და განცდა. საუკეთესოა მეორე აქტში ამნერისის სცენა აიდასთან. აქ ორივე მსახიობმა კარგი დიქცია გამოააშკარავა. ფრიად გაურკვეველი შთაბეჭდილება დასტოვა ტენორმა **აგრანოვსკიმ** (რადამეს). მსახიობს ვერ წაგართმევთ მის ღირსებებს — ფრიად ლამაზ ხმას (ლირიკო დრამატიული), მაგრამ სიმღერის დროს აქვს ნაკლულოვანებანი: შინაგანი დაჯერება აკლია მსახიობს პირველი აქტის არიას ფინალში და აიდასთან სცენაში (მესამე აქტი), სრულიად მიუღებელია მსახობის მიერ პარტიის გარეგნული განსახიერება. ის ოპერეტის ან ბალეტის გმირს უფრო გავდა, ვიდრე ფარაონის ჯარების მთავარსარდალს. შეუფერებელია კოსტიუმი ყველა აქტებში, შეუფერებელია გრიმიც. მართალია, რადამესი ტრაფარეტული გმირია, მაგრამ პარტიაში არის დრამატიული მომენტები, რომელთაც უფრო მეტი განცდით ესაჭიროება გადმოცემა. **ლუბენცოვმა** (რამფის) ვერ მოგვცა ყოვლად ძლიერი უზენაესი ქურუმის სახე. მისი ხმა ლამაზია საშუალო და მაღალ რეგისტრებში, ყრუთ ისმის დაბალ რეგისტრებში. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დასტოვა **ქარცივაძემ** ეფიოპიის მეფე ამონასროს პარტიაში მის ხმას კარგი ბგერა აქვს.

მასსიურ სცენებში კარგია ბალეტი,—განსაკუთრებით, საღმთო ცეკვა. გუნდი ყველა სცენებში კარგად მღერის.

საეჭვოა გამარჯვებულად ვსცნათ ახალი დადგმა. უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვებს პირველი სცენა—ეფიოპების თავდასხმის ამბავის (სახელმწიფო საიდუმლოების) საქვეყნოდ გამოცხადება, ჩვეულებრივ ამ საიდუმლოებას აცხადებს არა რამფისი, არამედ ეგვიპტის მეფე მეორე აქტში. ისტორიულად სწორი არ არის აგრეთვე სცენა ტაძარში, რადგან ევიპტელები ცეცხლის თაყვანისმცემლები არ ყოფილან და ლოცვა სამსხვერპლოსთან უადგილოა, მით უმეტეს, რომ მოსჩანს ერთ-ერთი ეგვიპტელი ღვთაების კერპი. დატვირთულია სცენა ამნერისის დარბაზში. აქ მეტია მონური მორჩილების გამოჩენა, რადგან ამნერისი თავის ახლობელთა წრეში ოცნებობს. აქ ლამაზია კედლებზე მოხატული ეგვიპტური ფრესკები, კარგად არის დადგმული მეორე აქტის ფინალის სცენა. რადამესის გასამართლების სცენა შესამჩნევლად უფრო ეფექტიურია, ვიდრე წარსულ დადგმებში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მხატვრულ მიღწევებს ამ დადგმაში აქვს არა მთლიანი, არამედ ეპიზოდიური ხასიათი, არაა საკმარისი განათება.

ფრიად მხატვრულად მიჰყავს ორკესტრი ივანე ფალიაშვილს.

პ. ბ.

პროლეტარულ მწერლების ინტერნაციონალური საღამო

კვირას 16 ოქტომბერს ხელოვნების სასახლეში გაიმართა საქართველოს პროლეტარულ მწერლების ინტერნაცონალური საღამო.

კრებაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. **ბ. ბუაჩიძე,** რომელიც თავის სიტყვაში შეეხო საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის საქმიანობას 1926-27 წლის პერიოდში და აღნიშნა, რომ ამ პერიოდში ჩვენმა პროლეტარულმა მწერლობამ დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ, მის მუშაობას, ემჩნეოდა გამოცხოველება. ასოციაცია გაიზარდა როგორც რიცხვობრივად, ისე თვისობრივად.

შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ამხ. **სუტირინი,** რომელმაც თავის ვრცელ სიტყვაში ანალიზი გაუკეთა და დაახასიათა ყველა ლიტერატურულ ფრონტზე აღებული ჰქონდათ კურსი ტურული მიმდინარეობები საქართველოში, აზერბეიჯანში და სომხეთში გასაბჭოებამდე და მის შემდეგ.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ თუ გასაბჭოებამდე ამ სამი რესპუბლიკის ინტელიგენტურ ძალებს, რომლებიც მუშაობდნენ ლიტერატურულ ფრონტზე აღებული ჰქონდათ კურსი დასავლეთ ევროპაზე — გასაბჭოების შემდეგ მათ თავისი შეხედულებები შეიცვალეს და თავისი კურსი აიღეს საბჭოთა ორიენტაციისაკენ.

თუ გასაბჭოების პირველხანებში ამიერ-კავკასიის ლიტერატურულ სფეროში მომუშავე ინტელიგენცია პროლეტარულ წყობილებისადმი ერთგვარ მტრულად იყო განწყობილი, ეხლა ასეთ მდგომარეობას ადგილი აღარ აქვს და ეს ინტელიგენცია საბჭოთა ხელისუფლების მხარეზეა. არიან მწერლები, რომელთაც თავის შემოქმედებაში ემჩნევათ ერთგვარი „პოპუტჩიკობა“. პროლეტარულ მწერლობასთან და ასახავენ ჩვენი სამეურნეო ცხოვრების ზრდის პროცესებს. არიან ისეთი მწერლებიც, რომლებიც მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციამ წარმოშვა.

მოხსენებაში ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ჩვენ გვყავს ლიტერატურულ ფრონტზე მუშათა წრიდან წარმოშობილი მწერლები, ხოლო ნაკლებათ მოგვეპოვება სოფლის გულიდან წარმოშობილი მწერლები, რომლებიც ასახავდენ სოფლის მეურნეობის ზრდის პროცესებს.

დასასრულ ორატორი შეეხო ამიერ - კავკასიის პროლეტარული მწერლობის გაერთიანების საკითხს და განაცხადა, რომ საჭიროა ისეთი ორგანიზაციის შექმნა ამ.-კავკასიის მასშტაბით, რომელიც გააერთიანებს და ხელმძღვანელობას გაუწევს ა.-კავკ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების პროლეტარულ მწერლებსო.

ამხ. სუტირინის მოხსენების შემდეგ პროლეტარულ პოეტებმა და მუშა-მწერლებმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები, ლექსები წაიკითხეს ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე.

დასასრულ მოხეტიალე მუსიკოსმა **ი. ქურხულმა** შეასრულა ხალხური სიმღერა მაკედონელ მეცხვარეების ცხოვრებიდან. სიმღერა შესრულებულ იქნა მაკედონურ და ქართულ ენებზე, შინაარსის სათანადო განმარტებით.

საღამო დასრულდა ღამის 12 საათზე.

ტონი.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **კონსერვატორიის დარბაზში** 22 ოქტომბერს გაიმართება ვიოლენჩელზე დამკვრელის ბეზროდნის მეორე კონცერტი.

◆ **მუშათა თეატრის** ქართული დრამის სეზონი გაიხსნება 6 ნოემბერს.

◆ **„ავი სული“.** ახლო ხანში თბილისში ნაჩვენები იქნება, სომხეთის კინომრეწვის სურათი: „ავი სული“. დადგმა მ. გელოვანის და ბურხუდაროვის.

◆ **ოქტომბრის დღესასწაულებისათვის** გამოვა რევოლიუციონურ სიმღერების კრებული.

◆ **„ამფეთქებელნი“.** მუშათა თეატრის ქართულმა დრამამ დასადგმელად მიიღო ლუნაჩარსკის „ამფეთქებელნი“.

◆ **„ალიმ“.** არფასტოში დაიწყება უკრაინული სურათის „ალიმ“-ის ჩვენება.

◆ **ოპერის თეატრში.** დღეს მიდის „ევგენი ონეგინი“. მონაწილეობენ: ინაშვილი, შარაშიძე, მარკოვა, მაყაშვილი, კულიგინი და სხვ.

◆ **ახალი წიგნი.** გამოვიდა ვ. ლუარსამიძის წიგნი „ოქტომბრის დიდი რევოლიუცია“, წიგნში წარმოდგენილია ოქტომბრის რევოლიუციის მოკლე დასურათებული მიმოხილვა სკოლებისა და პიონერ - კოლექტივებისათვის. წიგნი შეიცავს 80 გვერდს და ღირს 80 კაპ.

— **ჭიათურის აკადემიურ დრამის სეზონში** მოწვეულნი არიან: ქალები: თ. აბაშიძე, ნ. კაკაბაძე, ნ. სიხარულიძე, სიბილა, შ. სიხარულიძე, ტ. ტყაბლაძე, ა. ლოლუა; ვაჟები: ალაზნისპირელი, აბაკელია, კობელი, ჯულელი, ჩხიკვაძე, ვაშაძე, ლეჟავა, თარხნიშვილი, მჟავანაძე, ლეჟავა. რეჟისორი — პ. ფრანგიშვილი, თანაშემწე — ზ. ურუშაძე, სეზონი გაიხსნება 20 ოქტ. შანშიაშვილის პიესა „ლატავრა“-თი.

კინო

„ორთქლმავალი ბ 1000“. რეჟისორი კულეშოვი 15 ოქტომბერს გაემგზავრა მოსკოვში სურათ „ორთქლმავალი „ბ“ 1000“-ს გადასაღებათ.

„ელისო“. რეჟ. ნ. შენგელაია დაბრუნდა ჩეჩნეთიდან კინო ექსპედიციით, რომელიც წასული იყო სურათ „ელისოს“ გადასაღებათ. მთავარ როლებში: ცეც. წუწუნავა, კ. ანდრონიკაშვილი, ალ. იმედაშვილი და კოხტა ყარალაშვილი.

„უკანასკნელი საათი“. რეჟ. მ. ჭიაურელი გაემგზავრა ქ. ბაქოში სურათ „უკანასკნელ საათი“-ს სანატურო სცენების გადასაღებათ. მთავარ როლებში: შ. თოიძე, შ. თაყაიშვილი, ი. მურუსიძე და ყალაბეგიშვილი. სურათი დასრულებული ქნება ოქტომბრის დღესასწაულისათვის.

„უკანონოთა კანონი“. რეჟ. პუში ასრულებს სურათ „უკანონოთა კანონი“, ბერკოვიჩის მიხედვით. მთავარ როლებში: მ. შირაი, კ. მიქაბერიძე, შ. თაყაიშვილი და ზ. ტერიევი.

„ყაზახები“. რეჟ. ბარსკი დაბრუნდა ექსპედიციით. მან გადაიღო სურათი „ყაზახები“—ტოლსტოის მიხედვით.

„ჯანყი გურიაში“. რეჟ. წუწუნავა ახლო მომავალში დაასრულებს სურათ „ჯანყი გურიაში“-ს ნატურის გადაღებას ე. ნინოშვილის მიხედვით.

„ქალი ბაზრობიდან“. რეჟ. ე. მაკაროვი ასრულებს სურათ „ქალი ბაზრობიდან“ პავილიონის გადაღებებს. მთავარ როლებში: ბ. ბელეცკაია, ა. ვასაძე, ან. მურუსიძე, გ. ინაშვილი და ღამბაშიძე.

„იუნა“. რეჟ. ე. მაკაროვი შეუდგა სცენარ „იუნის“ სამუშაო სამზადისს. სცენარი ს. ტრეტიაკოვის.

„ზეიმი“. სცენარისტ ე. მდივანს და მ. ალხაზიშვილს მინდობილი აქვთ რეჟ. პუშისათვის სცენარ „ზეიმის“ მომზადება, ტეტმაიერის თემის მიხედვით.

„მთის კანონი“. რეჟ. მიხინი დაბრუნდა კინოექსპედიციით ჩრდილოეთ კავკასიიდან. ის იღებდა სურათ „მთის კანონს“. მთავარ როლებში: ბესტაევი და სანოვი. სურათი დასრულებული ქნება ოქტომბრის დამლევისათვის.

ბრძოლა კეთრთან

კეთრით დაავადების შემთხვევები გავრცელებულია აზერბეიჯანში და შემდეგ სომხეთში, ხოლო საქართველოში შედარებით მცირეა კეთრით დაავადებულთა რიცხვი და კეთრის გავრცელების შემთხვევებიც. დღემდე ამიერ-კავკასიაში არ არის შესაფერი დაწესებულება, სადაც შეიძლებოდეს კეთროვანთა ექიმობა და მათი იზოლიაცია კეთრის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ჯანმრთელობის კომისარიატებმა ერთად შეიმუშავეს ამიერ-კავკასიაში კეთრთან ბრძოლის გეგმა, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინა ამიერ-კავკასიის სახეგმო კომისიას, რომელმაც წარდგენილი გეგმა უკვე დაამტკიცა. გეგმის მიხედვით აზერბეიჯანში აგებული იქნება ლეპროზორი, სადაც თავმოყრილ იქნება ყველა კეთროვანი. ლეპროზორი აგებული იქნება ისეთ ადგილზე სადაც ჰავისა და მდებარეობის მიხედვით შესაძლებელი იქნება სასოფლო-მეურნეობის წარმოება. ამ ლეპროზორს ექნება ახალშენის ხასიათი. კეთროვანებისათვის მოეწყობა ბაღები, ბოსტნები, ბახჩები და საყანე მინდვრები, იქვე მოეწყობა სხვადასხვა კულტურული დაწესებულებები: თეატრი, კინო, კლუბი, სამკითხველო და სხ. საექიმო პერსონალისათვის ცალკე, განმარტოებით მოეწყობა საცხოვრებელი უბანი. კეთროვანებს აკრძალული ექნებათ ახალშენიდან წასვლა. ლეპროზორიდან გაუშვებენ მხოლოდ ისეთ კეთროვანებს, რომლებიც საშიში აღარ იქნებიან კეთრის სხვაზე გადადების მხრივ. ლეპროზორის აგებას შეუდგებიან მომავალ წლიდან.

ბათომის ხარჯთ-აღრიცხვა

ბათომის ქალაქის საბჭომ დაამტკიცა 1927—28 წ. ხარჯთ-აღრიცხვა 2,818.008 მან. რაოდენობით. გასავლის ნაწილში გათვალისწინებული თანხები უმთავრესად მოხმარდება ქალაქის კეთილმოწყობის საქმეს. ამას გარდა 1927 28 წლის ბიუჯეტის გარეშე გამოთხოვილია — 6.878.225 მან. ამ თანხებიდან 662,724 მანეთი მოხმარდება არსებულ ქარხნების შეკეთება-გაფართოების საქმეს; სასოფლო-მეურნეობის გასაუმჯობესებლად დაიხარჯება—1.166.980 მანეთი. კომუნალურ მეურნეობის საჭიროებისათვის გადაიდება 3.950 ათასი მანეთი, (აქედან ტრამვაის გასაყვანად დაიხარჯება 1.500.000 მან. მუშათა საბინაო მშენებლობაზე—750.000 მან. და სხ.) მაზრებში სკოლების აგებისა და განათლების საქმეს მოხმარდება 97.000 მან.; საკურორტო მშენებლობას—500.000 მან.; უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად გადაიდება 65.000 მ.

ფეხბურთი

„დინამო-პირველი“ —„პროფკავშირთა ნაკრები“

კვირას, „დინამოს“ სტადიონზე შესდგა თბილისის ორი მძლავრი ფეხბურთელთა გუნდის „დინამო-პირველი“-ს და „პროფკავშირთა ნაკრები“-ს ამხანაგური შეჯიბრი. თამაშის დაწყებისთანავე დინამოელები გადავიდენ შეტევაზე, რასაც სულ მოკლე ხნის თამაშის განმავლობაში შედეგათ მოჰყვა პირველი ბურთის ჩაგდება ნაკრები გუნდის ჭიშკარში.

პირველი ბურთის გატანამ კიდევ უფრო გააცხოველა თამაში. ნაკრები გუნდი გადავიდა საპასუხო შეტევაზე, მაგრამ იგი შედეგს ვერ აღწევდა; თამაშის ინიციატივა დინამოელების ხელთ იყო და მათ მოახერხეს მეორე ბურთის ჩაგდებაც მოწინააღმდეგის ჭიშკარში.

ამან კიდევ უფრო გააცხოველა და საინტერესო გახადა თამაში. ბურთი ნაკრები გუნდის მხარეზე გადავიდა და ამხ. **სოლტანის** (ცენტრ-მარბი) მოხდენილი დარტყმით პირველი მათი გოლი გაქვითდა.

ინიციატივა ნაკრებ გუნდს ამის შემდეგ თითქმის აღარ გაუშვია ხელიდან და პენალტიდან დარტყმით გაქვითულ იქნა მეორე გოლიც.

ამგვარად პირველი ტაიმი დამთავრდა შედეგით 2:2.

მეორე ტაიმში ორთავე გუნდის გარე-მარბები აწარმოებდენ სასტიკ შეტევას, მაგრამ უშედეგოთ. უმეტეს ნაწილად ბურთი ნაკრებ გუნდის კარებთან ტრიალებდა. იყო ხშირი კრიტიკული მომენტებიც, მაგრამ მეკარე ამხ. დ. ცომაიას ფხიზელი თამაშით მოწინააღმდეგეთა მძლავრ შეტევას ნაკრები გუნდი იოლად იცილებდა თავიდან.

ადგილი ჰქონდა ორ კრიტიკულ მომენტს, რომელიც შეიძლება დინამოელების დამარცხებით დამთავრებულიყო, მაგრამ ნაკრები გუნდის მარჯვენა ინსაიტის ამხ. **შ. მაღალაშვილის** ულაზათო დარტყმით, დინამოელებმა ორთავეჯერ დააღწიეს თავი მარცხს.

ტაიმის მეორე ნახევარში ინიციატივა დინამოელებმა აიღეს ისევ, მაგრამ მათაც ვერ მოახერხეს გადამჭყვეტი ბურთის გატარება მოწინააღმდეგის კარებში და თამაში მეორე ტაიმში უშედეგოდ დამთავრდა.

საერთოდ შეჯიბრი დამთავრდა 2:2.

თამაშს სჯიდა **ამხ. იოსავა.**

ჭადრაკი

რკინისგზელების შეჯიბრი

შაბათს, 15 ოქტომბერს რკ. გზის ახალგაზრდათა სახელობის კლუბში შესდგა რკ. გზის მუშა-მოსამსახურეების შორის საჭადრაკო შეჯიბრი პირველობაზე.

შეჯიბრის შედეგი ასეთია:

მალუნცევმა მოუგო პანამარიოვს, **შიშოვმა** ხატელაშვილს, **სიმინიშინმა** პატაშნიკოვს, **ბუკაშევმა** დავიდოვს, **სტიშკოვმა** დინისენკოს, ტიხინოვმა და პინკოვმა ვერ დაამთავრეს პარტია. **ვეიზერის და აგამალიანის** პარტია გადიდო. მე-5 გათამაშება გაიმართება სამშაბათს. საღამოს 7 საათზე ამავე კლუბში.

ნარევი

კაცი-ჭამია ხე

რუსეთის ჩრდილოეთ რაიონის ჭაობიან ადგილებში ხარობს ერთი მცენარე, სახელად „როსიანკა“, რომელსაც გულის ფორმის ფოთლები აქვს. ეს ფოთლები დაფარულია პატარა ბალნებით და წარმოადგენს ნამდვილ მახეს პატარა მწერებისათვის. როგორც კი ბუზი, ობობა ან ხოჭო შეეხება „როსიანკას“ ფოთლის ერთ რომელიმე ბალანს, ფოთოლი იხურება და იჭერს მწერს. როცა რამოდენიმე საათის შემდეგ ფოთოლი ისევ გაიშლება, იქიდან ვარდება მხოლოდ მწერის კანი: მთელი სხეული შთაუნთქავს სისხლის მსმელ მცენარეს.

შორეულ ტროპიკულ ტყეებში პატარა „როსიანკა“-ს უფრო საშინელი ნათესავები ჰყავს. იქ ხარობენ უზარმაზარი ხეები, რომლებიც მწერებით კი არ კმაყოფილდებიან, არამედ პატარა ჩიტებსა და მხეცებსაც იჭერენ .

მაგრამ ხე, რომელიც ერთმა ამერიკელმა ბოტანიკოსმა იპოვა კუნძულ მადაგასკარზე, ყოველგვარ ფანტაზიას აჭარბებს.

მადაგასკარის დღემდი გამოუკვლევ უდაბურ ტყეში მან იპოვა კაცი-ჭამია ხე და შეესწრო, როცა ეს ხე სჭამდა ადამიანს.

ამ საშინელ კაცი-ჭამია ხეს აქვს დაბალი ტანი და მისი ტოტები დაფარულია ფოთლებით, რომლებიც მიწის ზედაპირამდე აღწევენ. ამ ფოთლების სიგრძე ოთხ მეტრამდი აღწევს, განი კი ერთ მეტრს აღემატება.

მადაგასკარის ერთ-ერთი ველური ტომი რაღაც სარწმუნოებრივ ცერემონიას ასრულებდა, როცა მათთან მივიდა ამერიკელი ბოტანიკოსი.

სამსხვერპლოდ განწირული, — სწერს ამერიკელი მეცნიერი, — მიიყვანეს ამ ხესთან. შეუკრეს ხელი და ფეხი და გრძელი სარებით დაუწყეს ბიძგება მცენარისაკენ. უბედური ძალობდა, ცდილობდა არ გაკარებოდა ხეს მაგრამ, როცა შემთხვევით გაეკარა ერთ-ერთ ფოთოლს, ყველა ფოთლები შემოეკრენ მას ტანზე და დაფარეს.

ათი დღის შემდეგ, როცა ფოთლები გაიშალა, მსხვერპლიდან დარჩა მხოლოდ იდეალურად წმინდა ჩონჩხი.

ხის ნავი

ერთმა გერმანელმა გამომგონებელმა ქაღალდისაგან დაამზადა კანოე (მსუბუქი ერთ-ადგილიანი ნავი ერთი ნიჩბით), ნავის ხის ჩარჩოზე გარედან შემოკრულია მაგარი პერგამენტი გაჟღენთილი განსაკუთრებული ხსნარით, რომელიც არ უშვებს წყალს. ნავმა გაუძლო ყველა გამოცდებს, რომლებსაც უშვებიან ჩვეულებრივ ხის და ტილო-გადაკრულ ნავებს. ახალი ნავი გაცილებით მსუბუქი და იაფია, ვიდრე ჩვეულებრივი ნავები.

იურიდიული დახმარება

წითელარმიელ მიხო კოჭლამაზაშვილს.
პასუხი

დაასახელეთ სწორად, ვინ და როდის ჩამოგართვათ მიწა? საზოვეა ეს მიწა, თუ სახნავი? რა დროიდან ითვლებით წითელარმიელად? მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებთ პასუხს.

—:—

ხოფ. საქურდის მცხ. ალ. რუხაიას.
პასუხი

თუ თქვენ ცხოვრობთ თქვენი მშობლების სარგებლობაში მყოფ მიწა-წყალზე და არა ქმრის ოჯახში, მაშინ მიწას ვერავინ ჩამოგართმევს. თუ კი თქვენ ცხოვრობთ ქმრის ოჯახში, მაშინ მიწის სარგებლობის უფლება მშობლების „მიწა-წყალზე“ გეკარგებათ. (იხ. მიწის კოდ. მუხ. 40 და მასთან დართული შენიშვნა).

კავშირის წევრს (წიგნ. № 328) ზ. კახელაძეს.
პასუხი

თანახმად საბინაო ტარიფის მე-8 მუხლისა, უმუშევრები პროფკავშირის წევრები, იხდიან ბინის ქირას კვადრატიულ მეტრზე—4 კაპ.

მიუხედავათ იმისა, რომ თქვენ გაქვთ დადებული სახლის პატრონთან ხელშეკრულება, ბინის ქირას მაინც გადაიხდით 4 კაპეიკის ანგარიშით, ვინაიდან სამოქ. სამართლის კოდექსის მუხ. № 166-ის თანახმად სახლის პატრონს არა აქვს უფლება მოგთხოვოს ბინის ქირა იმაზე მეტი რაოდენობით, რაც უნდა გადაიხადოთ საბინაო ტარიფით.

—:—

ი .ბაზლაძეს
პასუხი

თანახმად არსებულ წესებისა, სახლის პატრონმა უნდა გაიყვანოს წყალსადენი სახლში ხოლო თავიანთ ბინებში წყლის გაყვანა კი მდგმურების საქმეა.

კავშირის წევრს ვერა ნამიკანიძეს (წიგნ. № 1031).
პასუხი

საბინაო ტარიფის მეოთხე მუხლის თანახმად, კვადრატიულ მეტრზე გადაიხდით 6 კაპეიკს, რადგანაც თქვენი ჯამაგირის რაოდენობა უდრის 22 მანეთს.

თქვენი გამოსახლება ბინიდან არავის შეუძლია, თუ თქვენ არავითარ ზიანს სახლსა და მდგმურებს არ აყენებთ. თუ სახლის პატრონმა ბინის ქირა არ მიიღო, მაშინ ბინის ქირა შეიტანეთ ხაზინაში სათანადო ქვითარის მიღებით.

აჭურის ქარხნის მუშას პ. ოსიპოვს.
პასუხი

ვინაიდან თქვენი ჯამაგირის რაოდენობა უდრის 41 მანეთს და 14 კაპ. ამიტომ თანახმად საბინაო ტარიფის მეოთხე მუხლისა, ბინის ქირას კვადრატიულ მეტრზე გადაიხდით 11 კაპეიკს, თუ ქირა სახლის პატრონმა არ მიიღო შეიტანეთ ხაზინაში.

—:—

კავშირის წევრს მიხეილ არქელაშვილს (წიგნ. № 3086)
პასუხი

როგორც თქვენი შეკითხვიდან სჩანს, თქვენი ჯამაგირის რაოდენობა უდრის 45 მანეთს, ამიტომ თანახმად საბინაო ტარიფის მეოთხე მუხლისა კვადრატიულ მეტრზე გადაიხდით 11 კაპეიკს.

რაც შეეხება ნაგვის გადასაყრელ ფულს, ვალდებულია გადაიხადოს ასეთი სახლის პატრონმა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-8-ე რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 18 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, ამავე რაიკომის შენობაში იხსნება მესამე რაიონის მე-8-ე რაიონული პარტკონფერენცია.

დღის წესრიგი:

1) მოხსენება შინა-პარტიულ მდგომარეობას შესახებ.
2) კომპარტიის რაიკომის ანგარიში და ახ. ლ. კ. კ. რაიკომის თანამოხსენება.
3) სარევიზიო კომისიის ანგარიში.
4) რაიკომის, სარევიზიო კომისიისა და დელეგატების არჩევა სამაზრო-საქალაქო კონფერენციაზე.

არჩეულ დელეგატებს მანდატების მიღება შეუძლიათ რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებაში, დილის 9 საათიდან—ნაშუადღევის 3 საათამდე.

ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 18 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებაში იწვევა **ქალაქის რაიკომის პლენუმი.** რაიკომის წევრ-კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კომ. პ. (ბ) საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 18 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება **ცეკას აგიტპროპკოლეგიის** სხდომა. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს თბილისის სახ. პოლიტ-ინსტიტუტის (ლენინის სახელობის) ლექტორებს მულატნიკოვს და პიჩიაკინს გამოცხადდენ ცეკას საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 12)

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს, 18 ოქტომბერს, საღამოს საღამოს სრულ 6 საათზე, საქ. ახ. ლ. კ. თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების შენობაში შესდგება თათბირი, რომელზედაც სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება:

1. შ. მაისურაძე, ჩუბინიძე, ჯობენავა, დ. ღლონტი, რ. თევდორაძე, გ. ხევსურიანი, ა. ვერულავა, გეგეჭკორი, დ. ფარცხილაძე, ვ. სელაგავა, ვ. ბალატურია, ე. ენუქიძე, გ. ტოჩია.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ოთხშაბათს, 19 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე შესდგება ყველა უჯრედების **აგიტ-პროპორგანიზატორებისა და პირველ და მეორე საფეხურის პოლიტსკოლათა ხელმძღვანელების თათბირი.**

ყველა აგიტ-პროპორგანიზატორებისა და ხელმძღვანელების გამოცხადება სავალდებულოა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება სთხოვს ამხ. ლ. ძიძიგურს გამოცხადდეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში, დღეს, 18 ოქტომბერს, დილის 10 საათზე.

საქართველოს კომ. პ. (ბ) ცეკა[illegible] ამხ. ქურულაშვილთან კაბინეტში, ოთხშაბათს, 19 ოქტომბერს, [illegible] შესდგება თათბირი, რომელზედაც მოწვეული არიან: ამხ. თედო ღლონტი, დ. კანდელაკი, ვ. კანდელაკი, ალ. გეგეჭკორი, ქ. მეგრელიძე და არჩ. მიქაძე. აღნიშნულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კომ. პ. (ბ) ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ ოთხშაბათს, 19 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება თათბირი, რომელზედაც მოწვეული არიან ამხ. ამხ.: სანდრო სტურუა, ბელოზეროვი (ამ.-კ. კომუნივერსიტ.), ორლოვი (ამ.-კ. სამხედრო სკოლა), ბოგდანოვი, პიტოევი, ორაგველიძე, გ. კვიცარიძე, სიმ. ხუნდაძე, სულაქველიძე, ჩახვაძე, ადამიანი (ტ. კ.), ბერაძე, მუშიშვილი (ცეკას ბეჭდვითი განყოფილების გამგე), ლინეცკი, არუთიუნოვი, ცქვიტინიძე (ახ. კ. კ. კ. ცეკა); გულიანი და ვენგერი.

საქ. კომ. პ. (ბ) ცეკას საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ ოთხშაბათს, 19 ოქტომბერს, დილის 10 საათისათვის დანიშნულია კომისიის სხდომა, რომელზედაც მოწვეულნი არიან ამხ. მამულაიშვილი, ქურიძე, ლ. ჯაფარიძე, თოხაძე, დიასამიძე და ახმეტელი.

ახალგაზრდა კომკავშირის მე-4-ე რაიკომთან არსებულ ყოფ. ახალ. მარქსისტთა შორის მომუშავე ბიურო ამით აცხადებს თავიანთ აღრიცხულ ამხანაგების საყურადღებოთ, რომ ა.-წ. 15 ოქტომბრიდან დაიწყო ხელახალი აღრიცხვა წინეთ აღრიცხული ამხანაგებისა. ახ. მარქსისტთა ბიურო სთხოვს ყველა ამხანაგებს შემოიარონ ზემოთ აღნიშნულ რაიკომში აღრიცხვაზე გასატარებლად დილის 10 საათიდან 1 საათამდე.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება იწვევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ საკანდიდატო ბარათების მისაღებათ, დღეს, 18 ოქტომბერს, დილის 10 საათისათვის.

ა. ქელიძე, არშაკ ტერ-გალუსტოვი, ნიკოლოზ ვორობიოვი, ც. მხითარიანი, სურენ კოპოვი, დუნია დოლიძე სიჭინავასი, მარ. ნადარეიშვილი, ანა ჟურკოვა, სოფიო ცხოვრებოვა, ბაბულია სიდამონიძე, პეტრე აბაზაძე, ივანე სილაქაძე, სერგო პიროიანცი, ვარ. შირიაევი, ივანე ბეგელური, ხრისტ. მამიევი, გაიკ კაჯოიანი, გიორგი ხმალაძე, ნად. ტარაპეტიანი, ანა მიქოიანი, ვარ. ხუციშვილი, ათან. კიმბაძე, ი. ემერექი, ლ. დავიდოვსკი, ზარბა ავდიევი.

სამშაბათს, 18 ოქტომბერს, დღის 2 საათზე მოწვეულია სახ. უნივ. აგრონომიული ფაკ. კომუჯრედის ბიუროს სხდომა. წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა. უნდა გამოცხადდეს აგრეთვე ამხ. ვ. კანდელაკი და ის ამხანაგები, რომელთა განცხადებები არის გასარჩევი.

— **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება** სთხოვს ამხ. ნინა კალანდაძეს გამოცხადდეს რაიკომში ამხ. ჩაჩანიძესთან (ოთახი 42) დღის 12 საათამდე.

ღრმათ დამწუხრებული მშობლები: გრიშა (ბარდღუ) და მარიამ (მანია) ბებია და ბაბუა, მამიდები: მარგარიტა, კარალინა, ბიძიები: ბონდო და ალიოშა გაბილაები, ბებიები: მარიამ და ეკა ღოღობერიძე, დეიდა: საშა, ბიძია სევერიან და დეიდაშვილი ანდრუშა გვიჩიები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ კვირას 16 ოქტომბერს 4 საათზე გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი შვილი

აჩიკო გაბილაია

რომლის დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს 19 ოქტომბერს ვერის სასაფლაოზე—ვარდისუბნის ქუჩა № 3

სახალხო კვების კავშირის ცენტრალური გამგეობ ამით აუწყებს კავშირის წევრებს, რომ სამშაბათს, ა | წ. 18 ოქტომბერს დღის 12 საათზე, ლანჩხუთში სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ამავე კავშირის ც. გამგეობის ყოფ. წევრ

ამხ. იასონ ივანეს ძე მენაღარაშვილის

გარდაცვალების ერთი წლის თავის აღსანიშნავად 170

ოზურგეთის მთლიანი კოოპერატივის გამგეობა და თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, ამავე კოოპერატივის გამგეობის წევრის

დავით ივლიანეს ძე ერქომაიშვილის

გარდაცვალებას, დაკრძალვა მოხდება სოფელ წითელ მთაში 18 ოქტომბერს. ნ. 70

აპოლლო არფასტო სოლეი დარბაზი

0—17 ნ. 1388

მონოპოლიურად მხოლოდ ჩვენს ეკრანზე მხატვ. სურათი

„ ბ ა მ ც ე მ ი “

დადგმა ა. როომის.

ბავშვები 15 წლამდე არ დაიშვებიან

„ВУФКУ“-ს დიდი მხატვრული ნაწარმოები

„ ა ლ ი მ “

ყ ი რ ი მ ე ლ ი მ ო ჯ ი რ ი თ ე

პარტერში ადგილები დანომრილია

უკანასკნელად მე-3 და მე-4 სერია ერთად

„მზის საცოლე“

რუფ. როლინის მონაწილეობით.

ანონსი: მალე სომხ. სახკინმრეწვის მორიგი საუკეთესო სურათი „ ა ვ ი ს უ ლ ი “

დღეს და ყოველდღე კინო-თეატრებში—არფასტო და სოლეი

„ВУФКУ“-ს ნაწარმოები დიდი მხატვრული-ისტორიული სურათი.

ალიმ

ყირიმელი მოჯირითე

რეჟისორი—ტასინ.

მხატვარი—აღმოსავლეთის მცოდნე უსეინ ბადალინსკი.

არქიტექტორი—რ. შარფენბერგი. მთ. როლში—ხაირი.

პარტერში ადგილები დანომრილია. ანონსი: მალე „ავი სული“. ნ. 71

სახელმწიფო ოპერა ნ. 68

დღეს, სამშაბათს, 18 ოქტომბერს. ევგენი ონეგინი

მონაწილეობენ: მარკოვა, პანტელეევა, მაკაევა, კულაში, ინაშვილი, შარაშიძე.

დირიჟორი—ა. შ. მელიქ-ფაშაევი,

მთავ. რეჟ. ი. ა. გრეჩნევის ახალი დადგმა.

ოთხშაბათს, 19 ოქტომბერს სადკო.

ხუთშაბათს, 20 ოქტომბერს ფაუსტი.

პარასკევს, 21 ოქტომბერს, ურ.,ის ქალი.

დასაწყ. საღ. 8 საათ. ბილეთები იყიდება.

ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა

გაზ. „კ ო მ უ ნ ი ს ტ ზ ე“

ხელის მოწერას გაზ. „კომუნისტზე“

ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში აწარმოებენ მხოლოდ „კომუნისტი“-ს კონტრ-აგენტები

თბილისი	ზესტაფონი	გორი
ქუთაისი	შორაპანი	ლანჩხუთი
ბათომი	ბორჯომი	სურამი
ზუგდიდი	ხაშური	გურჯაანი
ოზურგეთი	თელავი	წალვერი
ახალ-სენაკი	ხონი	აბასთუმანი
სამტრედია	სიღნაღი	მანგლისი
ჭიათურა	აბაშა	კოჯორი

ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებები ხელის მოწერას მიიღებენ მხოლოდ თავიანთი დაწესებულებების შიგნით და აუცილებლად ნაღდ ფულზე.

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორის გამგე ა. სირაძე.

ფ. ტ. სახალხო კომისარიატის რწმუნებული ა.-კავკასიაში ეპ. კვანტალიანი

საქართ. საბჭ. და სავაჭ. მუშაკ. პროფკავშირის

საანგარიშო მეცნიერებათა კურსები

ჩაწერა და ცნობების მიღება საღამოს 5—8 საათამდე დიდი ვანქის ქუჩა № 12 შრომის სკოლის შენობაში № 101

4-1—176 კურსების გამგე ა. ინწკირველი

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“ პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8

საჯარო ვაჭრობა

გამოცხადებული გაზეთ „კომუნისტ“-ის 227 №-ში, რომელიც ა. წ. 15 ოქტომბერს არ შესდგა, დანიშნულია ა. წ. 22 ოქტომბერს დილის 10 საათზე.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი. ნ. 67

გორის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

გ. ი. ტლაშაძე

ამით აცხადებს, რომ ის 19 ოქტომბერს 1927 წ., დღის 12 საათზე ადგილობრივ ქ. გორში, ახალ ბაზში, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ქიტა ივანეს-ძე რაზმაძის სხვადასხვა სასადილოს ავეჯეულობას: ბუფეტის შკაფს, მაგიდებს, სკამებს, ქვაბს, საყინულეებს თევშეულობის ჭურჭელს, თეფშებს, მათლაფებს, დანა-ჩანგალს და სხვას, სულ შეფასებულს 249—50 ბელოშვილების, „კონკორდიასი“, გორის საკონსერვო ქარხნანის და სხვ. ვალების დასაფარავად. ნ. 69

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 8—12 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნ ო ე“-ს პირდაპირ 25—7

მედიც. დოქტორი

გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული და სიფილისი.

დილ. 9—12, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი № 7, კ. მარქსის ძეგლთან, შესავალი ამ სახლის კუთხიდან. 5—2

ექიმი ჯალალოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფობის მიღება

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 5—21

სათვალეების მორგება

უ ფ ა ს ო დ



ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ხელოვნურ კბილების

მომზადება და ჩასმა (კაუჩუკზე და ოქროზე) შეღავათიან ფასებში სწარმოებს სტომატოლოგიურ კლინიკასთან არსებულ კბილის ტექნიკოსთა კურსებზე—პლეხანოვის გამზირი № 126 ავადმყოფობის მიღება სწარმოებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით საღამოს 4—6 საათამდე. 25—1

ექიმი მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და დაიწყო ავადმყ. მ ი ღ ე ბ ა

შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონით და სინათლით მკურნალობა

ავადმყ. მიღება ახალი მისამართით ლენინის ქუჩა (ოლღას ქ.) № 11 საღ. 7—8 საათ.

ტელ. 4—82 25—1

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 13 | 25.

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი

საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი

(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ი.

ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს-მდე, საღამოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 3645—18—1

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

განაახლა ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 10—1 საათამდე და საღ 6—7 საათამდე

როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა შინაგანი ორგანოებისა და ნერვიული სისტემის ავადმყოფობათა მკურნალობა. ჰიპნოზი.

კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა № 17, ზემო სართული. 25—

დავკარგე კავშირის საწევრო წიგნაკი № 26744 ბალვა დავითის-ძე სალარიძის სახელზე, ჩ. გ. 171

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 173—592 ალექსი ბანეთიშვილის სახელზე, ჩ. გ. 168

დავკარგე მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 5060 არტემ სარქისოვის სახელზე, ჩ. გ 172

დავკარგე პირადობის მოწმობა სურენ სტეფანეს-ძე ბაბაიანცის სახელზე, ჩ. გ. 166

დავკარგე უვადო პასპორტი პავლე გეჯაძეს სახელზე, ჩ. გ. 167

დავკარგე პირადობის მოწმობა № 189 იოსები ხუნწარიას სახელზე, ჩ. გ. 173

დავკარგე პირადობის მოწმობა № 442, მელიტონ ეგნატეს-ძე დუდუჩავას სახელზე, ჩ. გ. 173

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 1230 ჯელილ დიასამიძეს სახელზე, ჩ. გ. 174

დავკარგე ლომბარდის ქვითარი № 2259, ჩ გ. 175

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68